საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა მონაწილეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის საჭიროებათა ანალიზი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა მონაწილეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის საჭიროებათა ანალიზი

2025

ევროპის საბჭო

კვლევა მომზადებულია მაია არავიაშვილის, ლელა ჩახაიას და სიმონ ჯანაშიას მიერ.

კონტრიბუციები: *ქეთევან გომელაური, ნათია ნაცვლიშვილი, თინათინ სტამბოლიშვილი, ოლენა სტისლავსკა, თამარ ხატიაშვილი, თამუნია ჭინჭარაული.*

კორექტორი: *ეკატერინე ბუჯიაშვილი.*

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და არ უნდა აღვიქვათ ევროპის საბჭოს ან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ოფიციალურ პოლიტიკად.

პუბლიკაცია შექმნილია პროექტის "დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევროპის საბჭო, საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2024-2027 სამოქმედო გეგმის ფარგლებში და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით.

ყველა თხოვნა დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/თარგმნაზე უნდა წარედგინოს პუბლიკაციებისა და ვიზუალური იდენტობის განყოფილებას (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს პროექტს "დემოკრატია იწყება სკოლაში", ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში education.georgia@coe.int

ყდა და დიზაინი: მარიამ ნათაძე
ფოტო: Shutterstock

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება PVID-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

© ევროპის საბჭო, 2025 წელი

სარჩევი

შესავალი 11

კონტექსტი 11

ევროპის საბჭოს პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“ 12

კვლევის მიზნები და საკვლევი საკითხები 13

კვლევის საჭიროება 13

ევროპის საბჭოს მიდგომა სკოლაში დემოკრატიული მმართველობის მიმართ 15

საერთო სასკოლო მიდგომა 17

მეთოდოლოგია 18

სკოლების შერჩევის კრიტერიუმები 18

ანალიზის ჩარჩო – მონაწილეობის იდეალური ტიპები და ხარვეზების იდენტიფიცირება 18

კვლევის მეთოდები 22

ქცევითი მეცნიერების მიდგომები 23

სიტუაციის ანალიზი 24

სწავლა-სწავლება 24

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო 24

არსებული კვლევების მიმოხილვა 27

სკოლის მმართველობაა და კულტურა 28

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო 28

არსებული კვლევების მიმოხილვა 30

თემთან ურთიერთობა 32

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო 32

არსებული კვლევების მიმოხილვა 32

საველე კვლევის შედეგები 34

აღწერითი სტატისტიკა 34

სწავლა-სწავლება 36

სასკოლო სასწავლო გეგმა 36

მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში 39

საკლასო წესები 43

კლასგარეშე აქტივობები 45

ძირითადი მიგნებები და საჭიროებები 48

სკოლის მმართველობა და კულტურა 49

სასკოლო დოკუმენტაცია 49

სკოლის მმართველობის ორგანოები 56

გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი 63
ძირითადი მიგნებები და საჭიროებები 67
თემთან ურთიერთობა **68**
მშობელთა ჩართულობა 68
სათემო პროექტები 74
ძირითადი მიგნებები 75
საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკა **77**
სწავლა-სწავლება **77**
სკოლის მმართველობა და სასკოლო კულტურა **80**
თემთან ურთიერთობა **84**
დასკვნები და რეკომენდაციები **88**
სწავლა-სწავლება **88**
სკოლის მმართველობა და კულტურა **90**
თემთან თანამშრომლობა **92**
გამოყენებული ლიტერატურა **96**

ნაშრომის მოკლე შეჯამება

დემოკრატიული მონაწილეობა განათლებაში მოსწავლეებს აძლევს იმ უნარების განვითარების საშუალებას, რომელთა დახმარებითაც აქტიურად ჩაერთვებიან საკუთარი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. დემოკრატიული მონაწილეობა გულისხმობს სხვადასხვა მხარის (სახელმწიფო, ოჯახები და პროფესიონალები) თანამშრომლობას, რათა სკოლებმა ასახონ საზოგადოების საჭიროებები და ინტერესები. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების სისტემის განვითარებაშიც.

საქართველოში მოსწავლეთა დემოკრატიულ მონაწილეობას ხელს უწყობს სხვადასხვა მარეგულირებელი და საკანონმდებლო აქტი: კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და სხვა. მაგალითისთვის, ზოგადი განათლების კანონი მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ასევე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე მონიტორინგში. საჯარო სკოლებს ჰყავთ თვითმმართველობის ორგანოები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ, ჩაერთონ სკოლის მმართველობაში. თუმცა, სხვადასხვა დროს ჩატარებული და წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილული კვლევების მიგნებათა თანახმად, არსებული სამართლებრივი ჩარჩოებით განსაზღვრული უფლებები ყოველთვის ეფექტიანად ვერ ხორციელდება.

ამ კვლევის მიზანია, აღწეროს სხვადასხვა მხარის მონაწილეობა სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და სიღრმისეულად შეისწავლოს დაბალი მონაწილეობის მიზეზები. საერთო სასკოლო მიდგომის შესაბამისად, კვლევა კომპლექსურად განიხილავს სკოლებში დემოკრატიული მონაწილეობისა და კულტურის განვითარების სამ უმნიშვნელოვანეს ასპექტს: *სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობა და კულტურა, თემთან ურთიერთობა.*

კვლევა ჩატარდა 2024 წლის მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. პროექტის – „დემოკრატია იწყება სკოლაში" – ფარგლებში, ონლაინ რაოდენობრივი კითხვარებით მთელი საქართველოს მასშტაბით გამოიკითხნენ წინასწარ შერჩეული 61 სკოლის დირექტორები, VII-XII კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები. ასევე ჩატარდა ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები ყველა სამიზნე ჯგუფსა და, დამატებით, დარგის ექსპერტებთან. კვლევის ინსტრუმენტები შემუშავდა ქცევითი მეცნიერების პრინციპებზე დაყრდნობით, რათა სტანდარტული და სოციალურად სასურველი ან ინდიფერენტული პასუხების ნაცვლად, რეალური სურათი მიგვეღო.

კვლევის ძირითადი მიგნებების თანახმად:

- საქართველოში არსებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთა, ისე მშობელთა და მასწავლებელთა აქტიურ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში.
- კვლევის სამივე მიმართულებით *(სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობა და კულტურა და თემთან ურთიერთობა)* გამოვლინდა აქტიურობისა და მონაწილეობის გაზრდის პოტენციალი. პოზიტიური პრაქტიკის მაგალითი ბევრია, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ეს პრაქტიკები არ არის სისტემატიზებული.

- სასკოლო სასწავლო გეგმები ეხმიანება პრინციპებს, რომლებსაც ასახავს ევროპის საბჭოს ქარტია „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“.[1]
- სწავლა-სწავლების დაგეგმვა-განსაზღვრაში სკოლებს საკმაოდ დიდი თავისუფლება ეძლევათ, თუმცა მოსწავლეები კვლავაც ნაკლებად მონაწილეობენ ამ პროცესებში. ხშირად მათ ინფორმაციაც არ აქვთ, რომ შეუძლიათ ჩართვა სწავლა-სწავლების მიდგომებისა და მეთოდების განსაზღვრაში.
- მოსწავლეები და მშობლები, სწავლა-სწავლების სხვა პროცესებთან შედარებით, უფრო აქტიურად არიან ჩართულნი კლასგარეშე, არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვაში. ეს შეიძლება ეხებოდეს საკლუბო საქმიანობას, ექსკურსიების დაგეგმვას, კლასგარეშე შეჯიბრებებში მონაწილეობას და სხვა.
- სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალსა და მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია, სკოლაში გადაწყვეტილებები სასკოლო თემის აქტიური ჩართულობით მიიღებოდეს.
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნამდვილი მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანი მიდგომები და მექანიზმები პრაქტიკაში არ არის სისტემურად დანერგილი. მოსწავლეები იშვიათად მონაწილეობენ არათუ სასკოლო, არამედ საკლასო წესების განსაზღვრაშიც.
- მშობლებთან თანამშრომლობა ჯერ კიდევ არ არის სკოლის მართვისთვის ორგანული და რუტინული ნაწილი.
- მოსწავლეებისა და მშობლების დაბალი მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია დაბალი ინფორმირებულობა საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე. მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, თუ რა სახით შეუძლიათ ჩართვა სკოლის აქტივობებსა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; ასევე არ აქვთ სრულფასოვანი მონაწილეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და სათანადო მოტივაცია.
- სრულფასოვან მონაწილეობას ასევე აფერხებს მონაწილეობის შესაძლებლობათა ნაკლებობა (მაგ. მწირია სკოლის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრაში ჩართვის შესაძლებლობები).
- მნიშვნელოვანია სისტემის სტრუქტურული ფაქტორები, როგორიცაა მცირეკონტინგენტიან სკოლებში სასკოლო თემის შემადგენლობა, ასევე, ფინანსური რესურსების სიმწირე, რომლებიც ავტომატურად ნაწილდება აუცილებელ ხარჯებზე (მაგ: თანამშრომლების ხელფასებსა ან კომუნალურ გადასახადებზე). ასეთ სკოლებს უჭირთ დამატებითი ფინანსური თუ სხვა სახის რესურსების მოზიდვა, რასაც ესაჭიროება სამეურვეო საბჭოსა და სასკოლო თემის სხვა წევრთა თანამონაწილეობა და მსჯელობა ამ საკითხებზე.
- მასწავლებლები და დირექტორები საუბრობენ მოსწავლეთა თვითმმართველობაში ჩართვის დაბალ მოტივაციაზე. თავად თვითმმართველობების საქმიანობები იშვიათად არის ორიენტირებული პრობლემების მოგვარებასა და სასკოლო გადაწყვეტილებებზე და უფრო მეტად კონცენტრირებულია კლუბების ორგანიზებაზე, ასევე, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებზე.
- კვლევა აჩვენებს, რომ მშობლები, გარკვეული ფორმით, ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში: კერძოდ, შედარებით ნაკლებად – სტრატეგიულ და სწავლა-

1 ევროპის საბჭოს ქარტია „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“.

სწავლების საკითხებში, და უფრო მეტად – არაფორმალურ განათლებასა და კონ-ფლიქტთა მოგვარებაში (მაგ: მოსწავლეთა მიერ სკოლის ან კლასის შინაგანაწესის დარღვევა, მშობლების უკმაყოფილება შვილების შეფასებებით, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის გართულება და სხვა).

- მშობლებთან ურთიერთობას სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ღირებულად მიიჩნევენ, თუმცა, მათი აზრით, მშობლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული უნარები და მოტივაცია, რომ ამგვარი თანამშრომლობა შედგეს.
- გარე თემთან თანამშრომლობის პრაქტიკა სკოლებში არ არის აქტიურად და-ნერგილი. შედარებით განვითარებულია თანამშრომლობა ადგილობრივ ხელი-სუფლებასთან, თუმცა ნაკლები ურთიერთობა აქვთ არასამთავრობო ორგანიზაცი-ებთან, ადგილობრივ მეწარმეებსა ან კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან. როგორც კვლევა აჩვენებს, ამგვარი თანამშრომლობის ინიციატივები უფრო მე-ტად სკოლის გარე ორგანიზაციებიდან მოდის.

ძირითადი რეკომენდაციები

1. სწავლა-სწავლება

- გაძლიერდეს საკლასო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის მიდგომები, რათა მოსწავლეები ჩაერთონ სასწავლო მიზნების განსაზღვრაში, სწა-ვლების მეთოდების არჩევასა და შეფასების კრიტერიუმების დადგენაში.
- გაიზარდოს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებულობა საკუთარ უფლებებსა და საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობებზე.
- მონაწილეობაზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკა ინსტიტუციურად განმტკიც-დეს სკოლის დონეზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით.
- მასწავლებლებს სათანადოდ დაეჭიროთ მხარი ინკლუზიური და დემოკრატიული სწავლების მეთოდების გამოყენებაში, რომლებიც შეესაბამება ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს.

2. სკოლის მმართველობა და კულტურა

- გაძლიერდეს მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობა სკოლის მმართველობაში და მათ მნიშვნელოვანი როლი მიენიჭოთ სკოლის საბ-ჭოებსა და თვითმმართველ სტრუქტურებში.
- შეიქმნას სტრატეგიული დოკუმენტები მონაწილეობითი გზით; სკოლის გეგმები და რეგულაციები შემუშავდეს გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესებით.
- ერთმანეთს დაუახლოვდეს სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკა, აღსრულების მე-ქანიზმებისა და ანგარიშვალდებულების სისტემების გაძლიერებით.
- განვითარდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული შიდა კულტურა, თანასწორობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და გაზიარებული პასუხის-მგებლობის ხელშეწყობით.

3. თემთან ურთიერთობა

- მშობლები სისტემურად და კონსტრუქციულად ჩაერთონ პროცესებში კრიზისებზე რეაგირების მიღმაც, მათი როლებისა და მოლოდინების მკაფიოდ განსაზღვრით.

- გაძლიერდეს პარტნიორობა ადგილობრივ აქტორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით.
- შეიქმნას თემსა და სკოლას შორის თანამშრომლობის მდგრადი მოდელები, მხარი დაეჭიროს სკოლების მიერ ინიცირებულ თანამშრომლობით პროექტებს.

ზოგადი რეკომენდაციები

- სკოლებისთვის შეიქმნას მკაფიო ინსტრუქციები და ინსტრუმენტები, რათა დემოკრატიული მმართველობის მიმართ დაინერგოს საერთო სასკოლო მიდგომა, საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოებისა და ევროპის საბჭოს პრინციპების შესაბამისად.

კვლევა ჩატარდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში: „დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" (2024–2027). პროექტის მიზანია დემოკრატიული მონაწილეობის გაუმჯობესება საქართველოს სკოლებში, მოსწავლეებისთვის მეტი შესაძლებლობების შექმნით სკოლებსა და ადგილობრივ თემში გადაწყვეტილებათა მიღებაში ჩასართავად.

კვლევა ეფუძნება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ცნებებს როგორიცაა **განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის** და **დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები**. ეს ცნებები ხაზს უსვამს იმ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, უნარებს, ცოდნასა და კრიტიკულ აზროვნებას, რომლებიც მოსწავლეებს სჭირდებათ დემოკრატიულ და მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებისთვის.

შესავალი

კონტექსტი

ზოგადი განათლების სისტემაში დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქალაქეთა ჩამოყალიბებაში. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად, სკოლადამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ კომპეტენციები, რომლებიც მათ მისცემს საკუთარი სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას.[2]

დემოკრატიული მონაწილეობა მნიშვნელოვანია განათლების სისტემის განვითარებისთვისაც. დემოკრატიული განათლების პრინციპები გულისხმობს თანამშრომლობას სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფს, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სახელმწიფოს, ოჯახებსა და პროფესიონალებს შორის.[3] ეს საშუალებას იძლევა, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა გამოძებნონ საერთო ინტერესები, განავითარონ სასკოლო პროგრამები და სკოლები აქციონ სივრცედ საზოგადოებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ინტერესების დასაცავად.

საქართველოში არსებობს რიგი სამართლებრივი ჩარჩოები სკოლებში დემოკრატიული მონაწილეობისთვის. ზოგადი განათლების კანონი უფლებას აძლევს მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ჩაერთონ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და მიღებულ გადაწყვეტილებებზე მონიტორინგში. საჯარო სკოლებს ჰყავთ სამეურვეო საბჭოები, სადაც მასწავლებლებსაც, მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეუძლიათ, თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით ჩაერთონ სკოლის მართვის პროცესში. კანონმდებლობის თანახმად, სამეურვეო საბჭოებს აქვთ სკოლის დირექტორების არჩევის, ასევე, ფინანსური და სტრატეგიული საკითხების განსაზღვრის უფლებამოსილება. სკოლაში მოქმედებს სხვა ტიპის საბჭოებიც, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დისციპლინური საკითხების განხილვაზე.

სკოლებში ასევე სავალდებულოა მოსწავლეთა თვითმმართველობების არსებობა. მეშვიდე კლასის ზემოთ, მოსწავლეები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს, რომლებმაც უნდა იმუშაონ მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამის საკითხებზე, სკოლის ცხოვრების გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა პრობლემების მოგვარებაზე.

ეროვნული სასწავლო გეგმა შესაძლებლობას იძლევა, სასკოლო დონეზე შემუშავდეს შეფასების კრიტერიუმები, დემოკრატიული მონაწილეობის პრინციპების დაცვით. სკოლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ უცხო ენები, რომელთა სწავლებასაც არჩევითად შესთავაზებენ მოსწავლეებს, საშუალო საფეხურზე კი არჩევითად შესთავაზონ სასწავლო საგნებიც. ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული „ახალი სკოლის პროგრამის“ ფარგლებში, მოსწავლეებს უფრო ხშირად სთავაზობენ მათთვის საინტერესო საკლასო პროექტებს, ე. წ. კომპლექსური დავალებების ფარგლებში. მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციებს გარკვეული ავტონომია აქვთ სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას. სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამები და სკოლების ნაწილში დანერგილი სამოქალაქო განათლების კლუბები ცდილობენ, მოსწავლეებს განუვითარონ აქტიურ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში ჩასართავად საჭირო კომპეტენციები.

2 განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2024.
3 Gutmann, 2001.

ამავდროულად, კვლევები[4] და არაფორმალური დაკვირვებები აჩვენებს, რომ დემოკრატიული მონაწილეობა და ფორმალური სტრუქტურების გამოყენება სკოლებში სუსტად ვითარდება. მართალია, დირექტორები აღიარებენ მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების დადებით მხარეებს, თუმცა მოსწავლეთა თვითმმართველობები და სამეურვეო საბჭოები ხშირად ფორმალურად არსებობს და გავლენას ვერ ახდენს სკოლის განვითარებაზე.

პრობლემები იკვეთება მასწავლებელთა მიერ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაშიც. ისინი ვერ ხედავენ კავშირებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა განვითარებასა და მათ საგნობრივ მიზნებს შორის, თუმცა კი ითვალისწინებენ ამ კომპეტენციების ნაწილს, როდესაც სასკოლო და საკლასო ქცევის წესების შემუშავებაში მოსწავლეებს რთავენ.[5]

რაც შეეხება მშობლებს, ისინი ხშირად მიუთითებენ, რომ არ აქვთ საკმარისი შესაძლებლობები შვილების განათლების განსაზღვრაში ჩასართავად. ასევე უჩივიან არასაკმარის ინფორმირებულობას, თუ როგორ შეუძლიათ ჩართვა გადაწყვეტილებათა მიღებაში, და არასაკმარის დროს ასეთ პროცესში მონაწილეობისთვის.[6]

სკოლებში დემოკრატიული კულტურის განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც შიდა სასკოლო, ისე სისტემური ფაქტორები. ზოგიერთ სკოლას შედარებით შეზღუდული შესაძლებლობები აქვს დემოკრატიული კულტურის დასანერგად და უფრო მკაფიო და პრაქტიკული გზამკვლევები სჭირდება საგანმანათლებლო სტრუქტურების მხრიდან დემოკრატიული განვითარებისთვის გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ. ზოგ შემთხვევაში, სკოლებისთვის ნათელი არ არის პრინციპები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ უფრო დემოკრატიულად მართვისთვის. მათ მეტი სიცხადე სჭირდებათ იმ კონკრეტული ნაბიჯების განსაზღვრისათვის, რომლებიც უნდა გადადგან ასეთი გარემოს შესაქმნელად. რთულია ისეთი პრაქტიკის დანერგვაც, რომელიც შექმნის სკოლის დემოკრატიული მმართველობისათვის შესაბამის გარემოს. სკოლების ავტორიზაციის ჩარჩო ხაზს უსვამს მონაწილეობითი მმართველობის მნიშვნელობას, მაგრამ მოთხოვნები, რომლებიც ჩადებულია ავტორიზაციის სისტემაში და გულისხმობს სკოლების თანამონაწილეობით მართვას, ყოველთვის გასაგები არ არის მათთვის. შესაბამისად, ზოგიერთი სახელმწიფო რეგულაცია ხშირად ფორმალურ პროცედურათა შესრულების საშუალებად უფრო განიხილება, ვიდრე ნამდვილი დემოკრატიული მონაწილეობის ინსტრუმენტად.[7]

ევროპის საბჭოს პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“

საქართველოს სკოლებში დემოკრატიული მონაწილეობის გასაუმჯობესებლად, ევროპის საბჭო ახორციელებს პროექტს „დემოკრატია იწყება სკოლაში - მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" (2024-2027). მისი მიზანია დემოკრატიული პროცესების გაძლიერება საქართველოში, მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდით სკოლებსა და თემებში. პროექტი ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ საქართველოსთვის შემუშავებული 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ინიციატივა ქვეყნის საგანმანათლებლო აქტორებს ხელს უწყობს რიგი ღონისძიებების გატარებაში, რათა მოსწავლეებს მეტი შესაძლებლობა და მოტივაცია მიეცეთ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩასართავად, როგორც სკოლაში, ისე თემში.

პროექტის პირველ ფაზაში (2022-2023 წლები) უკვე განხორციელდა რიგი ღონისძიებები: ჩატარდა სკოლებში მოსწავლეთა ჩართულობის საბაზისო კვლევა[8] და შემუშავდა სკო-

4 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022. გახელაძე და დევნოზაშვილი, 2020. საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი, 2017.
5 Ibid.
6 გახელაძე და დევნოზაშვილი, 2020.
7 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.
8 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.

ლის დემოკრატიულ მმართველობაში მოსწავლეთა მონაწილეობის პრაქტიკული გზამკვლევი;[9] პროექტის ფარგლებში ასევე მხარდაჭერა გაეწია 20 საპილოტე სკოლას: ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სკოლებში მოსწავლეთა მონაწილეობის საჭიროებებისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრისათვის; სკოლებმა შეიმუშავეს და განახორციელეს 20 სასკოლო სამოქმედო გეგმა.

საპილოტე სკოლებში პროექტის პირველი ფაზის დასრულების შემდეგ, გამოვლინდა არაერთი დადებითი შედეგი:

- მოსწავლეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში გაიზარდა 21%-დან 61%-მდე;
- მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლაში გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა მუშაობაში გაიზარდა 45%-დან 91%-მდე;
- მოსწავლეთა მხრიდან პროექტებისა და აქტივობების ინიცირება გაიზარდა 21%-დან 38%-მდე;
- სათემო აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა გაიზარდა 51%-დან 75%-მდე;
- სკოლების თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო ბიზნესთან გაიზარდა 41%-დან 66%-მდე;
- მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის ბიუჯეტის ფორმირებაში გაიზარდა 27%-დან 68%-მდე;
- მოსწავლეთა მონაწილეობა სასკოლო დოკუმენტებისა და წესების შემუშავებაში გაიზარდა 30%-დან 57%-მდე;
- მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლის მეთოდებისა და ფორმების არჩევაში გაიზარდა 36%-დან 58%-მდე.

საბაზისო შეფასებამ და პროექტის I ფაზაში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგებმა აჩვენა, რომ საჭირო იყო სკოლასა და ადგილობრივ თემში მოსწავლეთა მონაწილეობის გამოწვევებისა და შესაძლებლობების უფრო სიღრმისეული კვლევა. წინამდებარე დოკუმენტი სწორედ ამ საჭიროებას პასუხობს, აანალიზებს რა ევროპის საბჭოს პროექტის მეორე ფაზაში ჩართული 61 სკოლიდან მიღებულ მონაცემებს.

კვლევის მიზნები და საკვლევი საკითხები

კვლევის საჭიროება

უკანასკნელ წლებში საქართველოში არაერთი კვლევა ჩატარდა, რომლებმაც შეისწავლა დემოკრატიული მმართველობა სკოლაში, ასევე, სხვადასხვა მხარის მონაწილეობის განსხვავებული ასპექტები. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღების საგანია მოსწავლეთა მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში. 2022 წელს ევროპის საბჭომ, საბაზისო შეფასების ფარგლებში, დეტალურად შეისწავლა მოსწავლეთა მონაწილეობა საქართველოს სკოლებში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში და ამ პრაქტიკის გაუმჯობესების გზები.[10] მოსწავლეთა მონაწილეობაზე საინტერესო მიგნებები გამოიკვეთა კვლევაში, რომელიც ჩატარდა შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში „დემოკრატიული მოქალაქეობა საქართველოს სკოლებში: გამოწვევები და განვითარების გზები“.[11] ამ კვლევამ კომპლექსურად შეისწავლა სასკოლო

9 ევროპის საბჭო, 2023.
10 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.
11 მალაზონია და სხვები, 2022.

კულტურის ის ასპექტები, რომლებიც განაპირობებს მოქალაქეობრივი კომპეტენციების ფორმირებასა და განვითარებას მოსწავლეებში. 2019 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა გამოიკვლია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები საქართველოს სკოლებში, რათა შეეფასებინა, რამდენად იცნობენ ამ კომპეტენციებს მასწავლებლები და დირექტორები და რამდენად ინტეგრირებულია ისინი სასწავლო პრაქტიკაში.[12] ასევე არსებობს კვლევები, რომლებიც შეისწავლის მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.[13,14] გარდა ამისა, 2015 წელს, სოციალური კვლევისა და ანალიზის ცენტრმა შეისწავლა სკოლის ორგანიზაციული კულტურა.[15] ამ კვლევების მიგნებებზე დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ თავში.

წინამდებარე კვლევა ზემოთ განხილული კვლევებისგან განსხვავდება რამდენიმე ნიშნით:

- პირველ რიგში, ის კომპლექსურად, საერთო სასკოლო მიდგომით (whole school approach) შეისწავლის სკოლაში დემოკრატიული მონაწილეობისა და კულტურის განვითარების სხვადასხვა ასპექტს, და არა რომელიმე კონკრეტულ განზომილებას;
- კვლევის სამიზნე ჯგუფებს შორისაა სასკოლო თემის ყველა მნიშვნელოვანი მხარე: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია;
- კვლევის მიზანია არა მხოლოდ არსებული სიტუაციისა და პრაქტიკის აღწერა, არამედ უფრო ღრმად შესწავლა, თუ რა იწვევს სასკოლო თემის სხვადასხვა მხარის დაბალ მონაწილეობას სხვადასხვა სფეროში;
- ამ მიზნით, კვლევა იყენებს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს. გარდა ამისა, კვლევის ინსტრუმენტები შემუშავდა ქცევითი მეცნიერების პრინციპებზე დაყრდნობით, რათა სოციალურად სასურველი ან ინდიფერენტული პასუხების ნაცვლად, მიგვეღო რეალური სურათი და შეძლებისდაგვარად ჩავწვდომოდით, რეალურად რა უშლის ხელს მონაწილეობას.

უფრო კონკრეტულად, კვლევა პასუხობს შემდეგ შეკითხვებს:

- როგორ მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა კომპონენტში (სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობა და გადაწყვეტილებათა მიღება, თემთან ურთიერთობა) სკოლის თემის სხვადასხვა წარმომადგენელი:
    - სკოლის ადმინისტრაცია
    - მასწავლებლები
    - მოსწავლეები
    - მშობლები
- როგორია ამ მხარეთა დამოკიდებულებები დემოკრატიული მონაწილეობის მიმართ?
- რა არის დაბალი/არასაკმარისი მონაწილეობის ძირითადი მიზეზები?
- როგორ შეიძლება მონაწილეობის დონის ამაღლება და რაში შეიძლება დაეხმაროს ეს სკოლებს?

12 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2019.
13 გახელაძე და დევნოზაშვილი, 2020.
14 საქართველოს დებატებისა და განვითარების ინსტიტუტი, 2017.
15 სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015.

ევროპის საბჭოს მიდგომა სკოლაში დემოკრატიული მმართველობის მიმართ

სკოლებში დემოკრატიული მონაწილეობის ფორმების გასააზრებლად, სასარგებლო იქნება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცეფციის გამოყენება. პირველი ასეთი კონცეფციაა „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის"[16], რომლის მიხედვითაც, განათლებაში დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარებისათვის, გასათვალისწინებელია სამი საყრდენი პრინციპი: უფლებებისა და პასუხისმგებლობების გააზრება, აქტიური თანამონაწილეობა და მრავალფეროვნების დაფასება.

აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად, შემუშავებულია სკოლების დემოკრატიული მმართველობის პრინციპები და შექმნილია სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს შემდეგ სფეროებში:

1. მმართველობა, ხელმძღვანელობა, მართვა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება;
2. ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება;
3. თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა: კონკურენტუნარიანობა და სკოლის თვითგამორკვევა;
4. მოსწავლეების დისციპლინა.[17]

სახელმძღვანელო გვეხმარება იმ ინსტრუმენტთა გააზრებაში, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს სკოლებში დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების დასანერგად, არა მხოლოდ სასწავლო, არამედ მართვისა და კომუნიკაციის სფეროებში.

ასევე მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო ჩარჩო, რომელიც აერთიანებს დემოკრატიული კულტურის 20 კომპეტენციას, დაყოფილს ოთხ კატეგორიად: ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარები, ცოდნა და კრიტიკული გააზრება.[18] გარდა ამისა, ევროპის საბჭომ შეიმუშავა გზამკვლევები, რომელთა მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრთა დახმარება ამ კომპეტენციების განვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტის მიხედვით[19], მნიშვნელოვანია, სკოლებში დემოკრატიული კულტურის დანერგვა და მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარება წარიმართოს საერთო სასკოლო მიდგომით, და არა ცალკეული საგნებისა ან ინიციატივების ფარგლებში. ამ მიდგომის პრაქტიკაში გამოყენების მეთოდი შემუშავდა ევროპის საბჭოს პროექტის „დემოკრატია იწყება სკოლაში" პირველი ფაზის დროს შექმნილ გზამკვლევში „მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში: პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის",[20] რომელიც ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მიმართულებებზე:

- სწავლა და სწავლება;
- სკოლის მმართველობა და სასკოლო კულტურა;
- თემთან თანამშრომლობა.

16 კონცეფცია ეფუძნება ევროპის საბჭოს 2010 წლის ქარტიას „დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ". ევროპის საბჭო, 2010. https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680496561

17 უფრო მეტი ამ კონცეფციაზე იხილეთ ელისაბეთ ბეკმენისა და ბერნად ტრაფორდის სახელმძღვანელოში „სკოლების დემოკრატიული მმართველობა". მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013. https://rm.coe.int/-/16805aa432

18 ევროპის საბჭო. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო: კონტექსტი, ცნებები და მოდელი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018. https://rm.coe.int/rfcdc-v1-geo/1680983619

19 ევროპის საბჭო. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო: გზამკვლევი დანერგვისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018. https://rm.coe.int/rfcdc-v3-geo/168098361b

20 ევროპის საბჭო, 2023.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში განსაზღვრულია ის ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტიანი მონაწილეობისა და სხვებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის (სურ. 1). ეს კომპეტენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში, რადგან ამ ეტაპზე ინტეგრირებულია ზოგად კომპეტენციებში, რომლებიც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს თითოეული სავალდებულო საგნისათვის. ამგვარად, ისინი საქართველოს საჯარო სკოლების ყველა საგნის მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული მოდელი მოიცავს კულტურის სამივე განზომილებას – მატერიალურ, სოციალურ და სუბიექტურ კომპონენტებს, ასევე, დემოკრატიული კულტურისა და ინტერკულტურული ურთიერთობის დღემდე არსებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ 101 სქემას.

ეს ახალი მოდელი აერთიანებს 20 კომპეტენციას, 447 აღმწერით (ე.წ. „დესკრიპტორით“). დოკუმენტში კომპეტენციები დაჯგუფებულია 4 პრიორიტეტულ მიმართულებად:

სურათი N 1 დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო[21]



21 ევროპის საბჭო. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო: კონტექსტი, ცნებები და მოდელი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018. https://rm.coe.int/rfcdc-v1-geo/1680983619

საერთო სასკოლო მიდგომა

როგორც აღინიშნა, კვლევამ შეისწავლა სასკოლო თემის ყველა ძირითადი მხარის დამოკიდებულებები და მონაწილეობის პრაქტიკა, არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულებით (მაგ: როგორიცაა სკოლის მმართველობა), არამედ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში. ამიტომაც, კვლევის სტრუქტურა ეყრდნობა ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს საერთო სასკოლო მიდგომას[22], ასევე, ნაშრომს „მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში: პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის".[23] საერთო სასკოლო მიდგომის თანახმად, დემოკრატიული კულტურისა და კომპეტენციების განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ სასკოლო თემის ყველა წარმომადგენლისა და მთლიანად სკოლისთვის, როგორც ინსტიტუციისათვის. იმისათვის, რომ დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვა გახდეს საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, ეს პრინციპები სასკოლო ცხოვრების რეალობად უნდა იქცეს.

სასკოლო ცხოვრებას მრავალი ასპექტი და განზომილება აქვს, მაგრამ როცა საუბარია საერთო მიდგომაზე, ასევე, სკოლებში დემოკრატიული კულტურისა და კომპეტენციების განვითარებაზე, აქცენტი უნდა გაკეთდეს, სულ მცირე, სამ ძირითად მიმართულებაზე: **სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობა და კულტურა, თემთან ურთიერთობა.** აღსანიშნავია, რომ ეს სამი დიდი მიმართულება ძალიან ბევრ საკითხში გადაფარავს ერთმანეთს, თუმცა ასეთი დაყოფა მოსახერხებელია კვლევის კონცეპტუალურად გააზრებისა და შედეგების ორგანიზებისთვის.

სასკოლო სასწავლო გეგმა, საგაკვეთილო პროცესი, სწავლების მეთოდები/მიდგომები და კლასგარეშე აქტივობები შესანიშნავი საშუალებებია, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ერთი მხრივ, თითოეული მათგანი კარგ შესაძლებლობას იძლევა დემოკრატიული პრინციპების ინტეგრირებისათვის, თუმცა მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ ამ გეგმების შემუშავება, სასწავლო პროცესების დაგეგმვა-განხორციელება და სხვადასხვა მხარის აქტიურად ჩართვა ამ პროცესებში. წინამდებარე კვლევა სწავლა-სწავლების სწორედ ამ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას.

დემოკრატიული პრინციპებით სკოლის მართვას ბევრი უპირატესობა აქვს ყველა ჩართული მხარისთვის. როგორც აღწერს ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „დემოკრატიული მმართველობა სკოლაში", სკოლაში დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებით, შესაძლებელია დისციპლინისა და საგანმანათლებლო შედეგების გაუმჯობესება, კონფლიქტების შემცირება, სკოლების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და, უფრო ფართოდ, ქვეყანაში მდგრადი დემოკრატიის განვითარების გაუმჯობესება.[24] სკოლის მმართველობისა და კულტურის კომპონენტში ყურადღება გამახვილდება ისეთ თემებზე, როგორიცაა: სასკოლო დოკუმენტაციის წარმოება, სკოლის მართვის ორგანოები და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი.

თემთან ურთიერთობა უნდა იყოს სკოლის დემოკრატიული კულტურის განუყოფელი ნაწილი. სკოლა არ არის განყენებული ინსტიტუციური ერთეული, ის საზოგადოებრივი ქსოვილის ნაწილია და ამის გაცნობიერება მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თემთან ურთიერთობის კომპონენტში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობელთა ჩართულობას, თუმცა, მეორე მხრივ, სკოლის პარტნიორობა და თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციასა და ჯგუფთან დადებით გავლენას ახდენს როგორც სკოლის დემოკრატიული კულტურის განვითარებაზე, ისე სხვა ასპექტებზე, როგორიცაა სასკოლო გარემო, ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა საგანმანათლებლო შედეგები და ა.შ.

22 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.
23 ევროპის საბჭო, 2023.
24 ბეკმანი და ტრაფორდი, 2007.

მეთოდოლოგია

სკოლების შერჩევის კრიტერიუმები

კვლევა ჩატარდა პროექტისთვის შერჩეულ 61 სკოლაში, რომლებიც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეარჩია შემდეგი კრიტერიუმებით:

- სკოლის ტიპი: საჯარო სკოლა (ავტორიზაციაგავლილი 30 სკოლა, და 31 სკოლა, რომლებსაც ჯერ არ გაუვლიათ ავტორიზაცია). პროექტი დაიწყო 2024 წლის სექტემბრიდან.
- სამიზნე ჯგუფი: 12-18 წლის მოსწავლეები, VII-XII კლასები.
- სკოლის ზომა: ეს მახასიათებელი განსხვავდება, თუმცა დაცულია სკოლების სტანდარტული განაწილების წარმომადგენლობითობა.
- რეგიონები: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, გურია, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, თბილისი. შერჩევაში ყველა რეგიონი წარმოდგენილია, სულ მცირე, ერთი სკოლით.
- პროპორციები: მთიანი რეგიონიდან – 6 სკოლა, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან – 4 სკოლა, იძულებით გადაადგილებული პირების სკოლები – 2.
- სასკოლო საზოგადოების წევრთა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა; სკოლის ადმინისტრაციის პროექტში მონაწილეობის მოტივაცია და ინტერესი.
- ქალთა თანაბარი წარმომადგენლობა შერჩეული სკოლების ხელმძღვანელობაში.
- სკოლები, რომლებსაც არ ჰქონდათ მონაწილეობის შესაძლებლობა სხვა დონორთა დაფინანსებულ ინიციატივებში, ანდა სხვა პროექტებში სამოქალაქო განათლების, სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და ა.შ. შესახებ (ასეთ სკოლებს პრიორიტეტი მიენიჭათ).
- სკოლები, რომელთა დირექტორებსაც კონტრაქტი, სულ მცირე, 2026 წლამდე აქვთ.

როგორც კრიტერიუმებიდან ჩანს, სკოლები შეირჩა ისე, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილიყო მათი წარმომადგენლობითობა, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. მიუხედავად ამისა, კვლევის ფარგლებში 61 სკოლიდან შეგროვებული ინფორმაცია და მონაცემები საქართველოს მასშტაბით რეპრეზენტატული არ არის, თუმცა წარმოდგენას მაინც გვიქმნის ქვეყნის სკოლებში არსებულ სიტუაციაზე.

ანალიზის ჩარჩო – მონაწილეობის იდეალური ტიპები და ხარვეზების იდენტიფიცირება

სკოლებში დემოკრატიული ჩართულობის ფორმების გააზრებისას, სასარგებლო იქნებოდა ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც აღწერდა დემოკრატიული მონაწილეობის იდეალურ ტიპებს. ამ იდეალურ ტიპებთან მიმართებით არსებული ვითარების შესწავლა და შედარება საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ სკოლების შესაძლო მიღწევები და გამოწვევები ამ მიმართულებით. მოდელის შესამუშავებლად, დავფიქრდით გადაკვეთებზე

სხვადასხვა საკითხს შორის, როგორიცაა „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის“ პრინციპები, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვა, სკოლის დემოკრატიული მმართველობა და საერთო სასკოლო მიდგომა (სწავლა-სწავლება, მმართველობა და კულტურა, თემთან თანამშრომლობა).

შედეგად, შევიმუშავეთ ანალიზის ჩარჩო, რომელიც საშუალებას გვაძლევს, სკოლის სამი სფერო (სწავლა-სწავლება, მმართველობა და კულტურა, თემთან ურთიერთობა) შევისწავლოთ სამი ურთიერთდაკავშირებული პერსპექტივიდან (წესები და პოლიტიკა, პრაქტიკა, და ღირებულებები). ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენი კვლევისთვის რელევანტური ძირითადი განმარტებები, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა სკოლების თვითშეფასებისთვისაც. როგორც წინა თავში აღინიშნა, კვლევა დაიგეგმა იმ სამი ძირითადი თემატური მიმართულებით, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის საბჭოს მიერ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებისთვის შემუშავებული საერთო სასკოლო მიდგომის ფარგლებში.[25] ეს მიმართულებები ემთხვევა სხვა ძირითად საკითხებსაც, რომლებიც ამ ანგარიშზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა როგორც არსებული ლიტერატურის მიმოხილვის, ასევე წარსული გამოცდილების საფუძველზე.

აღნიშნული განმარტებები სკოლებსა და მკვლევრებს შეუძლიათ გამოიყენონ იმ კითხვების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა სკოლებში დემოკრატიული მონაწილეობის შესაფასებლად.

ცხრილი 1: ანალიზის ჩარჩო

მიმართულება	წესები და პოლიტიკა	პრაქტიკა და ღირებულებები
1. სწავლა და სწავლება	სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის“ პრინციპები, სავალდებულო და არჩევითი საგნების, საგანთაშორისი თემებისა და სასკოლო თუ საგნობრივი პროექტების მეშვეობით.	სასწავლო გეგმები/კურიკულუმები შემუშავებულია თანამონაწილეობითი პროცესის საფუძველზე. პედაგოგიური მიდგომები ეფუძნება დემოკრატიულ მიდგომებს (მაგ. დისკუსიებს). მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ერთად იმუშაონ, აირჩიონ სასწავლო მიზნები და შეაფასონ საკუთარი თუ თანატოლთა მიღწევები. მასწავლებლები თანამშრომლობენ კოლეგებთან და ადმინისტრაციის წევრებთან ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს სწავლა-სწავლების საკითხებზე. სკოლა ნერგავს კლასგარეშე სწავლების ფორმებს, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სწავლა-სწავლების პროცესი (როგორც საგნობრივი, ისე საგანთაშორისი და კლასგარეშე) ითვალისწინებს ღირებულებებს, რომლებიც შეესაბამება „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის“ პრინციპებს და ადამიანის უფლებათა სწავლებას. პედაგოგიური მიდგომები ინკლუზიურია და მგრძნობიარეა სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების, გენდერისა და უმცირესობათა ჯგუფების მიმართ.

25 ევროპის საბჭო, 2018.

მიმართულება	წესები და პოლიტიკა	პრაქტიკა და ღირებულებები
2. სკოლის მმართველობა და კულტურა	სკოლის პოლიტიკა, ნორმები და რეგულაციები აერთიანებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების პრინციპებს. ძალაუფლება და პასუხისმგებლობები სკოლის მმართველობაზე გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეთა შორის. სკოლის შიდა პოლიტიკის დოკუმენტები, ფიზიკური გარემო, სასკოლო ცერემონიები და გავრცელებული მითები ირეკლავს იდეების, კულტურებისა და დემოკრატიული ღირებულებების მრავალფეროვნებას, როგორიცაა პასუხისმგებლობა, თვითეფექტიანობა, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, სამართლიანობა და გამჭვირვალობა.	ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში. გადაწყვეტილებათა მიღებისას, სასკოლო ლიდერები აქტიურ კონსულტაციებს გადიან დაინტერესებულ მხარეებთან. სასკოლო თემი ინფორმირებულია მართვის პროცესებზე. სკოლის მმართველობითი სტრუქტურები და კოლეგიალურ გადაწყვეტილებათა მიმღები ერთეულები უზრუნველყოფენ სასკოლო თემის წევრთა სამართლიან წარმომადგენლობას და ეფექტიან მონაწილეობას რეალურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ვინც პირდაპირ არ არის ჩართული გადაწყვეტილებათა მიღებაში, ინფორმირებულია გადაწყვეტილების მიღების გზებზე. სასკოლო კულტურა ითვალისწინებს დემოკრატიულ ღირებულებებს.
3. თემთან თანამშრომლობა	სკოლის პოლიტიკა, წესები და რეგულაციები და მმართველობითი სტრუქტურები (მაგ: საბჭოები, მისია, ბიუჯეტი) აძლიერებენ სკოლისა და თემის ურთიერთობებს. სასკოლო პოლიტიკა შესაძლებელს ხდის და წაახალისებს არასასკოლო თემის წარმომადგენელთა ჩართულობას სკოლაში, ისევე, როგორც სასკოლო თემის წევრთა მონაწილეობას გარე თემის განვითარებაში.	სკოლა აქტიურად რთავს სასკოლო თემის წარმომადგენლებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მმართველობაში. სკოლა ავითარებს თანამშრომლობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა სკოლებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სათემო ლიდერებსა და კერძო სექტორთან, რომლებსაც რთავს სასკოლო ცხოვრებაში, მის გასამრავალფეროვნებლად. სკოლა არ რიყავს უმცირესობათა ჯგუფების წევრებს. იგი ნერგავს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას და ითვალისწინებს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას (მაგ: ცერემონიებს, სიმბოლოებს და სხვა).

ამ ანალიზის ჩარჩოზე დაყრდნობით, მე-2 ცხრილში შეჯამებულია წინამდებარე კვლევის ჩარჩო და ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება. ერთი მხრივ, შევარჩიეთ საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ წინასწარი მონაცემებისა და არსებული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე; მეორე მხრივ კი, თემების მიხედვით წარმოდგენილია დესკრიპტორები, რომლებზე დაყრდნობითაც შემუშავდა დეტალური საკვლევი გეგმა და კვლევის ინსტრუმენტები.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო ეფუძნება სამ ფართო მიმართულებას (სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობა და კულტურა, თემთან ურთიერთობა), თუმცა კვლევის მიზანი არ იყო ამ სფეროების ყველა ასპექტის სრულად და ამომწურავად წარმოჩენა. კონკრეტული თემები და საკვლევი საკითხები შეარჩიეს კვლევის ჯგუფის წევრებმა, შინაარსობრივი დისკუსიების საფუძველზე. პრიორიტეტი მიენიჭა საკითხებს, რომლებიც, უკვე არსებული კვლევების თანახმად, მნიშვნელოვანი და აქტუალურია ამჟამინდელ საგანმანათლებლო კონტექსტში.

შეგახსენებთ, რომ ეს სამი თემატური მიმართულება და თითოეულ მათგანში განხილული საკითხები ხშირად გადაფარავს ერთმანეთს. მაგალითად, მშობლების ჩართულობა განი-

ხილება როგორც სკოლის მმართველობისა და კულტურის, ასევე თემთან თანამშრომლობის ჭრილში. პირველ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია სკოლის მმართველ ორგანოებში ჩართულობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში განიხილება სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის უფრო ფართო ფორმები. ანალოგიურად, სწავლა-სწავლების კატეგორიაში განხილული ზოგიერთი ელემენტი შეიძლება უკავშირდებოდეს სკოლის მმართველობასა და კულტურას, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება საკლასო წესებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს. მიუხედავად ასეთი გადაკვეთებისა, მეორე ცხრილში წარმოდგენილი სტრუქტურა მიზანმიმართულად შეირჩა, რადგან იგი ეყრდნობა ევროპის საბჭოს საერთო სასკოლო მიდგომას.

ცხრილი 2: საკვლევი მიმართულებების ჩარჩო

მიმართულება, თემა		დესკრიპტორები
სწავლა-სწავლება	**სასკოლო სასწავლო გეგმა**	შემუშავებულია ფართო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
		სასკოლო სასწავლო გეგმა რეალურად ასახავს სკოლის ფილოსოფიას, ღირებულებებსა და გეგმებს.
		ყველა დაინტერესებული მხარე ინფორმირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაზე.
	მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში	მოსწავლეებს უსაფრთხოდ და თამამად შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა კლასში.
		მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა სწავლების მეთოდებისა და თემების შერჩევაში.
		მოსწავლეებს აქვთ როგორც ერთმანეთის, ისე საკუთარი თავის შეფასების შესაძლებლობა.
	საკლასო წესები	საკლასო წესები მოსწავლეთა მონაწილეობით ყალიბდება.
		მოსწავლეებს სათანადო ინფორმაცია აქვთ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ კლასსა და სკოლაში.
	კლასგარეშე აქტივობები	ყველას (მოსწავლეებისა და მშობლების ჩათვლით) შეუძლია ინიციატივების წარდგენა კლასგარეშე აქტივობების ჩატარებაზე.
		კლასგარეშე აქტივობები მრავალფეროვანია და ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას.
სკოლის მმართველობაა და კულტურა	**სასკოლო დოკუმენტაცია**	დოკუმენტაცია შემუშავებულია ფართო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
		სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები რეალურად ასახავს სკოლის სტრატეგიასა და აქტივობებს, რომლებიც პრაქტიკაშიც ხორციელდება.
		ყველა დაინტერესებული მხარე ინფორმირებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესახებ.
	გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები	სამეურვეო საბჭო ქმედითი ორგანოა, რომელიც რეალურად იღებს გადაწყვეტილებებს თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში.
		სასკოლო საზოგადოებას აქვს სამეურვეო საბჭოში მონაწილეობის სურვილი და უნარი.
		მოსწავლეთა თვითმმართველობა ქმედითი ორგანოა, რომელიც რეალურად იღებს გადაწყვეტილებებს და საქმიანობს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.
		მოსწავლეებს აქვთ თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი და უნარი.
	გადაწყვეტილებათა მიღება	გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი სკოლაში მონაწილეობითი და ინკლუზიურია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე.
		პასუხისმგებლობის დელეგირება ხდება სხვა მხარეებთან კონსულტაციით და მათი ჩართულობით.

მიმართულება, თემა		დესკრიპტორები
თემთან ურთიერთობა	**მშობელთა ჩართულობა**	მშობლებს აქვთ სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროში ქმედითად ჩართვის შესაძლებლობები.
		მშობლებს აქვთ სურვილი, აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, სხვადასხვა მიმართულებით.
		მშობლები კარგად არიან ინფორმირებულნი სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, ასევე, როგორც საკუთარ, ისე შვილების უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე.
	პარტნიორობა და თანამშრომლობა	სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მათ შორის, საკუთარი ინიციატივით.
		სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა სათემო ორგანიზაციასთან.
		სკოლა მუშაობს ადგილობრივ თემთან, სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად.

კვლევის მეთოდები

საკვლევ კითხვებს პასუხი გაეცა რამდენიმე მეთოდის გამოყენებით:

- არსებული დოკუმენტაციის მიმოხილვა: კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ საქართველოს ზოგადი განათლების კანონმდებლობა; მთავრობისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტები; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის სტანდარტები; და არსებული კვლევები სკოლების მართვის, მათში დემოკრატიული ჩართულობისა და მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ.
- ფოკუსჯგუფები: სამიზნე სკოლების მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და დირექტორებთან ჩატარდა ფოკუსჯგუფები.

ცხრილი 1: ფოკუსჯგუფების შემადგენლობა

სამიზნე ჯგუფი	ფოკუსჯგუფების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	ფორმატი
მოსწავლეები	2 – ერთი მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან, მეორე კი არაწევრ მოსწავლეებთან.	16	ონლაინ
მშობლები	2 – ერთი სამეურვეო საბჭოს წევრ მშობლებთან, მეორე კი არაწევრ მშობლებთან.	18	ონლაინ
მასწავლებლები	2 – ერთი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან, მეორე კი სხვა საგნების მასწავლებლებთან.	18	პირისპირ
სკოლის დირექტორები /მოადგილეები	1	11	პირისპირ

- ინტერვიუები: სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებთან ჩატარდა სამ-სამი ჩაღრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა სფეროს 5 ექსპერტთანაც.

- კითხვარები: ყველა სამიზნე ჯგუფს – მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის დირექტორებს – შესავსებად დაეგზავნათ ონლაინკითხვარები, შერჩევის გარეშე.[26]

კვლევაში გამოყენებული კითხვარები, ასევე, ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების სადისკუსიო გეგმები, იხილეთ მე-4 დანართში.

ქცევითი მეცნიერების მიდგომები

კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გამოვიყენეთ ქცევითი მეცნიერების მიდგომები, როგორც რაოდენობრივი კვლევის დიზაინში, ასევე თვისებრივ კომპონენტში.

ქცევითი მეცნიერება, რომელიც სოციალური მეცნიერების სფეროს ნაწილია, სწავლობს ადამიანთა განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების სისტემას: კერძოდ, რა სოციალური, სტრუქტურული თუ კულტურული ბარიერები და მოტივატორები ახლავს ამა თუ იმ ქცევას. კერძო სექტორი უკვე დიდი ხანია ეყრდნობა ქცევითი მეცნიერების მიგნებებს ბიზნესპრაქტიკისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად. მისი გამოყენება იზრდება საჯარო სექტორშიც. ქცევითი მეცნიერების ეფექტიანობა და როლი საჯარო პროგრამებისა და პოლიტიკის გაუმჯობესებაში უკვე დადასტურდა. შესაბამისად, მასზე დაფუძნებულ მიგნებებს მზარდად იყენებენ სხვადასხვა პროგრამისა თუ პოლიტიკის დიზაინსა და განხორციელების პროცესში.

ქცევითი მეცნიერებისა და მიგნებების მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ე. წ. Intention Action Gap[27] კვლევის სამიზნე ჯგუფებში – ანუ როდესაც არსებობს ცნობადობის გარკვეული დონე (ჩართულობა მნიშვნელოვანია სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის), ინფრასტრუქტურული წინაპირობა (სკოლებში დანერგილია ჩართულობის მექანიზმები), დადებითი დამოკიდებულება (ჩართულობა ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გაზიარებას), თუმცა ეს ყველაფერი არ აისახება ქმედების დონეზე. სხვადასხვა გამოწვევის დროს „სურვილისა და ქმედების აცდენა" სხვადასხვაგვარად ვლინდება, თუმცა ყველა მათგანი შეიძლება აიხსნას პარადიგმით, რომ ადამიანთა განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი ხშირად ირაციონალურ სისტემას ეყრდნობა და, უმეტესწილად, მიზეზი შეიძლება იყოს მარტივი (მაგ: დავიწყება, სიზარმაცე, სხვა პრიორიტეტები, პროცესის სირთულე ან გაურკვევლობა, ირაციონალური შიში და ა.შ.), ანდა უფრო სიღრმისეულიც (მაგ: სოციალური მიუღებლობა, ფესვგამდგარი მითები, სოციალური ნორმის არარსებობა და ა.შ).

შესაბამისად, ტრადიციული კვლევის მეთოდოლოგიაში ამ მიდგომის ინტეგრირებით, შევეცადეთ, დაგვედგინა, რას ეყრდნობა დირექტორების, მასწავლებლების, მშობლებისა თუ მოსწავლეების განსჯისა და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი; ასევე, ამოგვეცნო, რა ხარისხით მონაწილეობს ირაციონალური სისტემა მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც უკავშირდება სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას. ამ მიზნით, კვლევის თვისებრივ კომპონენტში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები და სპეციალურად შემუშავდა ქცევითი ასპექტების გამოსავლენი კითხვები – მომხმარებლის კვლევის მეთოდოლოგია (user survey methodology), რომელიც განსაკუთრებით ეფექტიანია მოხმარების მოდელებზე (usability testing) დასაკვირვებლად და ბარიერებისა თუ წამახალისებელი ასპექტების გამოსავლენად. ეს ინტერვიუები ჩატარდა ექსკლუზიურად პირისპირ რეჟიმში, რამაც შესაძლებელი გახადა პირდაპირი დაკვირვება და ხელი შეუწყო შეხედულებების ხარისხიან შეგროვებას. ინტერვიუების მთავარი ფოკუსი იყო მასწავლებელთა და დირექტორთა ქცევებისა და გამოცდილებების გამოვლენა მონაწილეობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ამჟამინდელი ან წარსული გამოცდილებების გამოკვლევა, რაც უფრო სანდოდ აჩვენებს რეალურ ქცევებს.

26 სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ VII-XII კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები.
27 Hassan et al., 2016.

სიტუაციის ანალიზი

ამ თავში განხილულია საქართველოში არსებული საკანონმდებლო და რეგულაციური გარემო კვლევის ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული სამი ძირითადი მიმართულებით (სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობაა და კულტურა და თემთან ურთიერთობა); ასევე, მოკლედ არის წარმოდგენილი ამ მიმართულებებით არსებული კვლევების შედეგები.

თემების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ყოვლისმომცველი მიმოხილვის ნაცვლად, ყურადღება გამახვილდა საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საკვლევ კითხვებს და კვლევის ფარგლებში ჩატარებულ საველე სამუშაოებს.

სწავლა-სწავლება

ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმები, სწავლა-სწავლების პროცესი, საგაკვეთილო პროცესი, სწავლების მეთოდები და მიდგომები, ასევე, კლასგარეშე აქტივობები, შესანიშნავი საშუალებაა, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ერთი მხრივ, თითოეული მათგანი კარგ შესაძლებლობას იძლევა დემოკრატიული პრინციპების ინტეგრირებისათვის; თუმცა, მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ ამ გეგმების ორგანიზება, სასწავლო პროცესების დაგეგმვა-განხორციელება და სხვადასხვა მხარის აქტიურად ჩართვა ამ პროცესებში.

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო

▸▸ *ეროვნული სასწავლო გეგმა*

ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ)[28], თავისი არსით, ხელს უწყობს დემოკრატიულ განვითარებას და საფუძველს ქმნის დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, ორი გზით:

ა) შეიმუშავებს **საგნობრივ სასწავლო გეგმებს** იმ კომპეტენციათა განვითარებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქისთვის (მაგ: ადამიანის უფლებათა ცოდნა და გაგება, აქტიური მოქალაქეობა, პასუხისმგებლობის აღების, მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარები და სხვა);

ბ) აწყობს იმგვარ **სასკოლო გარემოს**, რომელიც დემოკრატიულად ცხოვრების გამოცდილებას შესძენს სასკოლო საზოგადოებას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია რვა პრიორიტეტული თემა: ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ბ) გარემოს დაცვა; გ) ჯანსაღი ცხოვრება; დ) სამოქალაქო უსაფრთხოება; ე) კონფლიქტების მართვა; ვ) ფინანსური წიგნიერება; ზ) კულტურული მრავალფეროვნება; თ) ადამიანის უფლებები.

გარდა ამისა, საგნობრივ სასწავლო გეგმებშიც ინტეგრირდა პრინციპები, რომლებიც

28 საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2018

ხელს უწყობს მოსწავლეთა სამოქალაქო განათლებას. პირველ რიგში, ეს არის „სამოქალაქო განათლება“, რომელიც სავალდებულო საგანია VII-XII კლასებში; ასევე, დაწყებითი საფეხურის საგნები „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასი) და „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლასები). მოქალაქეობრივი განათლება და კომპეტენციები აისახა ქართული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო მიზნებშიც. გარდა ამისა, არასრული და სრული საშუალო განათლების საფეხურებზე დემოკრატიული ღირებულებები ყალიბდება ისტორიის მეშვეობით. ესგ-ის თანახმად, „საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის“.[29]

ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ) ექსპლიციტურად არ მოითხოვს სკოლებისგან ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიული თანამონაწილეობის შესაძლებლობათა შექმნას. თუმცა, დოკუმენტით დაწესებული რეგულაციები შესაძლებლობას იძლევა, სკოლაში დემოკრატიულად წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს რეგულაციები შეეხება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას, სასწავლო პროცესის ორგანიზებას, მოსწავლეთა შეფასებას და არჩევითი საგნების შეთავაზებას.

▸▸ *სასკოლო სასწავლო გეგმა*

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა სკოლა უნდა ქმნიდეს თავის სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, მიზნებსა და განზრახვებს (სკოლის ფილოსოფიასა და კურიკულუმებს) და, მეორე მხრივ, სკოლის განვითარების ხელშემწყობ პროცესებს: თუ როგორ უნდა შეძლოს სასწავლო დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის განვითარება, რესურსების მართვა და მოსწავლეების აღზრდა და მხარდაჭერა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმებს საქართველოში მართლაც ყველა სკოლა შეიმუშავებს, თუმცა როგორ იქმნება და რა შინაარსისაა ისინი, ამის კვლევა, ჩვენი ინფორმაციით, არ ჩატარებულა, ან არ არის ხელმისაწვდომი.

▸▸ *სასწავლო პროცესის ორგანიზება*

სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითად პრინციპებს ესგ განსაზღვრავს, თუმცა სკოლებს აქვთ საშუალება, პროცესის გარკვეულ ასპექტებზე თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება. მაგალითად, ესგ ადგენს, რომ საჯარო სკოლებში სწავლა კვირაში ხუთი დღე უნდა მიმდინარეობდეს, თუმცა უშვებს შესაძლებლობას, რომ სკოლა სახელმწიფოს შეუთანხმდეს განსხვავებულ გრაფიკზე.

მსგავსი პრინციპი მოქმედებს, როდესაც განისაზღვრება გაკვეთილების ხანგრძლივობა. სახელმწიფო ადგენს ტიპური გაკვეთილის ხანგრძლივობას – 35 წუთი I კლასში, 40 წუთი II-ში და 45 წუთი დანარჩენ კლასებში, მაგრამ შესაძლებელია განსხვავებულ საგაკვეთილო დროზე შეთანხმება სახელმწიფოსთან.

მსგავსი სისტემა მოქმედებს მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის დროსაც: კლასში არ უნდა იყოს 25 მოსწავლეზე მეტი, თუმცა, სახელმწიფოსთან შეთანხმებით, ამ რაოდენობის გაზრდა შეიძლება 29-მდეც.

29 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2018.

ესგ, გარკვეული ჩარჩოების დათქმით, აწესებს შესაძლებლობას, რომ სკოლამ კლასები გაყოს საკუთარი ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს, ძირითადად, სასურველია სწავლების ინტენსივობის გასაზრდელად (მაგ. უცხო ენების სწავლებისას, მოსწავლეები შედარებით მცირე ჯგუფებად არიან ორგანიზებულნი).

გარდა ამისა, ესგ სკოლებისგან ითხოვს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შეიმუშაონ სპეციალური სასწავლო გეგმები, ან დამატებითი საგანმანათლებლო ღონისძიებები.

▸▸ *შეფასება*

სკოლას ფართო უფლებამოსილება აქვს მოსწავლეთა შეფასების წესების დადგენისას. მას შეუძლია, თავად განსაზღვროს შეფასების ძირითადი კომპონენტები. ესგ-ის ძველ რედაქციაში არსებობდა სამი სტანდარტული კომპონენტი: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი შეფასებები, ხოლო ახალი რედაქციით, სკოლას შეუძლია, თავად განსაზღვროს ნებისმიერი კომპონენტი.

სკოლას ასევე უფლება აქვს, არ მისდიოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ 10-ქულიან სკალას და საკუთარი სურვილისამებრ შეიმუშაოს ალტერნატიული შეფასების სკალა. სახელმწიფოს განსაზღვრებით, თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, 5 ქულა, რომ კლასი ან საფეხური დაძლეულად ჩაეთვალოს. თუმცა, გაძლიერებული სტატუსის მქონე სკოლებს შეუძლიათ, უფრო მაღალი ბარიერი დააწესონ იმავე მიზნისთვის.

▸▸ *ენებისა და არჩევითი საგნების სწავლება*

ესგ-ის მიხედვით, სკოლას შეუძლია, არაქართულენოვანი სკოლების ან სექტორების მოსწავლეთათვის შეცვალოს რეკომენდებული საათობრივი ბადე. მას უფლება აქვს, ასწავლოს მშობლიური ენა, დამოუკიდებლად, ან რომელიმე სხვა უცხო ენის ჩანაცვლების ხარჯზე.

სკოლა ვალდებულია, პირველ უცხო ენად მოსწავლეებს შესთავაზოს ინგლისური, მეორე უცხო ენას კი თავად მოსწავლეები ირჩევენ. ესგ-ის მიხედვით, მეორე უცხო ენის შესწავლისთვის, სკოლა, სულ მცირე, ორ არჩევანს უნდა სთავაზობდეს მოსწავლეებს.

X-XII კლასებში სკოლას შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი, არჩევითი საგნები. მართალია, ესგ განსაზღვრავს ასეთი საგნების ჩამონათვალს, თუმცა უფლებას აძლევს სკოლებს, თავად ჩამოაყალიბონ სხვა საგნების კურიკულუმებიც, მათი დანერგვის მიზნით.

▸▸ *ნაკლებად დარეგულირებული საკითხები*

საინტერესოა, რომ ესგ-ის ბოლო რედაქცია აღარ ითხოვს სკოლებისგან დემოკრატიული ჩართულობისთვის სასარგებლო ისეთი ინსტრუმენტის არსებობას, როგორიცაა საგნობრივი ჯგუფის კათედრა (წინა რედაქციაში ამ კათედრის მიზანი იყო კურიკულუმებზე მუშაობა, სახელმძღვანელოების შერჩევა და სხვა). არსებული რედაქცია ასევე არაფერს ამბობს სახელმძღვანელოთა შერჩევაზე. ამ თემასთან დაკავშირებით, არსებობს დამატებითი ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა სკოლების მიერ სახელმძღვანელოების გამოყენებისა და ალტერნატიული სახელმძღვანელოების შეთანხმების წესი. არც ამ ახალი წესის მიხედვით არის აუცილებელი საგნობრივი კათედრის მსჯელობა სახელმძღვანელოთა შერჩევაზე. სიახლეა ის, რომ განსხვავებული (არაგრიფირებული) სახელმძღვანელოს შერჩევისას, სკოლამ ფსიქოლოგის დასკვნა უნდა წარმოადგინოს სკოლაში მისი გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ხაზს უსვამს „მოსწავლეზე ორიენტირებული“ მიდგომის მნიშვნელობას სწავლასა და სწავლებაში. კანონის თანახმად, სასწავლო პროცესი უნდა განხორციელდეს „დადებით და მოწესრიგებულ გარემოში“, სადაც „ყველაზე მნიშვნელოვანია დადებითი ურთიერთობები“, ხოლო მოსწავლე „დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელია საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესზე“. მასში ასევე ხაზგასმულია მოსწავლეთა დახმარების მნიშვნელობა, რათა დაინახონ იმ ამოცანების მიზანი, რომლებშიც არიან ჩართულნი, ასევე, „მიმდინარე სასკოლო აქტივობებსა და გარე სამყაროს შორის კავშირი“.[30]

კანონი ასევე ამბობს, რომ მოსწავლეს უნდა შეეძლოს აქტიური მონაწილეობა არა მარტო „საგანმანათლებლო პროცესში“, არამედ „თანატოლების სასწავლო პროცესშიც“. თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა რეკომენდებულია „პროექტებში მონაწილეობისას“, ასევე, „დაგეგმვის ან პრეზენტაციის“ დროს, და მოსწავლეები უნდა „დაეხმარონ ერთმანეთს“ სწავლასა და განვითარებაში.[31]

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ინდიკატორები განავრცობს ამ ძირითად რეგულაციებს, მოითხოვს რა ყველა მასწავლებლისგან „მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარების“ ხელშეწყობას, „ბუნებრივი და სოციალური გარემოსადმი პასუხისმგებლობის“ ჩამოყალიბებას და „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე“ ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენებას.[32]

არსებული კვლევების მიმოხილვა

მთელი რიგი კვლევები აანალიზებს როგორც მოქალაქეობრივი განათლების ინტეგრაციას სასწავლო რესურსებსა და პრაქტიკაში, ასევე დემოკრატიული პრინციპების დანერგვას სწავლა-სწავლების პროცესში. ავტორთა ჯგუფის მიერ 2022 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, რომელიც შეეხება საქართველოს სკოლებში მოქალაქეობრივი განათლების შესწავლას, ამ კუთხით კომპლექსურად გაანალიზდა სხვადასხვა საფეხურისა და საგნის სახელმძღვანელოები. შედეგად, ავტორები ასკვნიან, რომ სასკოლო სახელმძღვანელოთა უმეტესობა სრულფასოვნად ვერ ემსახურება მოქალაქეობრივ განათლებას. საერთო ჯამში, სკოლის სახელმძღვანელოთა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მიმართულებით მოსწავლეებში ჩამოსაყალიბებელი მნიშვნელოვანი კომპონენტებიდან (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები) შედარებით სრულად არის წარმოდგენილი ცოდნის ხელშემწყობი მასალები, თუმცა სასურველია ამ მასალების შემდგომი სრულყოფა. რაც შეეხება უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ხელშემწყობ სასწავლო მასალებსა და აქტივობებს, აქ, ავტორების დასკვნით, ერთმნიშვნელოვნად საჭიროა მასალების გამრავალფეროვნება და გამდიდრება.[33]

ევროპის საბჭოს მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევა ხაზს უსვამს, რომ „სამოქალაქო განათლების“ სწავლებაში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. კერძოდ, ბოლო წლებში ამ საგანს უფრო მეტი პროფესიონალი ასწავლის, რომლებსაც სპეციალიზებული ცოდნა აქვთ, თუმცა ხშირად მას სხვა საგნების მასწავლებლებიც ასწავლიან. კვლევის ავტორთა დასკვნით, პრობლემაა ისიც, რომ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ნაწილი, განსაკუთრებით, უფრო ასაკოვანები, ზოგჯერ არ იზიარებენ სამოქალაქო განათლების ძირითად პრინციპებს. შესაბამისად, „მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის რეგულაციები სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებით ძალიან უწყობს ხელს მოსწა-

30 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 35.
31 იქვე, მუხლი 36.
32 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი II, მუხლი 6.
33 მალაზონია და სხვები, 2022.

ვლის მონაწილეობაზე ორიენტირებას, პრაქტიკაში ყოველთვის ასე არ ხდება კლასში."[34]

სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობაზე არ გვაქვს ბევრი ინფორმაცია, თუმცა გარკვეულ მიგნებებს შეგვიძლია გავეცნოთ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ.[35] მოსწავლეთა არარეპრეზენტატული რაოდენობრივი გამოკითხვის თანახმად, მათ აზრს მასწავლებლები იშვიათად ან საერთოდ არ ითვალისწინებენ სასწავლო განრიგის შედგენისა ან მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევისას, თუმცა კლასგარეშე აქტივობათა დაგეგმვაში ისინი უფრო მეტად არიან ჩართულნი. ამავე კვლევის ფარგლებში, მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ მოსაზრებებს მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებენ სასწავლო განრიგის შედგენისა და სასწავლო რესურსების შერჩევისას. კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწავლა-სწავლების რიგ საკითხებზე უფრო სკოლის ადმინისტრაცია იღებს და არა მასწავლებლები.[36]

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში (2015) მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ სასწავლო მასალების შემუშავებისას საკმაოდ მაღალია მათი როგორც ჩართულობის, ასევე ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი. თუმცა, კვლევის მიგნებების თანახმად, ამ თანამშრომლობას, ძირითადად, არაფორმალური და არასტრუქტურირებული სახე აქვს. ამავე კვლევაში მასწავლებლები მიუთითებენ, რომ ხშირად არ აქვთ თავისუფლება, სასწავლო პროცესზე დამოუკიდებლად, ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები.[37]

ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის მიგნებათა თანახმად, მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში ნელ-ნელა მიღებული პრაქტიკა ხდება, თუმცა ბევრგან მსგავსი პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არსებობს.[38] ძირითადად, ამის მიზეზებად სახელდება ის, რომ მასწავლებლებმა არ იციან, რა პოტენციური სარგებელი აქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობას; მათ არა აქვთ შესაბამისი სტრატეგიები მოსწავლეთა ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და არ იციან, როგორ უნდა განახორციელონ ეს სტრატეგიები პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია, პედაგოგებმა არა მხოლოდ გაიაზრონ მოსწავლეთა მონაწილეობის საჭიროება, არამედ გაიუმჯობესონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ, რომ სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში დანერგონ მიდგომები ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

სკოლის მმართველობაა და კულტურა

სკოლა ერთ-ერთი პირველი ინსტიტუციური გარემოა, სადაც ადამიანს უწევს ფუნქციონირება. სკოლას შეუძლია, მონაწილეობდეს ბავშვებსა და მოზარდებში დემოკრატიულ ღირებულებათა დანერგვაში, არა მხოლოდ სასწავლო გეგმის, სხვადასხვა საგნისა თუ კლასგარეშე აქტივობის საშუალებით, არამედ ამ ღირებულებების დანერგვით სკოლის მართვის პროცესში.

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასკოლო თემში მოაზრებულ ყველა მხარეს აქვს უფლება, მონაწილეობდეს სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე გადაწყვეტილებათა მიღებასა და მათ აღსრულებაში. კანონის დონეზე, სახელმწიფო უზრუნველყოფს დემოკრატიულ პროცესებს სასკოლო გარემოში, თუმცა როგორც აქამდე არსებული კვლე-

34 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.
35 მალაზონია და სხვები, 2022.
36 Ibid.
37 სოციალური კვლევისა და ანალიზის ცენტრი, 2015
38 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.

ვები, ასევე წინამდებარე კვლევა, გვიჩვენებს, რომ ხშირად, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს უფლება პრაქტიკაში არ ან ვერ გამოიყენება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის ძირითად პრინციპებს ქვეყანაში არეგულირებს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ".[39] იგი განსაზღვრავს, რომელი ორგანოები არიან წარმოდგენილნი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სტრუქტურაში, როგორ კომპლექტდება ეს ორგანოები და რა უფლებები და პასუხისმგებლობები აქვთ მათ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურაში შედის:

- სამეურვეო საბჭო
- დირექცია
- პედაგოგიური საბჭო
- მოსწავლეთა თვითმმართველობა
- დისციპლინური კომიტეტი (რომელიც ამ კვლევას დეტალურად არ შეუსწავლია).

▸▸ *სამეურვეო საბჭო*

სამეურვეო საბჭოს სკოლაში უფრო სტრატეგიული როლი აქვს, ვიდრე ოპერაციული. ზოგადად, ის არ არის ჩართული სკოლის ყოველდღიურ მართვაში. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სკოლის ეფექტიან და ეფექტურ მართვას, რათა ბავშვებს მიეცეთ შეძლებისდაგვარად საუკეთესო განათლების მიღების საშუალება. ამის მისაღწევად, სამეურვეო საბჭო, მათ შორის, უზრუნველყოფს, რომ:

- დაიგეგმოს სკოლის სტრატეგიული მიმართულებები;
- ზედამხედველობა გაეწიოს სკოლის ფინანსურ მდგომარეობას;
- განისაზღვროს სკოლის დირექტორისა და ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულება;
- გაუმჯობესდეს სკოლის სასწავლო გარემო.

სამეურვეო საბჭო არჩევითი ორგანოა, რომელიც შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით და სამწლიანი ვადით არჩეული არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წარმომადგენლისგან, ასევე, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისგან. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი.

სამეურვეო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

- დირექტორის არჩევა წარდგენილი კანდიდატებიდან;
- სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვისა და ქონების განკარგვის გაკონტროლება;
- სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება;
- სასკოლო სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოთა სიაზე თანხმობის გამოხატვა;
- დისციპლინური კომიტეტის ჩამოყალიბება დისციპლინური გადაცდომების განსახილველად.

▸▸ *სკოლის დირექცია*

სკოლის ლიდერობასა და მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლის დირექტორსა და მოადგილე(ებ)ს. მათ ფუნქციებში შედის:

39 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2005.

- საშტატო განრიგის შემუშავება;
- შინაგანაწესისა და სკოლის ბიუჯეტის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად;
- სკოლის წესდების პროექტის შემუშავება და სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად; სკოლის წესდების შეთანხმებული პროექტის დასამტკიცებლად წარდგენა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის;
- მონაწილეობა პედაგოგიური საბჭოს მიერ სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და ვადამდე შეწყვეტა;
- სამეურვეო საბჭოსთვის წლიური ანგარიშების წარდგენა;
- ეკონომიკური გარიგებების დადება;
- სასწავლო პროცესის ზედამხედველობა;
- სკოლის წესდების შემუშავება სამეურვეო საბჭოსთვის წარსადგენად.

▸▸ *პედაგოგიური საბჭო*

პედაგოგიურ საბჭოს ქმნის სკოლის ყველა პედაგოგი და ხელმძღვანელობს სამი წლით არჩეული თავმჯდომარე. ეს ორგანო:

- დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;
- სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხას;
- ირჩევს თავის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში.

▸▸ *მოსწავლეთა თვითმმართველობა*

ეს არის არჩევითი ორგანო, რომელშიც საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციებია:

- რეკომენდაციების შემუშავება სკოლის შინაგანაწესის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოსთან წინადადებების წარდგენა სკოლისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე;
- სამეურვეო საბჭოში საკუთარი წარმომადგენლის არჩევა;
- მოპოვებული გრანტების განკარგვაში მონაწილეობა;
- სასკოლო კლუბების შექმნა წევრთა მეხუთედის ინიციატივით.

არსებული კვლევების მიმოხილვა

სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების მიგნებები, საჯარო ინფორმაციასა და მონაცემებთან ერთად, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ფუნქციონირებენ რეალობაში სკოლის მართვის ორგანოები.

ევროპის საბჭოს კვლევის მიგნებათა თანახმად, სამეურვეო საბჭოს სასკოლო თემის წარმომადგენლები, ძირითადად, ფორმალურ ორგანოდ მიიჩნევენ, რომელიც რეალურად არ ან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს და, ხშირ შემთხვევაში, სრულად ვერ

იყენებს უფლებამოსილებებს სკოლის სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად.[40] ამის მიზეზად სახელდება საქართველოს სკოლებში თვითმმართველობის ტრადიციის, ინფორმირებულობის, მოტივაციისა და დაინტერესების ნაკლებობა.

თუმცა, სამეურვეო საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებას შესაძლოა სტრუქტურული მიზეზებიც უშლიდეს ხელს. მაგალითად, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა დირექტორების არჩევა. კანონის თანახმად, საბჭო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წარდგენილ, კონკურსგავლილ კანდიდატთაგან დირექტორს ირჩევს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით და თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე.[41]

მიუხედავად კანონში არსებული ამ ჩანაწერებისა, საჯარო სკოლის დირექტორთა არჩევნები, რეალურად, საქართველოს სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილში ტარდება. მაგალითად, 2023 წელს სკოლების მხოლოდ 18%-ში წარედგინათ ერთზე მეტი დირექტორობის კანდიდატი სამეურვეო საბჭოებს ასარჩევად. ქალაქის სკოლების 10%-ს საერთოდ არ ჰყავდა კანდიდატი, ნახევარში კი მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო. ასევე არ ჰყავდა კანდიდატი სოფლის სკოლების 40%-ს. დაბალი იყო კონკურენცია სკოლებში, რომლებსაც ერთი ვადით ნამუშევარი დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავდათ, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობით. როგორც ჩანს, ასეთ სკოლებში კონკურენციაში ნაკლებად ჩაერთნენ ახალი კანდიდატები.[42] ეს გარემოება სამეურვეო საბჭოებს უზღუდავს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობას – დირექტორის არჩევას.

ბიუჯეტის შემუშავება სამეურვეო საბჭოს მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციაა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, სკოლების დიდ ნაწილს არა აქვს საშუალება, თვითონ დაგეგმონ ბიუჯეტი, რადგან აუცილებელი ხარჯების დაფარვის შემდეგ, ბევრ სკოლას არ რჩება თავისუფალი თანხები განსაკარგავად.[43]

რაც შეეხება მოსწავლეთა თვითმმართველობას, არსებული კვლევების თანახმად, მოსწავლეებს „არა აქვთ განცდა, რომ თვითმმართველობა მათი საჭიროებების ლობისტია და, სხვადასხვა პრობლემის ან სურვილის არსებობისას, შეუძლიათ, დახმარებისათვის სწორედ მას მიმართონ“.[44] მეტიც, კვლევის მიგნებათა თანახმად, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეთა თვითმმართველობას სხვა მოსწავლეები დირექტორის დამხმარე ორგანოდ აღიქვამენ და მათი ეფექტიანი საქმიანობაც დირექციასთან კარგი ურთიერთობის შედეგად მიაჩნიათ. მთავარ პრობლემად ავტორები აქაც ინფორმაციის ნაკლებობას და მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის არასათანადოდ გააზრებას თვლიან.[45]

ევროპის საბჭოს კვლევის მიგნებათა თანახმად, მოსწავლეთა თვითმმართველობების ფუნქციონირებაში ბევრი ტიპის გამოწვევა გამოვლინდა. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით სავალდებულოა, ზოგ სკოლაში თვითმმართველობა ჯერაც არ არსებობს. სადაც თვითმმართველობის საქმიანობა წარმატებულად აღიქმება, ამას დირექციისა და მასწავლებლების მხარდაჭერას უკავშირებენ. ის, რომ ეს მხარდაჭერა ყველგან თანაბარი არ არის, ერთ-ერთი პრობლემაა.[46] ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებაში, ძირითადად, მოიაზრება აქტივობები არაფორმალური განათლებისა და საკლუბო საქმიანობის მიმართულებით. სამწუხაროდ, ნაკლებად გვხვდება გამოცდილებები, რომლებიც გულისხმობს მოსწავლეთა რეალურ მონაწილეობას სხვა ტიპის გადაწყვეტილებათა მიღებაში.[47]

40 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.
41 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005.
42 სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2023.
43 სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2014.
44 მალაზონია და სხვები, 2022.
45 Ibid.
46 ჰადლსტონი და არავიაშვილი, 2022.
47 Ibid.

თემთან ურთიერთობა

საკვლევი ჩარჩოს შესაბამისად, ამ მიმართულებით, გამოვყავით ორი ძირითადი თემა: მშობელთა ჩართულობა და პარტნიორობები და თანამშრომლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი იკვლევს და ამტკიცებს დადებით კორელაციას მშობლის ჩართულობასა და მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას შორის, საქართველოში ძალიან მწირია კვლევები, რომლებიც სწავლობს, თუ რა ფორმებით და როგორ უნდა ჩაერთოს მშობელი სასკოლო ცხოვრებაში.

მშობელთა ჩართულობას სხვადასხვა ფორმა აქვს.[48] ერთ-ერთია მონაწილეობა სასკოლო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მოსწავლეთა სასკოლო განათლებაში მონაწილეობის მიმართულებით, მკვლევართა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ განასხვავებს ერთმანეთისგან მშობელთა სკოლაში ჩართულობას და სწავლაში ჩართულობას.[49]

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო

მშობელთა სკოლაში ჩართულობის კუთხით, საქართველოში არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო და პოლიტიკა. საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი განათლების კანონით, მშობლებს გარანტირებული აქვთ უფლებები, რომლებიც სასკოლო ცხოვრების ფართო სპექტრს ფარავს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მშობელს შეუძლია: მონაწილეობდეს სკოლის მმართველობით პროცესებში, ასევე, მარეგულირებელი აქტების მიღებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში; ჰქონდეს წვდომა ფინანსურ დოკუმენტაციასთან და მონაწილეობდეს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებაში; არჩეული იყოს წარმომადგენლად სკოლის სამეურვეო საბჭოში, პედაგოგიურ საბჭოსა თუ დისციპლინურ კომიტეტში. წარმომადგენელ მშობელს შეუძლია, ჩაერთოს საკადრო გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა და გათავისუფლება, მასწავლებლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, დისციპლინური გადაცდომების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება; ასევე, გასცეს სავალდებულო თანხმობა სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე. დამატებით, 2018 წელს საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ" შევიდა ცვლილება, რომლითაც სკოლებს გაუჩნდათ მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

არსებული კვლევების მიმოხილვა

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებათა უმეტესობის რეალიზაცია დამოკიდებულია ინდივიდუალურ სკოლებსა და მათ გადაწყვეტილებებზე. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები (რომლებიც უფრო დეტალურად ქვემოთაა განხილული), გვიჩვენებს, რომ ხშირად ეს უფლებები ვერ ხორციელდება ეფექტიანად. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: მშობლების ინფორმირებულობის დაბალი დონე, სკოლასთან თანამშრომლობის გზებისა და სტრატეგიების არცოდნა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალურ-კულტურული საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულად იჩენს თავს მცირეკონტინგენტიან და სოფლის სკოლებში.

2015 წელს ჩატარებული PISA-ის კვლევის მიხედვით[50], დირექტორთა 90% მიიჩნევს, რომ სკოლები ყველა შესაძლებლობას იყენებენ მშობელთა ჩასართავად. არასაკმარისი ჩართულობის მიზეზებად ამავე კვლევაში მშობელთა 36%-მა დაასახელა დაკავებულობა (დროის არქონა), 33%-მა – სკოლაში შეხვედრების არახელსაყრელი დრო და 17%-მა – ინფორმაციის ნაკლებობა ჩართულობის შესაძლებლობაზე.

48 Epstein et al., 2018.
49 Maria Castro et al., 2015.
50 გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2015.

PISA-ის 2015 წლის კვლევის შედეგები, მშობელთა ჩართულობის კვლევა, რომელიც 2020 წელს კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“, ასევე, ჩვენი პროექტის ფარგლებში ჩატარებული საჭიროებათა კვლევის თვისებრივი კომპონენტი, მიუთითებს, რომ მშობლები უფრო მეტად არიან ჩართულნი, როდესაც მათ შვილებს აქვთ დისციპლინური ან სხვა ტიპის პრობლემები: „საქართველოში მშობელთა ჩართულობის ინდექსის მაჩვენებელი უარყოფითი ნიშნით არის დაკავშირებული მოსწავლის მიღწევასთან“. თუმცა, 2020 წლის კვლევაში ჩანს, რომ ბულინგის მსხვერპლი მოსწავლეები უფრო მეტად ამბობენ, რომ მათი მშობლები არ ეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში.[51]

2017 წელს კოალიციამ „განათლება ყველასათვის – საქართველო“ ჩაატარა მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის თვისებრივი კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა არასტრუქტურირებული, სპონტანური სახისაა და უფრო კერძო ინიციატივად შეგვიძლია განვიხილოთ. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებიც და მასწავლებლებიც ხედავენ ჩართულობის საჭიროებას, „არ არსებობს კონკრეტული პატერნები, რა ფორმით შეიძლება ხდებოდეს ეს“.[52]

კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის (2020) მიგნებათა თანახმად, სკოლისა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივი ურთიერთობების უდიდესი ნაწილი არ არის ინსტიტუციონალიზებული საჯარო სკოლებში. გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობას არა აქვს სრულყოფილი ინფორმაცია საკუთარ უფლება-მოვალეობებზე, ასევე, თუ რა გზებით შეუძლია ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში. სხვა კვლევების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა, რომ სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაცია უპირატესად ეხება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და ყოფაქცევის საკითხებს.[53]

წინამდებარე კვლევისას გამოკითხული მშობლებისთვის, სკოლის მმართველობაში მონაწილეობის ყველაზე ხშირი ფორმაა საკუთარი მოსაზრების გაცნობა კლასის დამრიგებლისთვის. მშობელთა ძალიან მცირე ნაწილმა თქვა, რომ დირექციისთვის გაუცნია თავისი მოსაზრება.

კვლევის ფარგლებში მშობლებსა და სკოლის დირექციასთან ჩატარებული ფოკუსჯგუფების დროს, მშობლებს გაუჭირდათ ინიციატივებისა და მოხალისეობის შემთხვევების გახსენება, გარდა ერთეული ფაქტებისა, ძირითადად, ღონისძიებების ორგანიზებასთან მიმართებით. მსგავსი შედეგები გამოვლინდა დირექტორებთანაც. მშობელთა ანკეტირების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სკოლაში რაიმე სახის ინიციატივა გამოკითხულთა მხოლოდ 16.7%-ს წარუდგენია.

დაბალი ჩართულობის მიზეზად სკოლის დირექტორები ასახელებენ მშობელთა დაბალ მოტივაციას და, ძირითადად, აკადემიური მოსწრების საკითხებით დაინტერესებას (მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იჩენს ყურადღებას კლასგარეშე აქტივობებისადმი). ისინი მიიჩნევენ, რომ მშობლები არ ინტერესდებიან თავიანთი უფლებამოსილებებითა და შესაძლებლობებით სკოლის მმართველობაში, თუმცა ასევე ადასტურებენ, რომ ამ მხრივ სკოლა მშობლებს აქტიურად არ აწვდის ინფორმაციას.

არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მშობლები განათლებისთვის“ ჯგუფური კონსულტაციის შედეგად, შემუშავდა გამოწვევების ჩამონათვალი, რომელშიც გამოიკვეთა, რომ სკოლებში არ არის დამკვიდრებული მშობელთა ჩართვის ორგანიზებული პრაქტიკა.[54]

მშობლების მოსაზრებით, რთულია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა: სკოლებს არ აქვთ მშობლებთან თანამშრომლობის სტრატეგიული ხედვა ან სამოქმედო გეგმა; მშობელთა მონაწილეობა უფრო ფორმალური და, უმეტესად, სპორადული სახისაა; სკოლა არ ზრუნავს მშობლების პედაგოგიზაციაზე; არ აწვდის მათ ინფორმაციას სასწავლო გეგმაზე; არ ნერგავს მშობლებისგან უკუკავშირის მიღების ეფექტიან მექანიზმებს; არ არის ღია კრიტიკული მოსაზრების მისაღებად; და ვერ ხედავს მშობლებთან თანამშრომლობის სარგებელს.

51 ააიპ „მშობლები განათლებისთვის“, 2020.
52 საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი, 2017.
53 ააიპ „მშობლები განათლებისთვის“, 2020.
54 ააიპ „მშობლები განათლებისთვის“, 2020.

საველე კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები ამ თავში წარმოდგენილია სამი მსხვილი მიმართულებით, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო ვიწრო თემებად იყოფა (როგორც აღწერილია 1-ელ ცხრილში). ეს მიმართულებებია:

- სწავლა-სწავლება
- სკოლის მმართველობა და კულტურა
- თემთან ურთიერთობა

თითოეული მიმართულებისა და თემისთვის წარმოდგენილია:

- კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგები
- ძირითადი მიგნებები
- საჭიროებათა შეფასება

აღწერითი სტატისტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა სტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით.

მე-2 ცხრილში წარმოდგენილია კითხვარის რესპონდენტთა რაოდენობები.

ცხრილი 2. კითხვარის რესპონდენტთა რაოდენობა

სამიზნე ჯგუფი	კითხვარის რესპონდენტთა რაოდენობა
მოსწავლეები	2755
მასწავლებლები	514
მშობლები	3227
სკოლის დირექტორები	49

მიუხედავად იმისა, რომ ონლაინკითხვარი სამიზნე ჯგუფის (VII-XII კლასელები) ყველა მოსწავლეს დაეგზავნა, ის ყველას არ შეუვსია. რესპონდენტთა მახასიათებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ, დიდი ალბათობით, მიღებული პასუხები კონკრეტულ სკოლას სრულად ვერ წარმოადგენს. მაგალითად, რესპონდენტი მოსწავლეების 59% გოგოა, მაშინ, როდესაც ზოგადად, მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარია გოგო. ეს მიუთითებს, რომ კითხვარი უფრო მეტმა გოგომ შეავსო, ვიდრე ბიჭმა. ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კითხვებს უმეტესწილად ისეთმა მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა უპასუხეს, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გამოკითხულ მშობელთა 63%-ს აქვს უმაღლესი განათლება. შესაბამისად, შესაძლოა, კითხვარები შეავსეს სოციალურ-ეკონომიკურად უფრო პრივილეგირებულმა ან მოტივირებულმა მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა. ამგვარად, კვლევაში ასახული რაოდენობრივი მიგნებები საქართველოს სკოლებისთვის არ არის წარმომადგენლობითი მაჩვენებელი.

გამოკითხულთა სხვა სამიზნე ჯგუფშიც უმრავლესობა ქალია, როგორც ეს 1-ელ დიაგრამაზე ჩანს. მასწავლებელთა და დირექტორთა გენდერული განაწილება მეტ-ნაკლებად ემთხვევა ზოგადად ქვეყანაში არსებულ სურათს.

დიაგრამა N1: კითხვარის რესპონდენტთა სქესი



გამოკითხულ მოსწავლეთა, დაახლოებით, 20% თვითმმართველობის წევრია, ხოლო მშობელთა 6% – სამეურვეო საბჭოს წევრი.

როგორც მე-2 დიაგრამაზე ჩანს, რესპონდენტთა (VII-XII კლასის მოსწავლეები) შორის დაბალი კლასის მოსწავლე მეტია. ნაწილობრივ, ეს შეიძლება განპირობებული იყოს მოსწავლეთა მეტი რაოდენობით დაბალ კლასებში, რადგან საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ, ბევრი მათგანი სწავლას აღარ აგრძელებს. XII კლასელთა წილი რესპონდენტთა შორის ძალიან მცირეა, რაც აიხსნება იმით, რომ დამამთავრებელ კლასში ბევრი მოსწავლე ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კვლევის საველე სამუშაოები აკადემიური სასწავლო წლის მიწურულს ჩატარდა.

დიაგრამა 2: მოსწავლეთა განაწილება კლასების მიხედვით



მე-3 დიაგრამაზე ჩანს, რომ გამოკითხულთაგან, მასწავლებლებს გაცილებით ხანგრძლივი პრაქტიკა აქვთ მუშაობის კუთხით, ვიდრე დირექტორებს.

დიაგრამა 3: მასწავლებელთა და დირექტორთა სამუშაო პრაქტიკის ხანგრძლივობა



სწავლა-სწავლება

სწავლა-სწავლების მიმართულებით, კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა რამდენიმე თემაზე: სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება-განხორციელება, მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.

სასკოლო სასწავლო გეგმა

ამ მიმართულებით, ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ საკითხებზე: სასწავლო გეგმის შემუშავება, ინფორმირებულობის დონე და მასწავლებელთა ჩართულობის მოტივატორები.

როგორც წინა თავში აღინიშნა, კანონმდებლობის თანახმად, სკოლის სასწავლო გეგმას შეიმუშავებს პედაგოგიური საბჭო, დირექციის ჩართულობით და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.

კითხვარის შედეგების თანახმად, სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა ზოგჯერ მცირედ განსხვავდება კანონმდებლობით დადგენილი წესისგან. გარდა ამისა, ამ პროცესთან დაკავშირებით დირექტორსა და მასწავლებლებს შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა: მაგალითად, უფრო მეტი დირექტორი აცხადებს, რომ პედაგოგიური საბჭოს წევრები ჩართულნი არიან სასწავლო გეგმის შემუშავებაში (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული მხარეები



შეკითხვაზე – *ქვემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან ყველაზე მეტად რომელი პროცესი შეესაბამება თქვენს სკოლაში არსებულ პრაქტიკას?* – მასწავლებლები და დირექტორები ოდნავ განსხვავებულ პასუხებს სცემენ. მათი უმრავლესობა (მასწავლებელთა 65% და დირექტორთა 73%) აცხადებს, რომ საგნობრივი ჯგუფები ან პედაგოგიური საბჭოები სკოლის სასწავლო გეგმაზე მუშაობენ დირექტორსა და აკადემიურ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. თუმცა დირექტორთა 10% და მასწავლებელთა 17% ამბობს, რომ დირექტორის მიერ რამდენიმე აქტიური მასწავლებლისგან ფორმირებული სამუშაო ჯგუფი დირექტორთან ერთად შეიმუშავებს სასწავლო გეგმას (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვის პრაქტიკა სკოლებში



გამოკითხვის შედეგების თანახმად, სასწავლო მიზნებს, უმრავლეს შემთხვევაში, განსაზღვრავს დირექცია, სასკოლო საზოგადოებასა ან მასწავლებლებთან თანამშრომლობით (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6: სასწავლო მიზნების განსაზღვრა



როგორც მასწავლებლების, ისე დირექტორების უმრავლესობა ირჩევს პასუხებს, რომლებიც ასახავს მონაწილეობის დადებით პრაქტიკას. თუმცა, თვისებრივ კვლევაში ურთულდებათ კონკრეტული მაგალითის მოხმობა, ან მსგავსი პრაქტიკის დასახელება. გარდა ამისა, დირექტორები ფოკუსჯგუფებსა და ინტერვიუებში აცხადებენ, რომ, რეალურად, ცოტა მასწავლებელია ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავებაში, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ხსნიან მათი ინტერესის ნაკლებობით:

> *„სასკოლო სასწავლო გეგმაში რამდენიმე, 5-6 ადამიანია ჩართული. ვერ გეტყვით, რომ ძალიან აქტიურად არიან ჩართულები. დანარჩენს სურვილიც არ აქვს, გარბიან, ვიღაცას ჯანმრთელობის პრობლემა აქვს". [ინტერვიუ დირექტორთან]*

კვლევის ფარგლებში ასევე გავაანალიზეთ 7 სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლებიც შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე და, ძირითადად, მოიცავს ერთსა და იმავე კომპონენტებს: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სასწავლო წლის კალენდარი, მოსწავლეთა შეფასება და ა.შ. თვალსაჩინოა, რომ სკოლებს სასწავლო გეგმის შემუშავებისას გამოყენებული აქვთ ერთნაირი შაბლონ(ებ)ი. მეტიც, ზოგი სკოლის შემთხვევაში, სასკოლო სასწავლო გეგმის ბევრი კომპონენტი აბსოლუტურად იდენტურია, ან ოდნავ განსხვავდება. ბევრ სკოლაში ძალიან ჰგავს ერთმანეთს სასწავლო გეგმის შემდეგი ნაწილები:

- სწავლა-სწავლების მიზნები;
- ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები;
- მოსწავლეთა შეფასება (იშვიათ შემთხვევაში, მოსწავლეთა შეფასების კომპონენტები უფრო დაკონკრეტებული ან განსხვავებულია);
- საგანმანათლებლო რესურსები (ძირითადად, სასწავლო გეგმები საგანმანათლებლო რესურსების ზოგადი დასახელებით შემოიფარგლება);
- ინკლუზიური განათლებისა და შინ სწავლების პრინციპები.

სკოლების სასწავლო გეგმებში რეალურად განსხვავდება შემდეგი კომპონენტები:

- გაკვეთილების ხანგრძლივობა;
- სასწავლო კალენდარი;
- საათობრივი ბადე;
- არჩევითი საგნები;
- ესგ-ით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება (გახანგრძლივებული მეცადინეობა);
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამები;
- კლას-კომპლექტების ჩამოყალიბება;
- სახელმძღვანელოთა დასახელება.

მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში

კვლევის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილდა მოსწავლეთა მონაწილეობაზე სწავლების მეთოდებისა და მიდგომების შერჩევაში, ასევე, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაში; ამასთანავე, გაანალიზდა დაბალი მონაწილეობის პოტენციური მიზეზები.

გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ 13.7% ამბობს, რომ რეგულარულად მონაწილეობს სწავლების მეთოდებისა და თემების შერჩევაში, 40.4%-ის თქმით კი არასდროს მიუღია მონაწილეობა ამ პროცესში (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7: მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლების მეთოდების შერჩევაში



მასწავლებლებისა და დირექტორების ძალიან მცირე ნაწილი ამბობს, რომ სწავლების მეთოდები და მიდგომები მოსწავლეებთან შეთანხმებით განისაზღვრება (იხ დიაგრამა 8).

დიაგრამა 8: სწავლების მეთოდებისა და მიდგომების შერჩევა



მოსწავლეებს შეეძლოთ, დაესახელებინათ, რა მიმართულებით იყვნენ ჩართულნი მონაწილეობის შემთხვევაში. უმეტესწილად, მათ მიუთითეს საკლასო პროექტებისთვის თემების შერჩევა (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9: სწავლა-სწავლების პროცესში მონაწილეობის ფორმები



მოსწავლეებს ასევე შეეძლოთ, დაესახელებინათ მიზეზები, რომლებმაც, მათი აზრით, ხელი შეუშალეს, რომ მონაწილეობა მიეღოთ სწავლების მეთოდებისა და თემების არჩევაში. ყველზე ხშირად დასახელდა შემდეგი ვერსიები: „მხოლოდ მასწავლებლები ადგენენ წესებს“ (38%), „არ ვიცოდი, რომ ამის უფლება მაქვს“ (35%) და „მინდოდა, მაგრამ მომერიდა“ (25%). როგორც ვხედავთ, მოსწავლეებმა ან არ იციან მონაწილეობის უფლების შესახებ და ჰგონიათ, რომ მხოლოდ მასწავლებელი ადგენს წესებს მსგავს საკითხებზე, ან სურთ მონაწილეობა, მაგრამ ერიდებათ. ძალიან ცოტა მოსწავლე ამბობს, რომ სწავლების მეთოდებისა და მიდგომების შერჩევაში მონაწილეობის სურვილი არ ჰქონდა (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10: სწავლა-სწავლების პროცესში დაბალი მონაწილეობის მიზეზები



განსხვავებულად პასუხობენ მსგავს შეკითხვას მასწავლებლები და დირექტორები: მასწავლებელთა 31% და დირექტორთა 38% ფიქრობს, რომ მოსწავლეები სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში არ მონაწილეობენ, რადგან ეს არ აინტერესებთ (იხ. დიაგრამა 11).

დიაგრამა 11: მოსწავლეთა დაბალი მონაწილეობის პოტენციური მიზეზები



სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის სასკოლო შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს, ძირითადად, განსაზღვრავს სკოლა ან საგნობრივი კათედრა და შედარებით ნაკლებად – მასწავლებელი, ან მასწავლებელი მოსწავლეებთან შეთანხმებით. ამ შემთხვევაში, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. დირექტორთა და მასწავლებელთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აცხადებს, რომ შეფასების ფორმები შემუშავდება მოსწავლეებთან შეთანხმებით (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 12: სკოლაში შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა პირდაპირ არ ითვალისწინებს მოსწავლეთა მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. თუმცა, ესგ-ში მითითებულია, რომ განმავითარებელ შეფასებაში მოსწავლეებიც მონაწილეობენ, თვითშეფასების ან ურთიერთშეფასების გზით.[55] მოსწავლეთა მესამედზე მეტი ბოლო ორი წლის

55 ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი II, მუხლი 29.

განმავლობაში ვერ იხსენებს შემთხვევას, საკუთარი თავი ან თანაკლასელი შეეფასებინოს (იხ. დიაგრამა 13).

დიაგრამა 13: მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლის შედეგების შეფასების პროცესში



რაც შეეხება მშობელთა ინფორმირებას სასკოლო სასწავლო გეგმებსა და, ზოგადად, სწავლების მეთოდებზე, გამოკითხული მშობლების ნახევარი ფიქრობს, რომ ამის შესახებ სრული ინფორმაცია აქვს, მეორე ნახევარი კი თვლის, რომ ან მწირი ინფორმაცია აქვს, ან არასაკმარისი. შესაბამისად, სკოლებს ამ მიმართულებით სჭირდებათ მეტი ჩართულობა, ასევე, ინფორმირების მრავალფეროვანი მიდგომებისა და საშუალებების გამოყენება.

მშობელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამბობს, რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას სასწავლო გეგმასა და სწავლების მეთოდებზე, თუმცა უმეტესობა მიუთითებს, რომ თვითონ არ აქვს დრო ამ საკითხების გასაცნობად (იხ. დიაგრამა 14).

დიაგრამა 14: მშობლების ინფორმირების დონე სწავლების მეთოდებსა და სასწავლო გეგმაზე



თვისებრივმა კვლევამ დაადასტურა რაოდენობრივი შედეგების ტენდენციები. მოსწავლეების თქმით, გარდა იმისა, რომ ერიდებათ აქტიურობა, არ არიან დარწმუნებულნი, რომ მათ ინიციატივებს სწავლა-სწავლების საკითხებზე მასწავლებლები გაგებით/პოზიტიურად შეხვდებიან. ამასთანავე, პედაგოგები ნაკლებად სთავაზობენ მათ სწავლე-

ბის თანამედროვე მეთოდებს, ახალგაზრდები ამ ინფორმაციას, ძირითადად, სოციალურ ქსელში ნახულობენ:

> *„ცოტა თანამედროვე მეთოდები უნდა შემოგვთავაზონ მასწავლებლებმა, მარტო გაკვეთილი დაიზეპირე და მოყევი, საკონტროლოები, არაა საკმარისი, განსხვავებული ფორმა უნდა შემოვიტანოთ. მაგალითად, სოციალურ ქსელში ვნახულობთ რომ სხვადასხვანაირი დავალებები არსებობს, ბარათებით სწავლება, ჯგუფური სამუშაოები, ან ელექტრონული საშუალებების მრავალფეროვანი გამოყენება." [მოსწავლე]*

თუმცა, არსებობს კარგი პრაქტიკის მაგალითებიც:

> *„მაგალითად, ინგლისურის მასწავლებელს ვესაუბრეთ ამაზე და, მართლაც, ხან ფილმს ვუყურებთ, ჯგუფურ სამუშაოებსაც ვაკეთებთ, და უფრო საინტერესო ხდება გაკვეთილი. ინგლისურის მასწავლებელთან უფრო ახლო ურთიერთობა გვაქვს და დაგვთანხმდა, როცა ვუთხარით." [მოსწავლე]*

რაც შეეხება შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს, თვისებრივი მონაცემების თანახმად, შესაძლოა, მასწავლებელი კლასს აცნობდეს ამ ინფორმაციას, თუმცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებს იშვიათად რთავენ მათთვის მისაღები ფორმებისა და კრიტერიუმების არჩევაში:

> *„ძირითადად, ქართული და ისტორიის მასწავლებლები მახსენდება, რომლებიც წინასწარ გვაცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, სხვები არ მახსენდება. მაინტერესებს, რატომ მივიღე ესა თუ ის ნიშანი, მაგრამ მიფიქრია, რომ არ ღირს ამის კითხვა." [მოსწავლე]*

საკლასო წესები

საკლასო წესების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რათა მათ ჰქონდეთ განცდა, რომ წესები არ არის თავს მოხვეული. ეს აგვარიდებს უთანხმოებებსაც, როგორც მოსწავლეებში, ისე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. გარდა ამისა, საკლასო წესების შემუშავებაში ჩართვა დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური მონაწილეობის ერთგვარი პრაქტიკაა.

გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი აცხადებს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს არ მიუღია მონაწილეობა საკლასო წესების შემუშავებაში, ძირითადად იმის გამო, რომ მხოლოდ მასწავლებლები ადგენენ წესებს, ან არ ჰქონდა ინფორმაცია ამ უფლების შესახებ (იხ. დიაგრამა 15).

დიაგრამა 15: მოსწავლეთა მონაწილეობა საკლასო წესების შემუშავებაში



მოსწავლეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ეს წესები ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობას და არ იყოფა „გოგოს საქმედ“ და „ბიჭის საქმედ“, თუმცა თითქმის მესამედი, 28%, მიუთითებს მსგავს გენდერულ დაყოფაზე.

თვისებრივ კვლევაშიც დადასტურდა ზემოთ მოყვანილი შედეგები. მოსწავლეთა თქმით, ისინი ხშირად არ მონაწილეობენ საკლასო წესების შედგენაში. ზოგ შემთხვევაში იკვეთება, რომ მათ არც უფიქრიათ საკლასო წესებზე, ან იმაზე, რომ წესების შედგენაში მონაწილეობის უფლება აქვთ.

> *„კლასში ესე შედგენილი წესები არ გვაქვს. მარტო მასწავლებლები თუ მისცემენ შენიშვნას, როცა საჭიროა.“ [მოსწავლე]*

ეს კომენტარი კარგად ასახავს ზოგად სიტუაციას დემოკრატიული ჩართულობის მხრივ – კერძოდ, ბევრი წესი და პროცედურა ინსტიტუციონალიზებული არ არის და მათ გარემოებების შესაბამისად იყენებენ. თუმცა, მოსწავლეები ასახელებენ დადებით მაგალითებსაც:

> *„ჩვენს კლასში არის გაკრული მოსწავლის წესები, მახსოვს, რომ ფლიპჩარტზე ჩამოვწერეთ და მასწავლებელმა გაგვიკრა. სკოლის წესდებაზე ჩვენთანაც ასე ხდება, რომ საჭიროების დროს გვახსენებენ წესებს.“ [მოსწავლე]*

მართალია, რესპონდენტები ამბობდნენ, რომ საკლასო წესები არ იყო გენდერულად დიფერენცირებული, თუმცა შესაძლებელია, საქმე გვქონოდა არაფორმალურ ნორმებთან: მაგალითად, წესებს გაეთვალისწინებინა ჩაცმის ეტიკეტი, რაც უმეტესწილად გოგონებს მიემართებოდა. უფრო კონკრეტულად, პედაგოგები მოსწავლეებსა და მშობლებთან შეთანხმებულიყვნენ, რომ ახალგაზრდებს სკოლაში ვულგარულად არ უნდა ჩაეცვათ, თუმცა ბიჭის ვულგარულ ჩაცმულობაზე არაფერი ეთქვათ, გოგოების შემთხვევაში კი მოკლე ქვედაბოლოებსა და ,,ტოპ“ მაისურებზე მიეთითებინათ:

> *„საკლასო წესები ჩვენს კლასში შევიმუშავეთ და კლასში გვქონდა გაკრული. ჩაცმასთან დაკავშირებული წესიც გვქონდა. ბიჭებთან დაკავშირებით ცოტა განსხვავებულია, მაგალითად, კაბას ხომ არ იცვამს და ჩაცმა უფრო გოგონებზეა.“ [მოსწავლე]*

ასევე დაბალია მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებულობა სკოლის წესდების შესახებ და მონაწილეობა მის შემუშავებაში. ფოკუსჯგუფებზე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მშობლები ამ დოკუმენტში გაწერილ წესებსა და ნორმებზე, ძირითადად, მაშინ იგებენ, როდესაც ისინი ირღვევა, მათი შემუშავების პროცესში კი არ მონაწილეობენ:

> *„მასწავლებლებისგან ვიცნობ სკოლის შინაგანაწესს, შემუშავებაში არ მიგვიღია მონაწილეობა, თუმცა მასწავლებლები დროდადრო გვესაუბრებიან ხოლმე ამ საკითხზე. გულწრფელად რომ გითხრათ, ასეთი შეხვედრები არ ყოფილა, რომ განგვეხილა და ამ საკითხზე გველაპარაკა. მხოლოდ როცა რაიმე დარღვევაა, მაშინ გვახსენებენ ხოლმე, რომ რატომაა დარღვევა ეს, რომელი პუნქტებია და ა.შ. არ მაქვს წვდომა და არც გავცნობივარ ამ ტიპის დოკუმენტებს.“ [მოსწავლე]*

კლასგარეშე აქტივობები

ადრე ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ზოგადად, მოსწავლეებიც და მშობლებიც კლასგარეშე აქტივობებში უფრო არიან ჩართულნი, ვიდრე, მაგალითად, სწავლის მეთოდების შერჩევასა ან სკოლის მმართველობაში.[56] ეს ბუნებრივიცაა, რადგან ზოგადი განათლების კანონის თანახმად, კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა და ჩატარება მოსწავლეთა თვითმმართველობის პასუხისმგებლობაა. ის, რომ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისას, მითითებულია მასწავლებლის სტანდარტშიც.[57] თუმცა, ჩვენი რაოდენობრივი კითხვარის შედეგების თანახმად, მშობელთა და მოსწავლეთა ნახევარზე ნაკლები აცხადებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში წამოუყენებია ინიციატივა კლასგარეშე აქტივობის ჩატარებაზე (იხ. დიაგრამა 16).

დიაგრამა 16: მოსწავლეთა ინიციატივები კლასგარეშე აქტივობების ჩატარებაზე



მოსწავლეებმა, რომლებსაც ამგვარი ინიციატივა არ წამოუყენებიათ, პასიურობის ყველაზე ხშირ მიზეზებად დაასახელეს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ ინიციატივას მასწავლებელი აყენებს, ინფორმაციის არქონა ამ უფლების შესახებ, ან პოზიტიურ უკუკავშირში დაეჭვება, რის გამოც შეექმნათ მორიდებულობის განცდა.

56 ევროპის საბჭო, 2023; მალაზონია და სხვები, 2022.
57 მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2020.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ამ ტენდენციებზე კიდევ უფრო კრიტიკულად მსჯელობდნენ ფოკუსჯგუფებზე (იხ. დიაგრამა 17).

დიაგრამა 17: კლასგარეშე აქტივობების ინიცირებაში მოსწავლეთა პასიურობის მიზეზები



საინტერესოა მონაცემი, რომლის თანახმადაც მოსწავლეთა ინიციატივების მნიშვნელოვანი ნაწილი კი განხორციელდა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვან ნაწილს მსვლელობა არ მიეცა. ამის გამო, მოსწავლემ შეიძლება იფიქროს, რომ მათი წინადადებები იშვიათად ხორციელდება და სამომავლოდ კიდევ უფრო ნაკლებად გაბედოს ინიციატივის წამოყენება (იხ. დიაგრამა 18).

დიაგრამა 18: მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელება კლასგარეშე აქტივობებთან დაკავშირებით



კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა არ არის დაბალი, თუმცა ამგვარ ღონისძიებებში მათ ნაკლებად შეუძლიათ საქმიანობის თავადვე განაწილება. კვლევის მონაცემების თანახმად, ამ მიმართულებით გადაწყვეტილებებს, უმრავლეს შემთხვევაში, მასწავლებლები იღებენ (იხ. დიაგრამა 19).

დიაგრამა 19: კლასგარეშე აქტივობების განხორციელება



საინტერესოა დირექტორებისა და მასწავლებლების განსხვავებული ხედვა მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ინიციატივების შესახებ: მასწავლებლების დიდი ნაწილი (61%) აცხადებს, რომ მოსწავლეები იშვიათად გამოდიან ასეთი ინიციატივებით, დირექტორების აზრით კი, მოსწავლეები არაფორმალური განათლების ინიციატივებს ხშირად აყენებენ. აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლებს უფრო რეალისტური წარმოდგენა აქვთ მოსწავლეთა ინიციატივებზე (იხ. დიაგრამა 20).

დიაგრამა 20: მოსწავლეთა მიერ არაფორმალური განათლების ინიციატივების წამოყენების სიხშირე (მასწავლებელთა და დირექტორთა პერსპექტივა)



რაც შეეხება მიზეზებს, რომლებიც შეიძლება აფერხებდეს მოსწავლეებს ინიციატივების ღიად და თავისუფლად წამოყენებაში, დირექტორებმა (39%) და მასწავლებლებმა (36%) ყველაზე ხშირად დაასახელეს მოსწავლეების დროისა და ენერგიის ნაკლებობა კლასგარეშე, დამატებითი საქმიანობისათვის; რიგ შემთხვევებში კი გავლენის მქონე ფაქტორებად დასახელდა ის, რომ მოსწავლეები არ ფლობენ შესაბამის უნარებს, ან ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევენ არაფორმალურ განათლებას (იხ. დიაგრამა 21).

დიაგრამა 21: კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეთა პასიურობის მიზეზები (მასწავლებელთა და დირექტორთა პერსპექტივა)



ძირითადი მიგნებები და საჭიროებები

ამ თავში წარმოგიდგინეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შედეგები მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის დემოკრატიულ ჩართულობაზე სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებაში. ძირითადი მიგნებების თანახმად, დაბალი ჩართულობის მთავარ მიზეზებად შეიძლება მივიჩნიოთ დაბალი ინფორმირებულობა საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე, ასევე, ინფორმაციის ნაკლებობა ჩართულობის კონკრეტულ გზებზე. მნიშვნელოვანი ფაქტორებია ინტერესის ნაკლებობა და დროის უქონლობაც. უფრო კონკრეტულად, კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მიგნებები:

- სწავლა-სწავლების პროცესი ორგანიზებულია საგნობრივად და მას, ძირითადად, მართავენ კათედრები.
- ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლას საკმაოდ ბევრ თავისუფლებას ანიჭებს საკუთარი სასწავლო პროცესის დასაგეგმად, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესი, ზოგ შემთხვევაში, არ არის ფორმალიზებული და ინსტიტუციონალიზებული, რაც ხელს უშლის სკოლას, რომ ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი თავისუფლებები ამ მიმართულებით.
- ზოგად გადაწყვეტილებებს სწავლების მეთოდებზე, მიდგომებსა თუ შეფასებებზე მასწავლებლები იღებენ, მოსწავლეებმა კი ხშირად არ იციან, რომ შეუძლიათ ჩართვა ამ საკითხებში და თანამონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაში, ან იციან, მაგრამ ერიდებათ, ანდა ჰგონიათ, რომ რეალურ შედეგს მაინც ვერ მიიღებენ და თავს იკავებენ პროცესში ჩართვისგან.

- მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტის განსაზღვრაში (თემის ან მეთოდების შერჩევა, შეფასების კრიტერიუმების შედგენა, ურთიერთშეფასება) შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს ზოგადად მოსწავლეთა გააქტიურებისთვის, ასევე, მათი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებისთვის.
- მოსწავლეებს აინტერესებთ სწავლა-სწავლების ალტერნატიული მეთოდები, რომლებსაც სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმებზე ხვდებიან.
- სწავლა-სწავლების დაგეგმვაში მოსწავლეთა ჩართვის დადებითი პრაქტიკებიც არსებობს, თუმცა უფრო ფრაგმენტული და არასტრუქტურირებული სახით.
- კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა შედარებით მაღალია, თუმცა ისინი ამ მიმართულებითაც იშვიათად წარადგენენ ინიციატივებს და ნაკლებად ერთვებიან მათ დაგეგმვა-განხორციელებაში.

სკოლის მმართველობა და კულტურა

ამ თავში მიმოხილულია სკოლის მმართველობასა და სასკოლო კულტურასთან დაკავშირებული საკითხები, უფრო კონკრეტულად, სხვადასხვა მხარეთა ჩართულობა სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში, მართვის ორგანოების საქმიანობა და ეფექტიანობა, სასკოლო კულტურა და გადაწყვეტილებების მიღება.

სასკოლო დოკუმენტაცია

სკოლის მნიშვნელოვანი დოკუმენტებია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლებზეც, უმრავლეს შემთხვევაში, მუშაობს დირექტორის მიერ შედგენილი სამუშაო ჯგუფი და შედარებით იშვიათად – წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით ჩამოყალიბებული გუნდი. მასწავლებლებისა და დირექციის ხედვა, თუ როგორ შეიმუშავებს სკოლა სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტს და ვინ რა როლს ასრულებს ამ პროცესში, საკმაოდ განსხვავდება (იხ. დიაგრამა 22).

დიაგრამა 22: სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართული მხარეები



დირექტორთა (60%) და მასწავლებელთა (47%) დიდი ნაწილი აცხადებს, რომ მათ სკოლებში სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს ქმნის დირექტორი, რომელიც გამოჰკითხავს მშობლებსა და მოსწავლეებს, ადგენს პრიორიტეტულ მიმართულებებს და შედეგებს ასახავს დოკუმენტში, რომელსაც წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. შედარებით მცირეა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც პასუხობენ, რომ სტრატეგიულ გეგმას დირექტორი შეიმუშავებს, მის მიერ შექმნილ გუნდთან ერთად (იხ. დიაგრამა 23).

დიაგრამა 23: სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პრაქტიკა



სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში (საბოლოო ფორმის მიღებამდე) არ არის მაღალი და, საუკეთესო შემთხვევაში, შემოიფარგლება სპეციალური კითხვარის მეშვეობით მოსაზრებებისა და უკუკავშირის მიღებით. არის შემთხვევები, როდესაც დოკუმენტი გასაცნობად ეგზავნებათ სასკოლო საზოგადოების წევრებს, თუმცა, როგორც ფოკუსჯგუფების შედეგები აჩვენებს, ეს ფორმალური პროცესია და არ არსებობს რამე მექანიზმი იმის გასაგებად, გაეცნენ თუ არა სამიზნე ჯგუფები გაზიარებულ დოკუმენტებს (იხ. დიაგრამა 24).

დიაგრამა 24: სასკოლო თემის ჩართულობა სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში



სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, რესპონდენტთა შეფასებით, მეტწილად ან სრულად ემთხვეოდა რეალურად განხორციელებულ აქტივობებს, თუმცა აქაც განსხვავდება მასწავლებელთა და დირექტორთა მოსაზრებები (იხ. დიაგრამა 25).

დიაგრამა 25: სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელება



რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის თქმით, სასკოლო საზოგადოება სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, ძირითადად, პედაგოგიურ საბჭოზე ეცნობა, ნაწილის აზრით კი – სკოლის ფოიეში გამოკრული სახით, ან სოციალური ქსელებითა თუ ელექტრონულად გაზიარებული ფორმით (იხ. დიაგრამა 26).

დიაგრამა 26: სკოლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე ინფორმაციის გავრცელება



დირექტორთა უმრავლესობა თვლის, რომ სასკოლო თემი იცნობს სკოლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. მათი აზრით, ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი, ამ შემთხვევაში, მშობლები არიან, ყველაზე მეტად ინფორმირებულნი კი – მასწავლებლები. ეს ტენდენცია მეორდება მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებშიც (იხ. დიაგრამები 27 და 28).

დიაგრამები 27 და 28: სკოლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე ინფორმირებულობის დონე (მასწავლებელთა და დირექტორთა პერსპექტივა)





ამავე დოკუმენტებზე ინფორმირებულობის თვითშეფასებისას, დირექტორები უფრო ხშირად თვლიან თავს ინფორმირებულად (86%), რაც იმით აიხსნება, რომ თავად არიან ჩართულნი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. პედაგოგებიც აღნიშნავენ თვითშეფასებისას, რომ იცნობენ ამ დოკუმენტებს, თუმცა გარკვეული ნაწილი (21%) მეტ ინფორმირებას საჭიროებს მათ შესახებ (იხ. დიაგრამა 29).

დიაგრამა 29: ცოდნა სკოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ



გამოკითხულ მოსწავლეთა 7.5% (171 მოსწავლე) ამბობს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა თავისი სკოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში; გამოკითხულ მშობელთა 9.2% თვლის, რომ მათ შვილებს აქვთ სასკოლო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის უფლება და ასევე 9% ამბობს, რომ მათ შვილებს მიუღიათ მონაწილეობა ამ დოკუმენტების შემუშავებაში.

მოსწავლეები ნაკლებად იცნობენ სკოლის სტრატეგიას ან სამოქმედო გეგმას. უმრავლეს შემთხვევაში, სკოლები მათ არ აცნობენ სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს:

> *„არ (გვაცნობენ), მაგრამ სკოლაში კლუბები გვაქვს და ისინი აკეთებენ ხოლმე სამოქმედო გეგმების წარდგენას.“ [მოსწავლე]*

დირექტორთა ფოკუსჯგუფზე დეტალურად განიხილეს სასკოლო დოკუმენტთა შემუშავების პროცესი. აღინიშნა, რომ სკოლის დირექტორები ქმნიან ჯგუფებს, რომლებიც მუშაობენ სკოლის სტრატეგიულ გეგმაზე, სამოქმედო გეგმასა და სხვა დოკუმენტებზე. ასეთი ჯგუფი შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა დასახელებით (მაგ. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი). ის განსხვავდება სამეურვეო საბჭოსგან, თუმცა შეიძლება მოიცავდეს საბჭოს წევრებსაც. ავტორიზაციაგავლილ სკოლებში მსგავსი ჯგუფები ავტორიზაციისთვის მზადებისას შეიქმნა.

კითხვაზე – *რა ნიშნით და კრიტერიუმით შეირჩევიან სამუშაო ჯგუფის წევრები?* – დირექტორები პასუხობენ, რომ კრიტერიუმები ფორმალურად არ არის გაწერილი და თვითონ ირჩევენ ამ ადამიანებს *(„უფრო ისეთებს, რომლებიც უფრო შემოქმედებითია და*

რომლებსაც დაეყრდნობი"). ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა ფორმალური კრიტერიუმებიც არსებობდეს, როგორიცაა მასწავლებლის სტატუსი *(„მონაწილეობას იღებს მენტორი, წამყვანი...")* და განათლება *(„ერთი დოქტორია და ის შევიყვანე, ჩავთვალე, რომ უფრო შემოქმედებითი ის იქნებოდა").* აღინიშნა სხვა კრიტერიუმებიც *(„ჩვენ, მაგალითად, ვცდილობთ ასევე, რომ პროექტ „ასწავლე საქართველოსთვის" მასწავლებლები ჩავრთოთ, თვითონაც აქვთ სურვილი").*

რაც შეეხება სტრატეგიული დოკუმენტაციის შინაარსს, ის, ძირითადად, არსებულ შაბლონებს ეფუძნება და შესაძლოა, ფორმალური სახისაც იყოს. თავისთავად, ეს პრობლემა არ არის, რადგან ბევრი სკოლის სტრატეგიული პრიორიტეტები შეიძლება მეორდებოდეს, თუმცა ამ დოკუმენტების განხილვისას და ფოკუსჯგუფებში გამოიკვეთა, რომ შესაძლოა, შინაარსსა და დეტალებს დიდი ყურადღება არ ექცეოდეს.

სკოლის დირექტორებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად თვითონ არ არიან დაინტერესებულნი:

> *„შინაგანაწესი და სასკოლო გეგმა გადაგზავნილი გვაქვს, მაგრამ არ კითხულობენ ამხელა დოკუმენტებს. მერე შეხვედრაზე ვაცნობ. სხედან თავისთვის, არიან ჩუმად. ვერ იტყვიან უარს, რომ მოვიდნენ, მაგრამ არ აინტერესებთ, არც ზოგ მასწავლებელს." [ინტერვიუ სკოლის დირექტორთან]*

სტრატეგიულ დოკუმენტებს ფართო სასკოლო საზოგადოება ნაკლებად იცნობს. დირექტორთა ფოკუსჯგუფზე აღინიშნა, რომ სხვადასხვა გზით აწვდიან სასკოლო საზოგადოებას სტრატეგიულ დოკუმენტებს, ყველაზე ხშირად – სოციალური ქსელების ჩატჯგუფების მეშვეობით. დამაზუსტებელი კითხვის შემდეგ, რამდენიმე დირექტორმა აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოებას დოკუმენტაციას მანამ აწვდიან, სანამ დასრულებულ სახეს მიიღებს, და იღებენ კომენტარებს:

> *„საჯარო განხილვისთვის ნამდვილად არ გამიტანია, მაგრამ სამეურვეო საბჭოს წევრებს გავაცანი." [დირექტორთა ფოკუსჯგუფი]*
>
> *„ძირითადად სექტემბერში, სადამრიგებლო საათის დროს აცნობენ მასწავლებლები მშობლებს." [დირექტორთა ფოკუსჯგუფი]*

კვლევის პროცესში გაანალიზდა პროექტში მონაწილე სკოლების დოკუმენტაცია და ჩატარდა ფოკუსჯგუფი ამ დოკუმენტებისა და მათი შემუშავების პროცესის განსახილველად. დოკუმენტაციის ანალიზიც და ფოკუსჯგუფის შედეგებიც ადასტურებს, რომ სკოლის მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი სტრატეგიები, ასევე, სამოქმედო გეგმები, ხშირად ფორმალური სახისაა. ბევრ შემთხვევაში, სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში შეტანილია აქტივობები, რომლებსაც ძალიან ზოგადი შინაარსი აქვს (მაგ: „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა", ან „მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირება"), ან სკოლა ისედაც ახორციელებს რუტინულად (მაგ: „სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება", „სასწავლო გეგმების შემუშავება"). ზოგჯერ სკოლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილია ახალი მიზნები და აქტივობები, თუმცა არ არის წარმოდგენილი საკმარისი დეტალები, თუ როგორ შეიძლება მათი განხორციელება (მაგ. „მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება"). არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სკოლას სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში რეალურად აქვს შეტანილი ახალი სტრატეგიული მიზნები და წამოწყებები (მაგ. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა პროფესიული პროგრამების მომზადების და დამტკიცების გზით").

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე არ ტარდება ეფექტიანი მონიტორინგი. როგორც წესი, ამ დოკუმენტებს არ ახლავს ინდიკატორების სია, ასევე, მონიტო-

რინგისა და შეფასების ქმედითი გეგმა. თუმცა, როდესაც მონიტორინგის გეგმა ერთვის სამოქმედო გეგმას, ის არ არის დეტალური და ფორმალური სახისაა, რასაც ადასტურებს მასწავლებელთა და დირექტორთა ფოკუსჯგუფების შედეგებიც.

სკოლის მმართველობის ორგანოები

კვლევის ამ ნაწილში სკოლის მმართველობითი ორგანოებიდან ყურადღება გამახვილდა სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაზე.

სამეურვეო საბჭოები

მშობელთა დაინტერესება სამეურვეო საბჭოს მუშაობით დაბალია: კერძოდ, გამოკითხულთა 55% ამბობს, რომ არასდროს მიუღია მონაწილეობა ამ საბჭოს არჩევნებში. როგორც მეთოდოლოგიის აღწერის თავში აღვნიშნეთ, ეს შესაძლოა არ იყოს ამ სკოლებში მშობლების მთლიანი პოპულაციის წარმომადგენლობითი მაჩვენებელი. სავარაუდოა, რომ მთლიან პოპულაციაში ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია, რადგან, დიდი ალბათობით, კითხვარი უფრო აქტიურმა მშობლებმა შეავსეს. შესაბამისად, მათ შორის უფრო მაღალია იმ მშობელთა წილი, რომლებსაც მიუღიათ არჩევნებში მონაწილეობა.

სამეურვეო საბჭოს არჩევნებზე მშობლების მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს მასწავლებელთა და დირექტორთა გამოკითხვის შედეგებიც. ამავდროულად, ხშირად მასწავლებლები არ ფლობენ ინფორმაციას მშობლების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ (იხ. დიაგრამა 30).

დიაგრამა 30: სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა



კითხვაზე – *რატომ არ მიუღიათ მონაწილეობა საბჭოს არჩევნებში?* – მშობელთა დიდი ნაწილი პასუხობს, რომ დრო არ ჰქონდა ამისთვის. თუმცა, მათი მეოთხედის თქმით, მიზეზი სათანადო ინფორმაციის ნაკლებობა იყო, რაც მიუთითებს, რომ მშობელთა შორის უკეთ უნდა გავრცელდეს ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე (იხ. დიაგრამა 31).

დიაგრამა 31: სამეურვეო საბჭოს არჩევნებში დაბალი აქტიურობის მიზეზები



იმაზე, რომ მშობელთა დაბალხარისხიანი მონაწილეობა/ჩართულობა სამეურვეო საბჭოს არჩევნებსა თუ საქმიანობაში უკავშირდება ნაკლებ ინფორმირებულობას ამ ორგანოს ფუნქციებზე, ექსპერტებიც საუბრობენ. მშობლები ვერ იაზრებენ, რატომ უნდა დაუთმონ ამ საკითხს დრო, ან რა როლი აქვთ კონკრეტულად მათ ამ პროცესში. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს გადაწყვეტილების მიმღები ამ ორგანოს მნიშვნელობა და ხელი შეეწყოს ინფორმირებულობას მის შესახებ:

> *„სამეურვეო საბჭოს შესახებ არ იციან მშობლებმა, არ იციან, რატომ უნდა გამოყოს დრო და რისთვისაა საჭირო... წევრებიც ისე არიან, ხათრით არჩეული, და სრულიად არასერიოზული დამოკიდებულებაა, ეს გამოაჩინა სკოლის დირექტორების არჩევნებმა." [ექსპერტი]*
>
> *„ალბათ საჭიროა, სამეურვეო საბჭოები უფრო ფუნქციური იყოს, და არა ლოიალურად განწყობილი მშობლებით ან საჯარო სამსახურში დასაქმებულებით იყოს დაკომპლექტებული. მშობელთა ინფორმირებაც არ ხდება, არჩევის შემთხვევაში, რა უნდა აკეთონ." [ექსპერტი]*

სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები წელიწადში 3-4-ჯერ მონაწილეობენ ამ ორგანოს სხდომებში და, ძირითადად, ფორმალურად ისმენენ დირექტორის ანგარიშს, ან განიხილავენ სკოლის ბიუჯეტს:

> *„დაახლოებით, წლის განმავლობაში 4-ჯერ ვიკრიბებით. ძირითადად, ვეცნობით რაღაც ინფორმაციებს, ზოგჯერ რაღაც საკითხებს გავდივართ და ვმსჯელობთ, სკოლაში რამე ისეთი თუ არის." [მშობელი]*
>
> *„ჩვენც 3-ჯერ შევხვდით და ბიუჯეტი განვიხილეთ, რაში რა დაიხარჯა, დირექტორის არჩევნებიც ჩავატარეთ." [მშობელი]*

ფოკუსჯგუფებზე მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ კარგი იქნება, თუ სამეურვეო საბჭოს მუშაობით მშობლები მეტად დაინტერესდებიან, თუმცა, მათი აზრით, ფინანსური დაინტერესების გარეშე, ეს რთული ამოცანა იქნება:

„სამეურვეოს არჩევნებზე ჩვენ ვეხვეწებით, რომ კანდიდატად წამოაყენონ თავი. რა თქმა უნდა, ბავშვები მეტად ჩართულები არიან. რაც სამეურვეო საბჭო დაიწყო, ვფიქრობდით, კარგად იმუშავებდა, მაგრამ მშობლები მაინც არ ჩაერთნენ. პატარა ფინანსური დაინტერესება უნდა ჰქონდეს იმ მშობელს, ხელფასი ან რაღაც მსგავსი აიღოს, რომ საბჭოს წევრი იყოს." [მასწავლებლების ფოკუსჯგუფი]

დირექტორებიც აღნიშნავენ, რომ სამეურვეო საბჭოს წევრობით მშობელთა დაინტერესება რთულია. ამასთან, რთულია უკვე წევრი მშობლების მოტივაციის შენარჩუნებაც:

„ხვალ რომ გამოვაცხადოთ სამეურვეო საბჭოს წევრთა კონკურსი, არავინ მიიღებს მონაწილეობას. ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ჰგონიათ, ეს ყველაფერი ქაღალდზეა დაწერილი და არ აქვს არაფერი საერთო რეალობასთან. არ ვიცი, ეს ჩვენი ბრალია თუ ვისი ბრალია; ფიქრობენ, რომ ეს უნდა იწარმოებოდეს, უნდა ფუნქციონირებდეს მათგან დამოუკიდებლად, თავისთავადად, და ვერ წარმოუდგენიათ, რომ ამაში თვითონ შეიტანონ რამე ცვლილება." [ინტერვიუ სკოლის დირექტორთან]

ინტერვიუში ერთ-ერთმა დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, სამეურვეო საბჭოში ყოფნისთვის გამოყოფილი დროის გახანგრძლივებამ დადებითად იმოქმედოს მშობელთა ჩართულობაზე, რადგან მათ სწორედ იმ დროს უწევთ საბჭოს დატოვება, როდესაც გათვითცნობიერდებიან საკითხებში და ინტერესიც ემატებათ.

ზოგიერთი სხვა თემის მსგავსად, სამეურვეო საბჭოს მუშაობაზეც დირექტორები და მასწავლებლები ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებსა და გამოცდილებებს გვიზიარებენ. მაგალითად, ერთ-ერთმა დირექტორმა აღნიშნა, რომ „არ ყოფილა შემთხვევა, სამეურვეო საბჭოს წევრები თვითონ დაინტერესებულიყვნენ ჩართვით", თუმცა იმავე ინტერვიუში განაცხადა, რომ როდესაც მისმა საქმისმწარმოებელმა კარგად აუხსნა საბჭოს წევრებს სიტუაცია, ისინი ძალიან დაინტერესდნენ, თუ რა იქნებოდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დირექტორად დანიშვნის შემთხვევაში. ეს მიუთითებს, რომ სათანადო და სწორად წარმართული ძალისხმევის შემთხვევაში, რეალურად შესაძლებელია არააქტიური და ნაკლებად მოტივირებული მშობლების დაინტერესებაც.

როგორც სიტუაციის ანალიზის თავში აღინიშნა, სამეურვეო საბჭოების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება და დირექტორთა არჩევა. საქართველოში, სტრუქტურული თუ სხვა მიზეზების გამო, ეს ორი უფლებამოსილება მხოლოდ ფორმალობაა. ბიუჯეტის დაგეგმვა ბევრ სკოლას, კონკრეტულად კი მცირეკონტინგენტიან სკოლებს, პრაქტიკულად, არ შეუძლიათ, რადგან მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ საჭიროებებზე – ხელფასებსა და კომუნალურ გადასახადებზე ჰყოფნით თანხა. საბიუჯეტო თანხების სხვა მიზნით განკარგვა მხოლოდ დიდ სკოლებს შეუძლიათ:

„ფული არ გვაქვს, დეფიციტურია და რა უნდა დავგეგმოთ. მაინც გაგვაქვს სამეურვეო საბჭოზე, მაინც ვუთანხმებთ, მაგრამ ფორმალობაა და რუტინა. ვიცინით ხოლმე, რა უნდა დავგეგმოთ, როცა ფული არ გვაქვს." [ინტერვიუ მცირეკონტინგენტიანი სკოლის დირექტორთან]

სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს თითქმის არ იცნობენ მოსწავლეები. ფაქტობრივად, მათ არ აქვთ ინფორმაცია ამის შესახებ:

„დიდად არ ვარ ინფორმირებული, არ ვიცი ზუსტად, მგონი, მშობლებს ირჩევენ." [მოსწავლე]

„ჩემი კლასელის დედაა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე და რაღაცა პროექტებს ატარებს. მაგალითად, „მშობელი გაკვეთილზე" – მოდიან და ესაუბრებიან მოსწავლეებს." [მოსწავლე]

„ჩვენთან მოსწავლეები ამის შესახებ არ არიან ინფორმირებულნი. ისე ვიცი, რომ ბიუჯეტს განიხილავენ. მოსწავლეები მაინცდამაინც არ არიან ჩართულნი." [მოსწავლე]

ზოგადად, ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ადასტურებს, რომ სამეურვეო საბჭოს მუშაობით მშობელთა დაინტერესება შესაძლებელია, თუკი მათ ექნებათ განცდა, რომ რეალურად შეუძლიათ რამის შეცვლა, და ეცოდინებათ, რომ მათი გადაწყვეტილებები პირდაპირ ან ირიბად მაინც აისახება მათ შვილებზე.

მოსწავლეთა თვითმმართველობა

სკოლაში გადაწყვეტილების მიმღები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის მეშვეობითაც, ყველა მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებისა და მართვის სხვადასხვა ასპექტში. თუმცა, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი, ჩვენი გამოკითხვის თანახმად, ამ პროცესში არ მონაწილეობს (იხ. დიაგრამა 32).

დიაგრამა 32: მოსწავლეთა მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში



გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (24%) ამბობს, რომ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან არ აქვს სათანადო ინფორმაცია. მათი 23% და 21%, შესაბამისად, მიუთითებს, რომ არ ჰქონდა სურვილი და დრო ამისთვის.

მოსწავლეთა დაბალი მონაწილეობის მიზეზებად მასწავლებლებმა და დირექტორებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს: ისეთ საქმიანობაში ჩართვის სურვილი, რომელიც მეტად აინტერესებთ; დროის უქონლობა; და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს მნიშვნელობის არცოდნა (იხ. დიაგრამა 33).

დიაგრამა 33: მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში დაბალი აქტიურობის მიზეზები



დირექტორებმა და მასწავლებლებმა გამოკითხვისას განაცხადეს, რომ მოსწავლეთა თვითმ-მართველობის კანდიდატებს მოსწავლეები საკუთარი ინიციატივით ირჩევენ (იხ. დიაგრამა 34).

დიაგრამა 34: მოსწავლეთა თვითმმართველობის კანდიდატთა შერჩევა



რაც შეეხება თვითმმართველობის მუშაობას, დირექტორები და მასწავლებლები გამოკითხვისას უმეტესად აცხადებენ, რომ მოსწავლეები წარადგენენ ინიციატივებს, ხოლო დირექცია და მასწავლებლები ეხმარებიან მათ განხორციელებაში (იხ. დიაგრამა 35).

დიაგრამა 35: მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირების პრაქტიკა



მოსწავლეთა თვითმმართველობა, უმეტესწილად, ერთვება კულტურულ თუ სასწავლო-შემეცნებით პროექტებში, ასევე, საკლუბო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში. ამავდროულად, მნიშვნელოვნად დაბალია მონაწილეობა სათემო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში (იხ. დიაგრამა 36).

დიაგრამა 36: მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობა სხვადასხვა სფეროში



მოსწავლეთა უმრავლესობას (64%) არ ახსენდება შემთხვევა, როდესაც მოსაზრების გამოთქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. თვითმმართველობის არჩევნებზე ისინი მეტ-ნაკლებად ინფორმირებულნი არიან, თუმცა პროცესებში, ძირითადად, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები აქტიურობენ:

> *„ასე თუ ისე, ვართ ინფორმირებულები, თუმცა სკოლაში არ არის იმის კულტურა, რომ აქტიურად გამოვიყენოთ ეს პრივილეგია. ძირითადად, 11/12 კლასიდან არჩეული მოსწავლის აქტიურობა ხდება ხოლმე და სხვა კლასებისა – ნაკლებად." [მოსწავლე]*

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა და დირექტორთა პასუხების თანახმად, თვითმმართველობის კანდიდატებს თვითონ მოსწავლეები ირჩევენ, ფოკუსჯგუფებსა და ინტერვიუებში, რიგ შემთხვევაში, გამოიკვეთა მასწავლებლებთან დაახლოებულ მოსწავლეთა მნიშვნელობა და პედაგოგთა როლი კანდიდატების წარდგენა-არჩევაში. პედაგოგები და დირექტორები, როგორც ჩანს, ზოგჯერ უპირატესობას ანიჭებენ „აქტიურ" მოსწავლეთა ჩართულობას, რომლებთან მუშაობაც უფრო ადვილია:

> *„ჩვენს სკოლაში, როცა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება, ყველა არის ჩართული, დირექცია, მოსწავლეები, და ჩვენს აზრს ითვალისწინებენ." [მოსწავლე]*

„ეხლა ვთხოვე დამრიგებლებს, წავჩურჩულე, რო მოდი რა, ნუ აირჩევენ ისეთ ბავშვებს, ვინც ვერაფერს გაგვიკეთებს, არც იდეა აქვთ. წასჩურჩულეთ ვიღაცებს, ... აქტიური ბავშვები [შეარჩიეთ], გეხვეწებით." [ინტერვიუ დირექტორთან]

მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში, კერძოდ, მეთოდების, მიდგომების, თემებისა თუ შეფასების ნაწილში, ასევე, ინიციატივების სიმცირე არაფორმალური განათლების მიმართულებით, ხშირად განპირობებულია მასწავლებლებისა და დირექციის არასაკმარისი მხარდაჭერით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა აქტივობა/პროცესი მოსწავლეებზე უნდა იყოს ორიენტირებული, სკოლებისთვის საუკეთესო რეკომენდაციაა, ხშირად ჰკითხონ მოსწავლეებს აზრი:

„მოსწავლის არის სკოლა და, თუ მას არ შევეკითხეთ, არ გამოვა." [ექსპერტი]

გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი

როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, ეს პროცესი არ არის ერთგვაროვანი და განსხვავდება სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით (მაგ: სკოლის ზომა და, შესაბამისად, მისი ბიუჯეტი, თანამშრომელთა რაოდენობა, სკოლის მდებარეობა და დირექტორის სკოლაში ყოფნის ვადა).

დირექტორების პასუხიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილებათა მიღების ინსტიტუციური პრაქტიკა იშვიათია და ხშირად ამ პროცესის ფორმა დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებაზე. მასწავლებლებთან კონსულტაციას საჭიროდ მიიჩნევენ, ძირითადად, ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც შეეხება სწავლა-სწავლების პროცესს ან არაფორმალურ განათლებას. ეს ტენდენცია მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებშიც მეორდება (იხ. დიაგრამები 37 და 38).

დიაგრამა 37: დირექტორთა გამოცდილებები სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან მიმართებით



დიაგრამა 38: მასწავლებელთა მოსაზრებები სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან მიმართებით



რაც შეეხება მასწავლებელთა ინიციატივებს, უმეტესწილად, მათი წინადადებები ისევ და ისევ სწავლა-სწავლების პროცესსა და არაფორმალურ განათლებას ეხება. ისინი ნაკლებად უერთდებიან ან აყენებენ ინიციატივას სკოლის ბიუჯეტსა თუ სხვა საკითხებზე (იხ. დიაგრამები 39 და 40).

დიაგრამა 39: ინიციატივების წამოყენება მასწავლებელთა მიერ (დირექტორების პერსპექტივა)



დიაგრამა 40: მასწავლებელთა მიერ ინიციატივების წარდგენა სხვადასხვა სფეროში



საგულისხმოა მონაცემი, რომ უმრავლეს შემთხვევაში, არ არსებობს ინიციატივების წამოყენების ერთგვაროვანი წესი და სკოლის ხელმძღვანელობა სხვადასხვა გზას მიმართავს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებით (იხ. დიაგრამა 41).

დიაგრამა 41: ინიციატივების წამოყენების მექანიზმები სკოლაში



კვლევის თვისებრივ ნაწილში გამოიკვეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესის დადებითი პრაქტიკაც. მაგალითად, მასწავლებლებმა სხვადასხვა სკოლიდან ახსენეს, რომ დირექტორები ხშირად რთავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მეტიც, მათ აღწერეს შემთხვევები, როდესაც დირექტორი საერთოდ არ ერევა გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე გამოვლინდა, რომ მასწავლებლები აფასებენ გადაწყვეტილების მიღებისას მინიჭებულ დამოუკიდებლობას.

> *„მაგალითად, საათების განაწილების პროცესში ჩვენი დირექტორი საერთოდ არ ერევა. გვეუბნება, რომ ეს ჩვენი საქმეა და ჩვენი გადასაწყვეტია. მე, მაგალითად, ადრე სხვა სკოლაში ვმუშაობდი და იმიტომაც წამოვედი იქიდან, რომ არავინ არაფერს მეკითხებოდა.“ [ინტერვიუ მასწავლებელთან]*

თუმცა, ასევე გამოვლინდა, რომ მსგავსი დადებითი პრაქტიკები უფრო არაორგანიზებული და არაფორმალური სახისაა და, როგორც რაოდენობრივ შედეგებში გამოვლინდა, გარემოებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, მასწავლებლები ამბობენ, რომ შეუძლიათ, ნებისმიერი კითხვით/მოთხოვნით შევიდნენ დირექტორთან, როცა კი მოუნდებათ, მაგრამ არ ჩანს, როგორია ამ მოთხოვნათა განხილვისა თუ შესრულების პროცედურები და ა.შ.

ექსპერტთა მოსაზრებით, თუკი სკოლას სურს, დირექტორი არ იღებდეს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და სასკოლო საზოგადოება მაქსიმალურად იყოს ჩართული სწავლისა და მმართველობის პროცესებში, მნიშვნელოვანია მონაწილეობისა და ინიციატივების წახალისება. სხვა შემთხვევაში, სკოლის დემოკრატიული მართვის ტიპი დარჩება მხოლოდ ფორმალური სახით:

> *„თუკი ინიციატივები წახალისებულია, მაშინ დემოკრატიული მმართველობა ფუნქციურია, თუ დასჯადია, მაშინ ფორმალური." [ექსპერტი]*

ექსპერტულ ინტერვიუზე დაყრდნობით, ვერტიკალური მართვის ტიპი, რომელშიც დირექტორები ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებენ, შესაძლოა, განპირობებული იყოს თავად განათლების სისტემის ვერტიკალური მართვის ფორმით.

> *„სკოლაში გამოწვევები მრავალფეროვანია და ამის მიზეზია, ალბათ, განათლების სისტემის ვერტიკალური მართვა - სამინისტრო, რესურსცენტრი, სკოლა და დირექტორი. სასკოლო საზოგადოება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას იქ, სადაც თვითონ დირექტორიც ვერ იღებს გადაწყვეტილებას." [ექსპერტი]*
>
> *„სკოლაში ვისაც უნდა ვკითხოთ, ვინ მართავს სკოლას? პასუხია: დირექტორი. რა წერია კანონში სასკოლო საზოგადოებაში არავინ იცის, ყველას არ აქვს მოთმინება და სურვილი, რომ იკითხოს და გაარკვიოს, რა უფლებები და პასუხისმგებლობები აქვთ... დემოკრატია არის ტვირთი - თუ რაიმეს აკეთებენ, აკეთებენ იმიტომ, რომ კანონში გვიწერია და არა იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანია..." [ექსპერტი]*

სამეურვეო საბჭოს საქმიანობა რომ ზოგჯერ ფორმალური სახისაა, ამას დირექტორებიც ადასტურებენ. ეს შეეხება როგორც მშობელ, ასევე მასწავლებელ წევრებს. თუმცა, იმავე საუბარში დირექტორები ამბობენ, რომ ზოგჯერ შესაძლებელია საბჭოს წევრთა დაინტერესება და ჩართვა, მაგალითად, ავტორიზაციის პროცესში:

> *„ერთვებიან საბჭოს წევრები პროცესში, მაგრამ ვერ ვეტყვი, რომ მთლად სრულად. აი, ავტორიზაციის პროცესში ჩართულნი მყავდნენ. თუნდაც საბჭოს სხდომის პროცესში მოვიდნენ და ჩართულები იყვნენ, გაეცნენ, რაც კეთდება სკოლაში. ერთ-ერთი მშობელი იყო მდივანი, თუმცა ოქმის წერაში მე ვეხმარები... ვერ ვიტყვი, რომ სრულად ერთვებიან. ნაკლებ ინტერესს ვხედავ, ოღონდ მარტო მშობლებისგან არა, მასწავლებლებისგანაც." [ინტერვიუ დირექტორთან]*

ამ ამონარიდით კიდევ ერთხელ ვლინდება, რომ, რეალურად, არსებობს დადებითი ტენდენციები (ამ შემთხვევაში – ავტორიზაციის პროცესში ჩართულობა), მაგრამ ვერ ხერხდება მათი ინსტიტუციონალიზაცია და მსგავსი მიდგომების გამოყენება სხვა შემთხვევებშიც.

ძირითადი მიგნებები და საჭიროებები

ამ თავში განვიხილეთ სკოლის მმართველობასა და კულტურასთან დაკავშირებული საკითხები. გამოვლინდა, რომ მართვის პროცესებში სხვადასხვა მხარის ჩართულობა დამოკიდებულია სხვადასხვა სტრუქტურულ, პიროვნულ და ინსტიტუციურ ფაქტორებზე. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ უმეტეს შემთხვევებში, დადებითი პრაქტიკებიც არ არის სრულად ინსტიტუციონალიზებული.

- დირექციის ჩართულობა სკოლის სტრატეგიულ მართვაში მაღალია, მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები სხვა ორგანოები პროცესში ხშირად ფორმალურად მონაწილეობენ. ინფორმირებულობა სხვადასხვა პროცესზე არაერთგვაროვანია და დაბალი. განსაკუთრებულად რთულია იმ მშობლებთან კომუნიკაცია, რომლებიც არ იცნობენ სკოლის სტრატეგიასა თუ კურიკულუმს. ამ დოკუმენტებზე, უმრავლეს შემთხვევებში, მუშაობს სკოლის ადმინისტრაცია/დირექტორის მიერ შერჩეული სამუშაო ჯგუფი.
- სკოლის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები მეტ-ნაკლებად აქტიურები არიან, თუმცა თვითმმართველობისა თუ სამეურვეო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა დაბალია. პროცესებზე ინფორმაციას, ამ შემთხვევებში, კლასის ხელმძღვანელები აწვდიან. აღნიშნულ ორგანოებს ნაკლებად აქვთ ინსტიტუციური სახე.
- ისევე, როგორც სხვა საკითხებზე, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზეც სხვადასხვა ჩართულ მხარეს სხვადასხვა შეხედულება აქვს. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად არ მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, როცა საკითხი უშუალოდ მათ კლასს ან საგანს არ ეხება. დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ისინი, ძირითადად, იღებენ საგაკვეთილო პროცესის შესახებ, ან გარკვეული საგნობრივი პროექტებისა და კონფერენციების ინიცირებასა და განხორციელებაზე. როდესაც საქმე ეხება სკოლის სტრატეგიულ განვითარებასა და ბიუჯეტის დაგეგმვას, მასწავლებლები ნაკლებად მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.
- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტები ხშირად ფორმალური სახისა და ეყრდნობა არსებულ შაბლონებს, მცირე ცვლილებებით. თუმცა, ავტორიზაციაგავლილ სკოლებში უფრო დიდი ძალისხმევა იდება სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში და პროცესიც მეტად ფორმალიზებულია.
- გამოიკვეთა, რომ სკოლების ავტორიზაციის პროცესში სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობამ უფრო სტრუქტურირებული და ორგანიზებული სახე მიიღო, რაც შეიძლება დადებით ტენდენციად ჩაითვალოს.
- დაინტერესება სკოლის მმართველობით ორგანოებში მონაწილეობის მიმართ დაბალია, როგორც მოსწავლეებს, ასევე მშობლებსა და მასწავლებლებს შორის. ეს, ნაწილობრივ მაინც, უკავშირდება სათანადო ინფორმაციის ნაკლებობას, განსაკუთრებით, მშობლების შემთხვევაში: კერძოდ, მათ ან ინფორმაცია არ აქვთ სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე, ან განცდა არ აქვთ, რომ შესაძლებელია, მათმა მონაწილეობამ რამე შეცვალოს.
- ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეებსა და მშობლებს არა აქვთ ცოდნა, კონკრეტულად რა სახით შეუძლიათ მონაწილეობა ამა თუ იმ პროცესში.
- მშობელთა დაინტერესება სამეურვეო საბჭოში მონაწილეობითა და, ზოგადად, სკოლაში აქტიურობით, შესაძლებელია, თუ ისინი იგრძნობენ, რომ ეს პირდაპირ აისახება მათი შვილების განათლებასა და კეთილდღეობაზე.

- სამეურვეო საბჭო ყოველთვის არ არის ქმედითი ორგანო, რასაც, ინდივიდუალურთან ერთად, სტრუქტურული პრობლემებიც განაპირობებს.
- მოსწავლეთა უმეტესობას არა აქვს განცდა, რომ რეალურად შეუძლიათ სკოლის მმართველობაში მონაწილეობა, არც სათანადო ინფორმაცია აქვთ ამის შესახებ.
- სასკოლო თემის წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ, რომ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღება არ არის კარგი პრაქტიკა და მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებები უმჯობესია პროცესის ეფექტიანობისთვის. არსებობს დირექტორის მხრიდან პასუხისმგებლობათა გადანაწილების კარგი პრაქტიკაც, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ეს გამოცდილებები ფრაგმენტულია და არ არის სტრუქტურირებული.

თემთან ურთიერთობა

მშობელთა ჩართულობა

მშობელთა ჩართულობა ძალზე მნიშვნელოვანია როგორც სკოლის განვითარებისთვის, ასევე მოსწავლეთა საგანმანათლებლო შედეგებისა თუ სოციალური ცხოვრებისათვის. სკოლის დირექტორები და მასწავლებლები, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისას, ხაზს უსვამენ მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის აუცილებლობას და ხშირად ამ საკითხს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ასახელებენ.

მშობლები გამოკითხვაში ამბობენ, რომ შვილების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვაში ხელს უშლით ორი მნიშვნელოვანი მიზეზი: დროის არქონა (46%) და სათანადო ინფორმაციის არქონა (30%); ძალიან ცოტა მათგანი (12%) ამბობს, რომ მონაწილეობა არ მიუღია სურვილის არქონის გამო, და კიდევ უფრო ცოტა (8%) უთითებს მიზეზად სათანადო უნარების არქონას. მასწავლებელთა და დირექტორთა გამოკითხვის შედეგად კი, როგორც მე-3 ცხრილი გვაჩვენებს, სხვა სურათი იხატება.

ცხრილი 3: მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში						
რესპონდენტთა სტატუსი	დირექტორები			მასწავლებლები		
პასუხის შესაძლო ვერსიები	არ არის ხელშემშლელი ფაქტორი	გარკვეულწილად უშლის ხელს	მნიშვნელოვნად აფერხებს	არ არის ხელშემშლელი ფაქტორი	გარკვეულწილად უშლის ხელს	მნიშვნელოვნად აფერხებს
სათანადო უნარების არქონა	6%	63%	31%	34%	48%	18%
ინტერესის არქონა	9%	54%	37%	28%	46%	26%
დროის არქონა	9%	23%	68%	34%	36%	30%
ინფორმაციის არქონა	27%	43%	30%	43%	39%	18%

მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში						
რესპონდენ-ტთა სტატუსი	დირექტორები			მასწავლებლები		
პასუხის შესაძლო ვერსიები	არ არის ხელ-შემშლელი ფაქტორი	გარკვეულწი-ლად უშლის ხელს	მნიშვნელო-ვნად აფე-რხებს	არ არის ხელ-შემშლელი ფაქტორი	გარკვეულწი-ლად უშლის ხელს	მნიშვნელო-ვნად აფე-რხებს
ჩართულობა არ არის წა-ხალისებული სკოლის დირექციის მხრიდან	37%	44%	19%	79%	14%	7%
ჩართულობა არ არის წახალისე-ბული მასწა-ვლებლების მხრიდან	31%	53%	16%	78%	15%	7%

მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა ეფექტიანია იმ შემთხვევაში, თუ მათ შესაბამისი მოტივაცია და უნარები აქვთ. ამავდროულად, დირექტორები და მასწავლებლები აცხადებენ, რომ ვერ ახერხებენ მშობელთა დაინტერესებას და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას (იხ. ცხრილი 4).

ეთანხმებით თუ არა შემდეგ მოსაზრებებს?								
რესპონდენტთა სტატუსი	დირექტორები				მასწავლებლები			
პასუხის შესაძლო ვერსიები	ვეთა-ნხმები	უფრო ვეთა-ნხმები, ვიდრე არ ვეთა-ნხმები	უფრო არ ვეთა-ნხმები, ვიდრე ვეთა-ნხმები	არ ვეთა-ნხმები	ვეთა-ნხმები	უფრო ვეთა-ნხმები, ვიდრე არ ვეთა-ნხმები	უფრო არ ვეთა-ნხმები, ვიდრე ვეთა-ნხმები	არ ვეთა-ნხმები
სასკოლო ცხოვრე-ბაში იმ მშობლე-ბის მონაწილეობა უფრო ეფექტიანია, ვისაც შესაბამისი ცოდნა და უნარები აქვს.	49%	32%	11%	8%	63%	20%	7%	10%
დირექტორები და მასწავლებლები ვერ ახერხებენ მშობელთა დაი-ნტერესებას და სასკოლო ცხოვრე-ბაში ჩართვას, თუ მშობლები თავად არ არიან დაინტე-რესებულნი ამ პროცესით.	15%	54%	17%	14%	17%	30%	23%	30%

სკოლის დირექტორთა (76%) და მასწავლებელთა (73%) უმრავლესობის აზრით, მშობლების მეტი აქტიურობა დადებითად აისახებოდა მათ საქმიანობაზე და უფრო მარტივსა და ეფექტურს გახდიდა მას (იხ. დიაგრამა 42). შესაბამისად, როგორც ზემოთ განვიხილეთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სკოლების დახმარება მშობლებთან კომუნიკაციის მექანიზმთა ქმედუნარიანი სისტემის აწყობაში.

დიაგრამა 42: შეხედულებები მშობელთა აქტიურობის გაზრდაზე



მშობლების მხრიდან წარდგენილი ინიციატივებიც, ძირითადად, სწავლა-სწავლების პროცესს უკავშირდება, თუმცა, რიგ შემთხვევებში, არაფორმალური განათლებისა და ბიუჯეტის საკითხებსაც მოიცავს.

ცხრილი 5: მშობელთა მიერ ინიციატივების წამოყენების სიხშირე

გასული სასწავლო წლის განმავლობაში, რამდენად აქტიურად წამოუყენებიათ მშობლებს ინიციატივები შემდეგ საკითხებზე?								
რესპონდენტთა სტატუსი	დირექტორები				მასწავლებლები			
პასუხის შესაძლო ვერსიები	არავის წამოუყენებია	წამოაყენა მხოლოდ 1-2-მა მშობელმა	წამოაყენა რამდენიმე მშობელმა	წამოაყენა ბევრმა მშობელმა/უმრავლესობამ	არავის წამოუყენებია	წამოაყენა მხოლოდ 1-2-მა მშობელმა	წამოაყენა რამდენიმე მშობელმა	წამოაყენა ბევრმა მშობელმა/ უმრავლესობამ
ბიუჯეტი	23%	31%	40%	6%	40%	22%	20%	18%
კლასგარეშე აქტივობები	23%	31%	40%	6%	15%	33%	33%	19%
სწავლა-სწავლების პროცესი	22%	19%	51%	8%	10%	31%	40%	19

სკოლაში მშობლები, უმრავლეს შემთხვევაში, ერთვებიან კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში, ასევე, მოსწავლეებს ან მოსწავლე-მასწავლებელს შორის კონფლიქტისას (იხ. დიაგრამა 43).

დიაგრამა 43: მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზეზები



მშობელთა უმრავლესობას (76%) არ ახსენდება საკითხი (იქნება ეს სწავლა-სწავლების პროცესი, დისციპლინა, სკოლის მმართველობა, თუ ბიუჯეტი), რომელზეც მოსაზრების გამოთქმა უნდოდა და თავი შეიკავა, თუმცა მშობლების მეოთხედს მსგავსი გამოცდილება ჰქონია.

მშობლებთან კომუნიკაცია, დირექციისა და მასწავლებლების აზრით, ერთ-ერთი გამოწვევაა. პრობლემურია მათი ინფორმირებაც, რადგან იშვიათად მოდიან სკოლამდე და ნაკლებად ინტერესდებიან სხვადასხვა საკითხით (ძირითადად, კლასგარეშე აქტივობებში ერთვებიან). მშობელთა გამოკითხვის ეს მონაცემები ემთხვევა დირექტორებისა და მასწავლებლების შეხედულება-გამოცდილებებს. მშობლები აცხადებენ, რომ ყველაზე მეტად ინფორმირებულნი არიან კლასგარეშე საქმიანობაზე და შედარებით ნაკლებად – სკოლის პერსონალის, ბიუჯეტისა და სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შესახებ (იხ. დიაგრამა 44).

დიაგრამა 44: მშობელთა ინფორმირების დონე



მშობლები ინფორმაციას, ძირითადად, კლასის დამრიგებლისგან იგებენ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმრავლეს შემთხვევაში, სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაცია მაშინ მყარდება, როცა პრობლემა წარმოიშობა. მშობლებთან კომუნიკაციისთვის, პედაგოგები ხშირად მიმართავენ კრებას, ან სოციალური ქსელით უგზავნიან შეტყობინებას:

> *„ჩვენ გვაქვს კლასის ჩატი და იქ ყველა ბავშვი და მშობელია. მასწავლებელი წერს ხოლმე, რომ შეუმოწმეთ ბავშვებს ესა და ეს. ასე ეცნობიან მშობლები, თუ ბავშვმა ტელეფონი აჩვენა." [მოსწავლე]*
>
> *„ჩემი დამრიგებელი პირადად უკავშირდება პრობლემური ბავშვის მშობლებს, ჩატიც გვაქვს. მასწავლებლები მართლა იხარჯებიან და ვფიქრობ, რომ ბავშვზეა ეს დამოკიდებული." [მოსწავლე]*
>
> *„ჩვენს კლასში ყოფილა პრობლემები, გამოუვალი სიტუაციები, რის გამოც სასწავლო ნაწილსა და დამრიგებელს ჩაუტარებია გამოკითხვა, რატომ მოხდა ეს. თქვენ შეძლებთ ამ პრობლემის მოგვარებას ჩვენი დახმარებით. დამრიგებელი უკავშირდება მშობელს, თავის მოვალეობას ასრულებს და მშობელს ატყობინებს ყველაფერს. თვითონ ბავშვსაც უნდა ჰქონდეს სურვილი, რომ მოუყვეს მშობელს." [მოსწავლე]*

ინფორმირებულობისა და ჩართულობის თვალსაზრისით, სასკოლო პროცესებში უფრო მეტად ერკვევიან სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები. თუმცა, კომუნიკაცია, უმრავლეს შემთხვევაში, აქაც პრობლემების გამოვლენისას მყარდება.

> *„წესდება ჩვენს სკოლაშიც თვალსაჩინოდ არის გამოკრული. ძირითად პრობლემებთან დაკავშირებით კი, სამეურვეო საბჭოში ვინც არიან, ისინი არიან ძირითადად ჩართულები."[მშობელი]*
>
> *„ბავშვებთან მიდგომაზე გვისაუბრია, ტელეფონების პრობლემაზე, ჩაცმის პრობლემაზე, უფრო ამ მხრივ ამახვილებენ ყურადღებას კრებებზე. რასაც გვთხოვენ, მერე ჩვენ ვაგვარებთ ჩვენს შვილებთან." [მშობელი]*

მშობლები ნაკლებად იცნობენ მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას:

> *„ვიცი, რომ არის თვითმმართველობა, მაგრამ სხვა ინფორმაცია არ მაქვს." [მშობელი]*
>
> *„ჩვენთანაც არის, ჩემი შვილი არ არის ჩართული, თუმცა ვიცი, რომ პროექტებს აკეთებენ და იკრიბებიან ხოლმე." [მშობელი]*

დირექტორები და მასწავლებლები მშობელთა ჩართულობას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, თუმცა, ამავდროულად, საუბრობენ მათი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დროის დეფიციტზე. დირექტორები და მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ სკოლის როლზე მშობელთა ჩართულობაში, მაშინ, როცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და, კარგი პრაქტიკის შემთხვევაში, შესაძლებელია მშობლების ჩართვა სკოლის მართვის პროცესებში.

თვისებრივი კვლევისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომელზეც ყველა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებული ფოკუსჯგუფები მიუთითებდა: მშობლებს, ძირითადად, პრობლემის შემთხვევაში იბარებდნენ სკოლაში, ან ისინი თვითონ მიმართავდნენ სკოლის ადმინისტრაციას სხვადასხვა სირთულის მოსაგვარებლად. სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაცია ნაკლებად უკავშირდებოდა დადებით განცდებსა და მოლოდინებს. ყველა სამიზნე ჯგუფი მიიჩნევდა, რომ მნიშვნელოვანია პოზიტიური აქცენტების შემოტანა, რათა არც მშობელი უკავშირებდეს სკოლაში მისვლას მაინცდამაინც პრობლემას/ნეგატიურ მოვლენას, და

არც სკოლას ჰქონდეს რჩებოდეს განცდა, რომ მშობელმა მხოლოდ პრეტენზიის გამოსახატავად მიმართა.

ფოკუსჯგუფებსა და ინტერვიუებში დირექტორებმა და მასწავლებლებმა მშობელთა დაბალი ჩართულობის ძირითად მიზეზებად დაასახელეს: (1) მოუცლელობა (ბევრი მშობელი, განსაკუთრებით, ფორმალურად დასაქმებული, ვერ პოულობს დროს სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად); და (2) მშობელთა დაბალი ინტერესი საგანმანათლებლო პროცესის მიმართ:

> *„როცა ბაზარში მივდივარ და პროდუქტს ვყიდულობ, როგორც არ მაინტერესებს, როგორ მომზადდა ეს პროდუქტი, ასევე მშობელს როცა მოჰყავს ბავშვი სკოლაში, უნდა, რომ მას ასწავლონ და საერთოდ არ აინტერესებს, როგორ და რა ხდება სკოლაში." [ფოკუსჯგუფი დირექტორებთან]*
>
> *„ნაკლები დაინტერესებაა მშობლებისგან. მშობელი თვლის, რომ მოსწავლე სკოლაში რომ მიდის, დასრულდა ამით, ჩაბარებულია პატრონს, და პასუხისმგებლობას ამით იცილებს." [ფოკუსჯგუფი მასწავლებლებთან]*

დირექტორების თქმით, მშობლებს არ აინტერესებთ, მაგალითად, სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი სტრატეგიული დოკუმენტების დიდი ნაწილი ფორმალური სახისაა და შაბლონებს ეფუძნება, ეს გასაკვირი აღარ არის.

ამავდროულად, იგივე დირექტორები და მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მშობლები მათთან ხშირად გახსნილები არიან და ამის კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავთ. ასევე მიუთითებენ, რომ მშობლები ერთვებიან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის გადაწყვეტილება პირდაპირ ეხება მათ შვილებს (მაგ: საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ სამეურვეო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისადმი, როდესაც უნდათ დირექტორის არჩევა ან დათხოვნა).

თვისებრივი კვლევის შედეგებში გამეორდა ტენდენცია, რომ მშობლები სკოლასთან კომუნიკაციას, უმეტესწილად, ამყარებენ პრობლემის გამოვლენისას (უმრავლეს შემთხვევაში, კონფლიქტური/პრობლემური სიტუაციებისას). ამასთანავე, მათი ჩართულობა, ძირითადად, მოიცავს დამრიგებელთა/მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილ აქტივობებში დახმარებას, სკოლის ტერიტორიის დასუფთავებას და ა.შ:

> *„თუკი რაიმე ინიციატივა ჰქონიათ ბავშვებს, ყველანაირად დირექციისგან არის მხარდაჭერა. მაგალითად, ლიტერატურის კლუბი „რა, სად, როდის" და სხვა. მშობლები ინფორმირებულები ვართ, მაგრამ არ სჭირდებათ ჩვენი დახმარება. მშობლებიც ვერთვებით უფრო სამოქალაქო მიმართულების აქტივობებში." [მშობელი]*

თუკი სკოლას სურს, მშობელი მეტად ღია იყოს და მეტ ინიციატივას იჩენდეს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, უნდა წაახალისოს მისი მონაწილეობა. მნიშვნელოვანია მოხალისეობის განვითარებაც. ამასთანავე, მშობლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაინახონ კავშირი მათ ინიციატივებსა და სკოლაში რეალურ საქმიანობას შორის:

> *„მონაწილეობა და ჩართვა უნდა იყოს წახალისებული. სკოლას/მასწავლებელს უნდა აინტერესებდეს, რამდენად დაძლევადია პროგრამა და მშობელს არ უნდა ეშინოდეს მასწავლებლისთვის გაზიარება. მასწავლებლისგანაც ეს უნდა იყოს ადეკვატურად აღქმული." [ექსპერტი]*
>
> *„ალბათ უფრო რეგულარული კომუნიკაციის განრიგი უნდა შევთავაზოთ და შედეგებიც მყისიერად უნდა დავანახოთ." [ექსპერტი]*

„მნიშვნელოვანია მშობლების მოხალისეობის სისტემის დანერგვაც. ამაზე სკოლამ უნდა მოიფიქროს წახალისების მექანიზმები. საზღვარგარეთ დიდი პოსტერები აქვთ გამოკრული მშობლებისადმი მიმართვებით, რომ „ჩვენ გვჭირდება თქვენი დახმარება და წლის განმავლობაში როდის შეძლებთ მობრძანებას?" [ექსპერტი]

სათემო პროექტები

სკოლები თვითონ იშვიათად იჩენენ თემთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის ინიციატივას. მიუხედავად ამისა, ბევრ სკოლას აქვს სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება, ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძო კომპანიებისა ან სათემო ლიდერების ჩართულობით. ასეთი პარტნიორობები ხშირად ყურადღებას ამახვილებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ღონისძიებათა ორგანიზებასა ან მოსწავლეთა სიმბოლურ მხარდაჭერაზე, თუმცა, ამავე დროს, ცხადად აჩვენებს, რომ შესაძლებლობების სწორად გამოყენების შემთხვევაში, სკოლასა და თემს შეუძლიათ გაერთიანება საერთო მიზნების გარშემო.

სკოლის დირექტორებთან გამართული ფოკუსჯგუფებიდან გამოიკვეთა წარმატებული თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითი:

- ერთ მუნიციპალიტეტში სკოლამ ხელი მოაწერა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მემორანდუმს, რის შედეგადაც აშენდა ახალი სპორტული მოედანი და მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, აქტიურად ჩართულიყვნენ ფიზიკურ აქტივობებსა და გარე თამაშებში.
- სოფლის სკოლამ, საკრებულოს წევრის დახმარებით, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, შეძლო საზოგადოებრივი რეკრეაციული სივრცის მოწყობა. პროექტში აქტიურად ჩაერთნენ მშობლები და თემის სხვა წევრები: მათ თავიანთი ძალებით გადაიტანეს მასალები და დაასუფთავეს ტერიტორია, რითაც ინიციატივის მიმართ გამოავლინეს განსაკუთრებული დამოკიდებულება და საკუთრების განცდა.
- რამდენიმე მუნიციპალიტეტში სკოლები წარმატებულ მოსწავლეებს აჯილდოებენ, როგორც სიმბოლურად, ისე მცირე ფინანსური წახალისებით, რაშიც ეხმარებათ ადგილობრივი თვითმმართველობა. მიუხედავად იმისა, რომ ჯილდოები დიდ თანხებს არ უკავშირდება, ასეთი აღიარება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.
- აჭარაში სკოლებს შედარებით მჭიდრო და სტაბილური ურთიერთობა აქვთ როგორც ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ისე რეგიონულ მთავრობასთან – ისინი ხშირად მონაწილეობენ რეგიონის მიერ მხარდაჭერილ პროგრამებში.
- კვლევის ფარგლებში გამოვლინდა კერძო სექტორთან თანამშრომლობის კარგი მაგალითიც: ერთ სკოლაში კომპანიამ დააფინანსა მზის პანელები, რომლებიც თვითონვე დააყენა. ეს აჩვენებს, რომ ბიზნესსა და სკოლებს შორის შესაძლებელია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, თუკი არსებობს მოტივაცია და საზოგადოებაზე ორიენტირებული ხედვა.

ამ წარმატებული მაგალითების მიუხედავად, კვლავაც იშვიათია შემთხვევები, როცა სკოლები პროაქტიულად და მიზანმიმართულად ავითარებენ პარტნიორობებს. თანამშრომლობები, როგორც წესი, გარე აქტორთაგან მოდის, ერთჯერადი სახისაა და არ არის ინტეგრირებული სკოლის განვითარების სტრატეგიაში. დირექტორებთან, მასწავლებლებსა და მშობლებთან ინტერვიუებმა, ამ კუთხით, გამოავლინა რამდენიმე ძირითადი ბარიერი:

- ინფორმაციის ნაკლებობა: ბევრი არ იცნობს დაფინანსების პროგრამებს, არასამთავრობო ორგანიზაციათა დახმარებებს ან სახელმწიფო ინიციატივებს, ზოგ შემთხვევაში კი ინფორმაციას დაგვიანებით იღებენ.

- სათანადო უნარების არქონა: მასწავლებლებმა და დირექტორებმა ხშირად არ იციან, როგორ დაუკავშირდნენ პოტენციურ პარტნიორებს, დაწერონ საპროექტო წინადადება, ან გააფორმონ შეთანხმება. მათ უჭირთ განსაზღვრა, ვისთან, როგორ და რა თემაზე უნდა ითანამშრომლონ.
- დროისა და რესურსების სიმცირე: პერსონალი (განსაკუთრებით, პატარა სკოლებში) იმდენად დატვირთულია, რომ დრო აღარ რჩება პარტნიორობათა მოძიებისა და პროექტების შემუშავებისთვის.
- შიდა კოორდინაციის მექანიზმების არქონა: სკოლებს არ ჰყავთ გარე პარტნიორებთან კოორდინაციასა და გრძელვადიან ურთიერთობებზე მომუშავე ცალკე პირი ან ჯგუფი. როგორც წესი, ამ ფუნქციას არც პერსონალის რომელიმე წევრი ითავსებს.
- ბიუროკრატიული გაურკვევლობა: რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირად არ იციან, რა ფორმალური თანხმობაა საჭირო და ვისგან გარე დახმარების მისაღებად. ზოგიერთი ფიქრობს, რომ არაფორმალურ შეთანხმებებს შეიძლება პრობლემები მოჰყვეს.
- უარყოფის შიში: ზოგმა მასწავლებელმა და დირექტორმა აღნიშნა, რომ წარსულში მათი მცდელობები ადგილობრივ ორგანიზაციებსა ან კომპანიებთან თანამშრომლობის კუთხით წარუმატებლად დასრულდა, რაც დემოტივაციის მიზეზი გახდა.
- თემის ჩართულობის ვიწრო გაგება: ბევრი ადამიანი თემის ჩართულობას განიხილავს მხოლოდ ინფრასტრუქტურის ან ერთჯერადი ღონისძიების დონეზე და არ აფასებს მის საგანმანათლებლო პოტენციალს, როგორიცაა მოსწავლეთა მენტორობა, პროფესიული ორიენტაცია, ან პრაქტიკული გამოცდილება.

ამ დაკვირვებებიდან იკვეთება, რომ საჭიროა, ერთი მხრივ, ტექნიკური უნარების განვითარება (მაგ: პროექტის დაწერა, პარტნიორობის მართვა), მეორე მხრივ კი წარმოდგენების გაფართოება, თუ რას ნიშნავს თემის ჩართულობა და თემთან ურთიერთობები სკოლის განვითარებისთვის. სწორი მხარდაჭერისა და სტრუქტურების პირობებში, სკოლებს შეუძლიათ, გახდნენ სათემო განათლების, რესურსების გაზიარებისა და ინოვაციის აქტიური ცენტრები, და არ იყვნენ მხოლოდ გარე დახმარებაზე დამოკიდებული სუბიექტები.

ძირითადი მიგნებები

ამ თავში განვიხილეთ მშობლებსა და თემთან ურთიერთობის საკითხები. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზმა გამოავლინა, რომ პოტენციალი, როგორც მშობლების ჩართულობის, ასევე წარმატებული სათემო საქმიანობის კუთხით, არ არის სრულად გამოყენებული. კერძოდ:

- მშობლები, გარკვეული ფორმით, ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში: ისინი ნაკლებად მონაწილეობენ სტრატეგიულ ან სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებში და უფრო მეტად აქტიურობენ არაფორმალურ განათლებასა და კონფლიქტების მოგვარებაში (როგორც მოსწავლეთა შორის, ისე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის).
- თემთან, უპირატესად, სასკოლო თემთან ურთიერთობას სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ღირებულად მიიჩნევენ, თუმცა ამგვარი ჩართულობის აუცილებელ პირობად მშობლების კომპეტენტურობას განიხილავენ: მათი აზრით, მშობლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული უნარები ასეთი თანამშრომლობისათვის, რაც განათლებას უკავშირდება.
- მშობელთა ჩართულობის შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება მათი მოუცლელობაც: ცხადია, თუ ისინი დასაქმებულები არიან, შეიძლება გაუჭირდეთ აქტიურად ჩართვა სკოლაში.

- პრობლემაა ინფორმირებულობაც, რაც შეიძლება ასევე აფერხებდეს მშობელთა ინტერესს სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობისადმი.
- მშობლებს ხშირად არ აქვთ განცდა, რომ მათი ჩართულობა სხვადასხვა საკითხში შეიძლება უშუალოდ აისახოს შვილების კეთილდღეობაზე, ხოლო სკოლებს – დირექციასა და მასწავლებლებს – აქვთ შესაძლებლობა, რომ დაანახონ ეს კავშირი.
- სკოლებმა პროაქტიულად უნდა წაახალისონ მშობლები, რომ მაქსიმალურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში. როდესაც მშობლებს კარგად არ ესმით თავიანთი როლი ამ პროცესებში, დირექტორებმა და მასწავლებლებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ჩართულობის სხვადასხვა ფორმაზე და დაანახონ სარგებელი, რომელიც შეიძლება ამ ჩართულობამ მოუტანოს მოსწავლეთა განათლებას და სასწავლო პროცესს. ამავდროულად, სკოლამ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მშობელთა ინიციატივები და წინადადებები, რათა ხელი შეუწყოს პოზიტიურ, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას სკოლასა და მშობლებს შორის.
- კვლევაში მონაწილე სკოლების უმრავლესობა თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, როგორც წესი, ინფრასტრუქტურულ პროექტებში – თვითმმართველობა ეხმარება სკოლებს ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და გამართვაში.
- იშვიათია, როდესაც სკოლები აქტიურად ეძებენ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკა

კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, თუ როგორ შეიძლება გავზარდოთ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჩართულობა და მონაწილეობა სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. ეს მაგალითებიც, კვლევის ჩარჩოს შესაბამისად, ორგანიზებულია შემდეგ ჯგუფებად: სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობა და კულტურა, თემთან ურთიერთობა.

როგორც შესავალში აღვწერეთ, საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო მეტწილად უზრუნველყოფს დემოკრატიული ჩართულობის მექანიზმებს, თუმცა ამ და სხვა კვლევების შედეგებიდან ჩანს, რომ ხშირად ეს მექანიზმები პრაქტიკაში სათანადოდ ვერ ინერგება. შესაბამისად, ჩვენ შევისწავლეთ არა სხვა ქვეყნების ეროვნული თუ რეგიონული კანონმდებლობები და სტრატეგიები, არამედ შემთხვევები, როცა ადგილობრივად, სკოლისა და თემის დონეზე განხორციელებული ქმედებების შედეგად, შესაძლებელი გახდა სასკოლო თემის ჩართვა პროცესებში.

ბევრ შემთხვევაში, ეს მაგალითები პასუხობს ამ კვლევის შედეგად გამოვლენილ გამოწვევებსაც. ყველა მათგანი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: მოკლე შეჯამება; უფრო ვრცელი აღწერა; და შეძლებისდაგვარად მარტივად გადმოცემული, კონკრეტული რჩევები, თუ როგორ შეიძლება მსგავსი პრაქტიკის დანერგვა საქართველოს კონტექსტში.

სწავლა-სწავლება

მაგალითი 1 – ინტერდისციპლინური მიდგომებით სწავლება ისლანდიაში

ისლანდიის მაგალითი აღწერს, თუ როგორ შეუძლიათ მასწავლებლებს ერთმანეთთან თანამშრომლობა, ინტერდისციპლინური გაკვეთილების დანერგვა მოსწავლეებისთვის და მათი ჩართვა სასწავლო მიზნების განსაზღვრასა თუ სწავლების მეთოდების შერჩევაში.

▸▸ *აღწერა*

ისლანდიური ენის, ისტორიის, გეოგრაფიისა და ინგლისურის მასწავლებლებმა გადაწყვიტეს სასწავლო გეგმების გაერთიანება და ერთიანი გაკვეთილის ჩატარება ამ ოთხ საგანში. მათ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს გააცნეს სასწავლო მიზნები, ასევე, დავალებები, რომელთა შესრულებაც დასჭირდებოდათ ამ მიზნების მისაღწევად. მოსწავლეებს შეეძლოთ, თვითონ აერჩიათ, ინდივიდუალურად იმუშავებდნენ, წყვილებში, თუ პატარა ჯგუფებში; ასევე, გადაეწყვიტათ, რა ტიპის დავალებებს შეასრულებდნენ (სავარჯიშოები, კვლევა და ა.შ.). მოსწავლეები თვითონ გეგმავდნენ საკუთარ სწავლის პროცესს და, შეკითხვების შემთხვევაში, მიმართავდნენ მასწავლებლებს. შუადღეს, სადილობის დროისათვის, მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად სასეირნოდ მიდიოდნენ და, პარალელურად, ეწყობოდა განხილვები სხვადასხვა თემაზე. ამ განხილვებში ყველა მოსწავლეს უნდა მიეღო მონაწილეობა, კვირაში ერთხელ მაინც. სასწავლო რესურსებისა და პროცესის დაგეგმვა, თავდაპირველად, ძალიან შრომატევადი საქმე იყო, თუმცა შემდგომ შესაძლებელი გახდა ამ მასალებისა და პროცესის მრავალჯერადად გამოყენება.

▸▸ *რჩევები*

ეს მიდგომა მოითხოვს სათანადო მომზადებას. კერძოდ, საჭიროა:

- საგნების შინაარსობრივად ინტეგრირებული სწავლების შედეგების დეტალურად აღწერა;
- შეფასების პროცედურებისა და სკალების დეტალურად აღწერა;
- დავალებების კრებულის შედგენა (ინდივიდუალურად, წყვილებსა და მცირე ჯგუფებში მუშაობისათვის);
- ფორმალური ნებართვის მიღება გრაფიკის ცვლილებაზე.

სწავლების ამ მეთოდთან მოსწავლეებს შეჩვევა სჭირდებათ. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ პასუხისმგებლობა თვითკონტროლზე მათ ეკისრებათ – დასაწყისი საკმაოდ ქაოსურია. სწავლებისა და სწავლის ყველა მიდგომის მსგავსად, არც ეს მეთოდია იდეალური – ზოგ მოსწავლეს ის მეტად მოეწონება, ზოგს კი ნაკლებად.

მაგალითი 2 – მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფები პოლონეთში

ეს არის წარმატებული მაგალითი, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ მასწავლებლებმა საკუთარი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად და სკოლის გამოწვევების გადასაჭრელად.

▸▸ *აღწერა*

პოლონეთში სკოლის დირექტორებს შეუძლიათ, მასწავლებელთა საბჭოს ფარგლებში შექმნან სამუშაო ჯგუფები სკოლის კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად. ასეთ ჯგუფს მართავს თავმჯდომარე, რომელიც დანიშნულია სკოლის დირექტორის მიერ. მასში შეიძლება მონაწილეობდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი ამ სკოლაში. შედგენის შემდეგ, ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს თავისი სამუშაო გეგმა და დავალებები კონკრეტული სასწავლო წლისთვის, მუშაობის შედეგები კი მასწავლებელთა საბჭოს წარუდგინოს კონკრეტული სასწავლო წლის ბოლო შეხვედრაზე.

ყველაზე გავრცელებული სამუშაო ჯგუფები მიმართულია შემდეგ საკითხებზე: საგანმანათლებლო ან სხვა ინტერვენციების კოორდინაცია რომელიმე კლასის მოსწავლეებისთვის; საგანმანათლებლო მოთხოვნათა ადაპტირება კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე; თანამშრომლობა მშობლებთან; მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა; სკოლის დოკუმენტაციის გადახედვა და განახლება (მაგ: როგორიცაა შინაგანაწესი, რეგულაციები, გეგმები); შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჩართვა პროცესებში; სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ან ახალგაზრდა მასწავლებლების ზედამხედველობა და მხარდაჭერა.

სამუშაო ჯგუფების უმრავლესობა რეგულარულად მართავს ონლაინ და პირად შეხვედრებს, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და მონიტორინგი გაუწიონ სიტუაციას. ისინი დოკუმენტურად აღრიცხავენ საკუთარ საქმიანობასა და შეხვედრებს და საქმის კურსში აყენებენ დირექტორს. ამასთანავე, სამუშაო ჯგუფები თავიანთ მიზნებსა და საქმიანობას განიხილავენ მასწავლებელთა საბჭოსთან და ინფორმაციას აწვდიან მუშაობის პროგრესზე.

▸▸ *რჩევები*

თუ სამუშაო ჯგუფი ძალიან ფორმალურია, ბევრი შეხვედრა აქვს, ან არ აქვს გადაწყვეტილების მიღების რეალური უფლებამოსილება, მასწავლებლები კარგავენ მასში მონაწილეობის მოტივაციას. თუმცა, მოტივირებულ ჯგუფებს შეუძლიათ, რეალურად შეცვალონ სკოლაში სიტუაცია.

რადგან რეგულარული შეხვედრები სამუშაო ჯგუფების მუშაობის მთავარი ფორმაა, აუცილებელია:

- შეხვედრების თარიღები წინასწარ დაიგეგმოს და ყველა წინასწარ იყოს ინფორმირებული მათ შესახებ;
- შეხვედრებს ჰქონდეს მკაფიო დღის წესრიგი, რომელიც ცნობილი იქნება ყველა მონაწილისთვის;
- შეხვედრები დაიწყოს და დამთავრდეს დროულად;
- შეხვედრები დაიწყოს მიმოხილვით, თუ რა გაკეთდა წინა შეხვედრის შემდეგ;
- განისაზღვროს ძირითად საკითხებზე საუბრის დრო;
- ყოველ მონაწილეს, სტატუსის მიუხედავად (დირექტორი, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე), მიეცეს საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების წარდგენის შესაძლებლობა პრობლემურ სიტუაციათა გადასაჭრელად;
- ჯგუფის წევრებმა განსაზღვრონ დავალების შესრულების ვადები, ასევე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი.

მაგალითი 3 – მოსწავლეთა ჩართვა საგაკვეთილო პროცესში

წარმატებული პრაქტიკის ამ გერმანულ მაგალითში აღწერილია, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო მიზნების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების არჩევაში, რაც გაზრდის მოსწავლეთა მონაწილეობას.

▸▸ *აღწერა*

კვირაში ერთხელ ალგებრის მასწავლებელი თავის მოსწავლეებს სთავაზობდა 3-4 აქტივობას და თითოეულ მოსწავლეს შეეძლო აერჩია იმ უნარზე მორგებული აქტივობა, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

თავდაპირველად, მოსწავლეებს გაუჭირდათ არჩევანის გაკეთება. მასწავლებლის აზრით, ამის მიზეზი იყო ის, რომ ბავშვებს არ ჰქონდათ სკოლაში არჩევანის გაკეთების დიდი გამოცდილება, რადგან, როგორც წესი, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მასწავლებელი იღებდა. ამიტომ, მან პრიორიტეტულად მიიჩნია, ბავშვებისთვის ნათლად ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა აერჩიათ შესაბამისი აქტივობა.

მესამე კვირისთვის მოსწავლეები უკვე თამამად აკეთებდნენ არჩევანს და პროდუქტიულად და წარმატებულად მუშაობდნენ. მასწავლებელი სასიამოვნოდ გაკვირვებული იყო, როდესაც შეამჩნია, რომ მისი მოსწავლეები მეტ დროს უთმობდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს, აკონტროლებდნენ კიდეც ერთმანეთის ქცევას და შენიშვნას აძლევდნენ, როდესაც ვინმე არ იყო სათანადოდ ფოკუსირებული სამუშაოზე. საერთო ჯამში, მან აღმოაჩინა, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, რაზე უნდა ემუშავათ, როდის სჭირდებოდათ დახმარება, და შესაბამისად იყენებდნენ დროს. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეები მეტ დროს უთმობდნენ სამუშაოს და ნაკლები სიხშირით სთხოვდნენ დახმარებას მასწავლებელს. შედეგად, მას მეტი დრო რჩებოდა პროგრესის შესამოწმებლად და იმ მოსწავლეთა დასახმარებლად, რომლებსაც განსაკუთრებულად სჭირდებოდათ მხარდაჭერა.

▸▸ *რჩევები*

თუ მოსწავლეებს რეალურად შეეძლებათ არჩევანის გაკეთება კლასში — რას ისწავლიან, რა დავალებებს შეასრულებენ, ვისთან იმუშავებენ და ასე შემდეგ — ეს შეიძლება დაეხმაროს მათ ჩართულობისა და მოტივაციის გაძლიერებაში, ასევე, საკუთარი ძლიერი მხარეების განვითარებასა და ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებაში. თუმცა, ბევრ მასწავლებელს თავდაპირველად აშინებს ის, რომ მოსწავლეები შეიძლება დააბნიოს რეალური არჩევანის ქონამ. სხვა სასწავლო მეთოდებისა და მიდგომების მსგავსად,

შეიძლება ყველაფერი კარგად წარიმართოს, ანდა პატარა წვრილმანმაც დიდი გავლენა იქონიოს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ჰქონდეთ გავლენა იმაზე, როგორ და რას ისწავლიან კლასში, თუმცა, ყველა არჩევანი ერთნაირად მნიშვნელოვანი არ არის. მასწავლებლებმა უნდა შეიმუშაონ მიდგომები, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს საკუთარი ავტონომიისა და კომპეტენციის გაძლიერების საშუალებას.

▸▸ *ავტონომია*

მოსწავლეებს დამოუკიდებლობის განცდა აქვთ, როდესაც ესმით დავალების ღირებულება ან მნიშვნელობა, განსაკუთრებით, თუ სჯერათ, რომ დავალება შეესაბამება მათ ღირებულებებს, ინტერესებსა და მიზნებს. არჩევანის პროცესში მონაწილეობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, არჩევანს თვითონ მათთვის ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

▸▸ *კომპეტენცია*

მოსწავლეები თავს კომპეტენტურად გრძნობენ, როდესაც სჯერათ, რომ იციან, რა უნდა გააკეთონ და როგორ უნდა გაუმკლავდნენ სირთულეებს. თუ ძალიან ბევრი არჩევანი აქვთ, ან შერჩევის პროცესი ზედმეტად რთულია, ისინი არჩევანს გაუაზრებლად აკეთებენ, ან სხვას აძლევენ უფლებას, მათ მაგივრად აირჩიოს. მასწავლებლებმა უნდა გაუმარტივონ არჩევანის პროცესი მოსწავლეებს, მისცენ სათანადო ინსტრუქციები და კარგად აუხსნან, რას გულისხმობს ესა თუ ის ვარიანტი.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესი შეიძლება გახანგრძლივდეს და პირველი, მეორე, ან მესამე მცდელობისას არ გამოდგეს წარმატებული, მოსწავლეთა მონაწილეობა სასწავლო მეთოდებისა და მიდგომების შერჩევაში ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ზოგადად მათი ჩართულობის გასაძლიერებლად. ასევე კარგი იქნება, თუ მასწავლებლები მოსწავლეებს აუხსნიან, რატომ აძლევენ არჩევანის საშუალებას და სთხოვენ უკუკავშირს, რამდენად აფასებენ არჩევანის შესაძლებლობას.

სკოლის მმართველობა და სასკოლო კულტურა

მაგალითი 4 – ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვა პორტუგალიაში

ეს არის მაგალითი, თუ როგორ შეუძლიათ მოსწავლეებსა და მშობლებს ჩართვა მონაწილეობით ბიუჯეტირებაში. შედეგად, მათ ეძლევათ ხარჯებთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრის, განხილვისა და დაყენების საშუალება სკოლაში, ასევე, რეალური გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება ბიუჯეტის განკარგვისას.

▸▸ *აღწერა*

სკოლის მენეჯმენტმა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, გადაწყვიტა, წლიური ბიუჯეტიდან გამოყოფილიყო გარკვეული თანხა მონაწილეობითი ბიუჯეტის სქემის განსახორციელებლად, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ევროპის მრავალ ქალაქში, სოფელსა და სკოლაში.

პროექტს ესაჭიროებოდა ძალიან მკაფიო წესები, რომლებიც აღწერდა პროცესს, ფორმატს, ბიუჯეტსა და შერჩევის კრიტერიუმებს. ეს წესები შემუშავდა სკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების საბჭოებთან თანამშრომლობით, ასევე, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით. მოსწავლეთა ინიციატივების სიცხადისა და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, არასამთავრობო ორგანიზაციამ სკოლის წარმომადგენლებს ურჩია, შეემუშავებინათ სახელმძღვანელო მი-

თითებები დამწყები მოსწავლეებისთვის და დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი დაწერილი იქნებოდა მარტივი და ყველასთვის გასაგები ენით. პროექტის ბიუჯეტი არ იყო დიდი – დაახლოებით, 300 ევროს შეადგენდა.

პროცესი შემუშავდა ხუთ ფაზად:

პირველ ფაზაში მოსწავლეებს შეუძლიათ, სასკოლო საზოგადოების გასაუმჯობესებელი იდეები შესთავაზონ სკოლის ვებგვერდზე, სპეციალურ ბლოგში; ასევე, სკოლის დერეფნებში განათავსონ პლაკატები, რომლებითაც გაავრცელებენ თავიანთ იდეებს და სხვა მოსწავლეებსა და მშობლებსაც მოიწვევენ მათ ინიციატივებთან შესაერთებლად.

მეორე ფაზაში მოსწავლეები და მშობლები ქმნიან გუნდებს პროექტის წინადადებათა შესამუშავებლად. მხარდაჭერის მიღება მათ შეუძლიათ როგორც მასწავლებლებისგან, ისე გარე მენტორებისგან. ერთი ადამიანი ერთვება მხოლოდ ერთ გუნდში, რომელიც მხოლოდ ერთ წინადადებაზე იმუშავებს. ამ ფაზაში გუნდები ერთად მუშაობენ, რათა პირველი ფაზის იდეები გარდაქმნან პროექტის წინადადებებად, შეაფასონ ხარჯები, ვადები, მდგრადობა, განხორციელებადობა და ეფექტი. პროექტები უნდა ეხებოდეს სკოლის საზოგადოებას, სარგებელი მოჰქონდეს მისთვის და დასრულდეს მიმდინარე ბიუჯეტის ციკლში. ისინი წარედგინება სკოლის ვებგვერდზე, აპლიკაციის ფორმის შევსებით.

მესამე ფაზაში პროექტთა განმხილველი კომიტეტი, სკოლის დირექტორის, მისი მოადგილისა და შვიდი მასწავლებლის შემადგენლობით, ვალდებულია, განსაზღვრულ ვადაში იმსჯელოს შეთავაზებულ პროექტებზე და გამოთქვას მოსაზრებები. გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცდება იმ პროექტთა სია, რომლებიც მზად არის ხმის მიცემისთვის. პროექტების სია და აღწერილობა ქვეყნდება სკოლის ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე.

მეოთხე ფაზაში სკოლის მოსწავლეები და მშობლები განიხილავენ გამოქვეყნებულ წინადადებებს, დადებით და უარყოფით მხარეებთან ერთად; ამასთანავე, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს სთხოვენ, თუ შესაძლებელია, აღნიშნული განხილვები (ან მათი ელემენტები) შეიტანონ თავიანთ საგნებში, ხოლო კლასის დამრიგებლებს დღის წესრიგში შეაქვთ მშობლებთან შეხვედრები.

მეხუთე ფაზა ეთმობა ხმის მიცემას, რომელიც იწყება პროექტების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში. ხმის მიცემა შეუძლია ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს, თუმცა მხოლოდ ერთი პროექტისთვის. ხმების დასათვლელად შექმნილი საკოორდინაციო კომიტეტის წევრებს ხმის მიცემის უფლება არ აქვთ. პროცესი წარიმართება კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. შედეგები ცხადდება სკოლის ვებგვერდზე და გამარჯვებული პროექტი ხორციელდება.

▸▸ *რჩევები*

ეს პროექტი სკოლაში ყოველწლიურად ხორციელდება, ამიტომ, ყველა მონაწილე კარგად იცნობს პროცესს, მის ფორმატს, ბიუჯეტსა და შერჩევის წესებს. თავდაპირველად, ის სკოლის დირექტორის ინიციატივით დაიწყო, ქალაქის მერიასთან თანამშრომლობით. წესები და პროცედურები შემუშავდა სკოლის მენეჯმენტის, სკოლის საბჭოს, მასწავლებელთა საბჭოსა და მოსწავლეთა საბჭოს ურთიერთთანამშრომლობით. ეტაპობრივი პროცედურის კარგი მომზადება აუცილებელია არასწორი ინფორმაციის, დაბალხარისხიანი წინადადებებისა და კონფლიქტების ასარიდებლად.

საქართველოსაც აქვს ანალოგიური გამოცდილება: ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, განხორციელდა ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მონაწილეობას სკოლების ბიუჯეტირების პროცესში. ამ ადგილობრივი პრაქტიკის გაზიარება და გაანალიზება შეიძლება მნიშვნელოვნად დაეხმაროს მსგავსი მიდგომების გავრცელებასა და ადაპტა-

ციას სხვა სკოლებში. ინიციატივა კონტექსტის შესაბამისი მაგალითია და აჩვენებს, რომ მონაწილეობითი მიდგომების განხორციელება არსებულ სისტემაში შესაძლებელია.

მაგალითი 5 – საერთო სასკოლო მიდგომა თურქეთის 100 სკოლაში

ეს არის მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის წარმატებული თანამშრომლობის მოდელი თურქეთის სკოლებში. იგი წარმოდგენილი იყო პროექტით „დემოკრატიული კულტურის გაძლიერება დაწყებით განათლებაში", რომელიც ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ძალისხმევით განხორციელდა 2019–2022 წლებში, ქვეყნის 10 პროვინციის 100 სკოლაში.

▸▸ *აღწერა*

მოდელი ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა შეიმუშავეს საპილოტე სკოლების დასახმარებლად, რათა მოსწავლეები და მშობლები ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იგი მოიცავს შვიდ ეტაპს: კომისიის შექმნა, მიმდინარე სიტუაციის ანალიზი, განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა, გუნდების ჩამოყალიბება და სამუშაო გეგმების განვითარება, სამუშაო გეგმების განხორციელება, შედეგების შეფასება და ანგარიშგება, მდგრადობის უზრუნველყოფა. თითოეული მათგანი წინა ეტაპის შედეგებზე დაყრდნობით ქმნის საფუძველს მომდევნო პროცესისთვის.

პროცესი იწყება კომისიების შექმნით: ერთი ყალიბდება სკოლაში, სამუშაოს კოორდინირებისა და მხარდაჭერისათვის, მეორე კი განათლების დროებით დირექტორატში, რათა სკოლისთვის უზრუნველყოს სახელმძღვანელო, რესურსები და მხარდაჭერა, ასევე, მონიტორინგი გაუწიოს სამუშაოს და შეაფასოს შედეგები. სკოლის კომისიას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. მის შემადგენლობაში არიან: დირექტორის მოადგილე, მინიმუმ ორი მასწავლებელი, სკოლის კონსულტანტი, არაპედაგოგი თანამშრომელი და, სულ მცირე, ორი მოსწავლე და ორი მშობელი. ამ კომისიის პირველი დავალებაა სკოლის მიმდინარე მდგომარეობის გაანალიზება ერთ-ერთი სფეროს პერსპექტივიდან, როგორიცაა სწავლა-სწავლება, სკოლის კლიმატი და მმართველობა, ან ოჯახისა და საზოგადოების კავშირები. ანალიზი ხშირად მოიცავს სკოლის დოკუმენტებს, ასევე, კითხვარებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და არაპედაგოგი პერსონალისთვის.

პასუხების მიღების შემდეგ, სკოლის საჭიროებებს აანალიზებს სკოლის კომისია. იგი არჩევს ერთ ან ორ პრიორიტეტს, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვნად და, ამავდროულად, ყველაზე რეალისტურად მიიჩნევს სამუშაოდ.

მას შემდეგ, რაც შეთანხმდებიან გასაუმჯობესებელ სფეროზე, მზადდება სკოლის სამოქმედო გეგმები, პრობლემის აღწერით, მისი ანალიზით და მოლოდინებით შედეგების მიმართ. შემდეგ, სკოლის კომისია ქმნის ერთგვაროვან ან შერეულ გუნდებს, რომლებიც დაეხმარებიან სამოქმედო გეგმების შესრულებაში. თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სამუშაო გეგმა, რომელიც დაეხმარება კონკრეტული შედეგის მიღწევაში, როგორც ეს აღწერილია სამოქმედო გეგმაში. სკოლის კომისია კოორდინაციას უწევს სამუშაო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

შემდეგი ნაბიჯია სამუშაო გეგმების პრაქტიკული განხორციელება სამუშაო ჯგუფების მიერ. თითოეული გუნდი პასუხისმგებელია თავის გეგმაზე, ხოლო სკოლის კომისია აკვირდება და, საჭიროების შემთხვევაში, უწევს მხარდაჭერას. გეგმები არ უნდა იყოს რთული ან ხანგრძლივი, მაგრამ თუ ერთ სკოლაში რამდენიმე გეგმა განხორციელდება, ეს ხელშესახებ შედეგებს მოიტანს.

გეგმების შესრულების შემდეგ, თითოეული გუნდი აფასებს თავის მუშაობას და ანგარიშს წარუდგენს სკოლის კომისიას. მას შემდეგ, რაც ყველა გუნდი მიაწვდის საკუთარ ანგა-

რიშს, სკოლის კომისია აფასებს საერთო შედეგებს, რომლებსაც აცნობს თავისი სკოლის საზოგადოებას და რეგიონულ კომისიას. ბოლოს განიხილება, თუ როგორ შეუძლიათ სკოლებს, გააგრძელონ მუშაობა მომავალში შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

▸▸ *რჩევა*

ეს მიდგომა დაინერგა პროექტით, რომელიც მოიცავდა 10 პროვინციის (რეგიონული) განათლების დირექტორატებს და 100 სკოლას, თუმცა მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ერთ სკოლაშიც, ზემდგომი ორგანოების ზედამხედველობის გარეშე. ამისათვის საჭიროა სკოლის ხელმძღვანელობის, განსაკუთრებით, დირექტორის მოტივაცია. რეგიონული კომისია შეიძლება ჩანაცვლდეს სკოლის დონეზე შექმნილი კომისიით. ასევე შესაძლებელია ორ სკოლას შორის პარტნიორობა ამ მოდელის დასანერგად.

მაგალითი 6 – „ყველა მოსწავლის ხმა მნიშვნელოვანია“

ეს არის მაგალითი ავსტრალიის სკოლიდან, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეთა საბჭოს, ყველა მოსწავლე ეფექტიანად ჩართოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

▸▸ *აღწერა*

სკოლის ხელმძღვანელობისთვის დიდი სირთულეა ყველა მოსწავლის ხმის გაგება, რადგან, ცხადია, ყველა მათგანი ვერ იქნება საბჭოს წევრი, ან ლიდერის პოზიციაზე. ამ გამოწვევის პასუხად, ავსტრალიის ერთ-ერთ სკოლაში ხელმძღვანელობამ ყველა მოსწავლეს აქტიურად მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი ელექტრონული საფოსტო ყუთი ყოველთვის ღია და ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, სკოლამ შექმნა ვებსაიტი, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია წინადადებების წარდგენა იმ ინიციატივებსა ან ცვლილებებზე, რომელთა განხორციელებაც სურს სკოლაში. ამასთანავე, სკოლის მასშტაბით ჩატარებული რეგულარული გამოკითხვები ხელს უწყობს მოსწავლეებს თავიანთი წუხილების გამოხატვაში და წინადადებების წარდგენაში იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთა დანერგვაც სურთ.

თუმცა, ყველაზე ეფექტიანი ინიციატივა, რომელმაც მოსწავლეთა ხმებს რეალური მნიშვნელობა შესძინა, იყო კავშირის ჩამოყალიბება მოსწავლეთა საბჭოსა და სკოლის დანარჩენ მოსწავლეებს შორის. შემუშავდა სპეციალური პროცედურა, რომლითაც მოსწავლეთა საბჭოს თითოეულ წევრს დაევალა პირდაპირი კომუნიკაცია გარკვეულ კლასებთან, გარდა საკუთარისა. ეს ნიშნავს, რომ თუ სკოლაში 30 კლასია, მოსწავლეთა საბჭოში კი 10 წარმომადგენელი, თითოეული წარმომადგენელი პასუხისმგებელია პირდაპირ კავშირზე 3 კლასთან, რომელთაგან არცერთი არ არის მისი. კომუნიკაცია წარიმართება ელექტრონული ფოსტითა და პირადი შეხვედრებით, იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება.

მოსწავლეთა საბჭომ დანერგა კვოტებიც, რათა ორივე სქესის, ყველა კლასისა და ყველა ჯგუფის მოსწავლეები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი და თითოეულს ჰყავდეს წარმომადგენელი მისი ხმის გასაგონებლად.

მაგალითი 7 – მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღება ავსტრიის დაწყებით სკოლაში

ეს არის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონაწილეობით ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების მოდელი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ნებისმიერ საკლასო ოთახში.

▸▸ *აღწერა*

როცა ავსტრიის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის მასწავლებლები განიხილავდნენ გადა-

წყვეტილების მიღებაში მოსწავლეთა ჩართულობის შესაძლებლობას, ზოგიერთი მათგანი შეშფოთებული იყო და შიშობდა, რომ ამის გამო კონტროლს დაკარგავდა, ნაწილი არ იყო დარწმუნებული, რომ შეძლებდა მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდას პროცესში, ხოლო ზოგიერთი ფიქრობდა, რომ მოსწავლეები არ დაინტერესდებოდნენ მონაწილეობით. თუმცა, ერთ-ერთმა მასწავლებელმა, რომელიც უკვე იყენებდა ამ მიდგომას, თავისი გამოცდილება გაუზიარა კოლეგებს. მან მოიყვანა პრობლემის გადაჭრის თანამშრომლობითი მაგალითი: კერძოდ, თუ როგორ შესთავაზა მოსწავლეებს, წამოეყენებინათ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელი ვარიანტები და, შემდგომ, ერთად შეერჩიათ საუკეთესო.

შედეგად, მთელი მასწავლებელთა საბჭო შეთანხმდა, რომ შეეძლოთ თანამშრომლობითი გადაწყვეტილების ინტეგრირება ყოველდღიურ საკლასო ცხოვრებაში, ოთხი მარტივი ნაბიჯის გათვალისწინებით:

1. უნდა დაფიქრდნენ, რა გადაწყვეტილებებს იღებენ ერთპიროვნულად და რომელი მათგანის მიღება შეიძლება მოსწავლეებთან ერთად (და არა მოსწავლეებისთვის);
2. ჰკითხონ მოსწავლეებს, კლასის საქმიანობის რომელ ასპექტებში სურთ მეტად ჩართვა;
3. გააცნონ მოსწავლეებს საგაკვეთილო გეგმის მონახაზები და ჰკითხონ, რისი გაგება აინტერესებთ კიდევ ამის შესახებ;
4. შეაფასონ ინდივიდუალური გამოცდილებები და შეეცადონ, რომ სხვა სიტუაციებშიც გამოიყენონ იგივე მიდგომა (მაგ: მოსწავლეებს შორის კონფლიქტისას და ა.შ.).

თავდაპირველი გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ, მასწავლებლებმა შეაფასეს საკუთარი გამოცდილება და გაოცდნენ ამ მიდგომის შესაძლებლობებით: რეალობა ის იყო, რომ კონტროლის დაკარგვის ნაცვლად, მათ შეძლეს თანამშრომლობითი გადაწყვეტილების მიდგომის გამოყენება, რათა საკუთარი გამოცდილება და უნარები დაეკავშირებინათ მოსწავლეების უნარებსა და გამოცდილებებთან, რამაც, საბოლოოდ, გაზარდა ეფექტიანობა.

▸▸ *რჩევები*

თანამშრომლობითი გადაწყვეტილება მიიღება მაშინ, როდესაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად წყვეტენ კლასთან დაკავშირებულ და კლასზე გავლენის მქონე საკითხს. ის შეიძლება ეხებოდეს საზოგადოებას, სასწავლო გეგმას, დისციპლინას, გარემოს, ან რესურსებისა და დროის მართვას.

მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებთან თანამშრომლობით მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს ნაკლებმნიშვნელოვანი, მცირემასშტაბიანი (მაგ: რა რიგით უნდა შესრულდეს დავალებები – ჯერ მოთხრობა წავიკითხოთ, თუ საშინაო დავალება გავიაროთ?), ან უფრო მნიშვნელოვანი (მაგ: როგორ გავაუმჯობესოთ ყველას წერა-კითხვის დონე?)

თემთან ურთიერთობა

მაგალითი 8 – აქტიური მოქალაქეობის ჰაკათონი პოლონეთში

ეს არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მაგალითი, რომელიც თანამშრომლობს რეგიონში მდებარე სკოლებთან და წაახალისებს მოსწავლეებს, რომ იფიქრონ ადგილობრივი თემის საჭიროებებსა თუ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

▸▸ *აღწერა*

აქტიური მოქალაქეების ფონდი არის ვარშავაში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აორგანიზებს აქტიური მოქალაქეების ჰაკათონებს, სლოგანით „ახალგაზრდებთან ერთად ახალგაზრდებისთვის". ორი დღის განმავლობაში, ადგილობრივი სკოლების მოსწავლეები, ექსპერტების დახმარებით, შეისწავლიან ადგილობრივი თემის ყოველდღიურ გამოწვევებს და ეძებენ მათი გადაჭრის გზებს.

ჰაკათონი ძალიან პოპულარულია ახალგაზრდებში. აქტივობა დროში შეზღუდულია – ახალგაზრდებს მხოლოდ 12 საათი აქვთ პრობლემის გადასაჭრელი გზების მოსაძებნად, მაგრამ ამ 12 საათის განმავლობაში 100%-ით კონცენტრირებულნი არიან ამ პრობლემაზე. ღონისძიების ბოლოს მოსწავლეები დამსწრეებს წარუდგენენ პრეზენტაციებს, რომელთაგან საუკეთესოს ექსპერტები შეარჩევენ და აჯილდოებენ.

▸▸ *რჩევები*

ეს მიდგომა შეიძლება დანერგონ სკოლებმაც, რათა მოსწავლეები მოიზიდონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ან ადგილობრივმა საგანმანათლებლო ხელისუფლებებმა, რათა ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი თემის საჭიროებებს. გუნდები შეიძლება იყოს შერეული და აერთიანებდეს მშობლებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს, რათა გაიზარდოს თანამშრომლობა სასკოლო თემის ყველა მონაწილეს შორის.

მაგალითი 9 – „ქრაუდფანდინგის" ინიციატივა დანიაში

ეს არის წარმატებული მაგალითი, თუ როგორ ჩაატარეს მოსწავლეებმა ფინანსების მასობრივად მოზიდვის (ქრაუდფანდინგი) კამპანია.

▸▸ *აღწერა*

სკოლის კინოკლუბის წევრ მოსწავლეებს მასწავლებელმა დაავალა მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება COVID-19-ის თემაზე. ისინი წაახალისეს, რომ სცენარი საკუთარი სურვილისამებრ შეექმნათ. მოსწავლეებმა მოიფიქრეს ისტორია მოზარდზე, რომელიც, მიუხედავად პანდემიისა, უგულებელყოფდა სიტუაციის სიმძიმეს და განაგრძობდა წვეულებებზე სიარულს. შედეგად, ის დაავადდა, დააინფიცირა მშობლებიც და სხვა ადამიანებიც, რაც, საბოლოოდ, მშობლების სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ფილმში ნაჩვენებია, როგორ ცდილობს მთავარი გმირი, გაუმკლავდეს დანაშაულის გრძნობას და გაიგოს სოციალური და პიროვნული პასუხისმგებლობის კონცეფციები.

სცენარი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ მის რეალიზებას სჭირდებოდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები: მსახიობების შერჩევა, ლოკაციის მოძიება, დეკორაციების შექმნა, აპარატურა, ტრანსპორტი და მონაწილეებისა და გუნდის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ახალგაზრდები ძალიან მოტივირებულები იყვნენ თავიანთი გეგმის განსახორციელებლად. რამდენიმეთვიანი კვლევის შემდეგ, მათ იპოვეს ქრაუდფანდინგის ვებგვერდი, რომელიც ადამიანებს აძლევს თანხების შეგროვების საშუალებას მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების დასაფინანსებლად – პირადი საჭიროებიდან დაწყებული, ღონისძიებებითა და პროექტებით დამთავრებული. ვებგვერდი მარტივი გამოსაყენებელი აღმოჩნდა, ამიტომ, მათ თავიანთი პროექტის აღწერილობა, მიზნები და მოტივაცია წარადგინეს, განცხადება გამოაქვეყნეს, ცოტა ხანში საჭირო თანხაც შეაგროვეს და შეძლეს ფილმის გადაღება.

▸▸ *რჩევები*

„ქრაუდფანდინგის" დასაწყებად, აუცილებელია სანდო ვებგვერდის შერჩევა, რომელიც მარტივ ნაბიჯებს გთავაზობთ სპეციალური გვერდის შესაქმნელად, მსოფლიოს ციფრულ

საზოგადოებასთან გასაზიარებლად და შემოწირულებების მყისიერად მისაღებად საკრედიტო/სადებეტო ბარათებისა და PayPal-ის მეშვეობით.

ვებგვერდის არჩევისას, დარწმუნდით, რომ ის არის:

- უსაფრთხო და დაცული;
- გთავაზობთ შესაბამის რჩევებსა და დახმარებას;
- არ იყენებს ჯარიმებს, თუკი ვერ შეასრულებთ მიზანს (ვერ შეაგროვებთ დაგეგმილ თანხას);
- თავსებადია მობილურ მოწყობილობებთან;
- აქვს გლობალური პლატფორმა, რომელსაც სხვადასხვა ვალუტაზე შეუძლია მუშაობა;
- ეფექტური და შედეგიანია;
- აქვს პერსონალიზაციის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მაგალითი ცხადად აჩვენებს მოსწავლეთა მიერ ფინანსების ციფრული პლატფორმებით მოზიდვის პოტენციალს, მსგავსი ინიციატივები საქართველოში ფრთხილად უნდა განხორციელდეს. საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც შეეხება სკოლის დონორობას, ონლაინ ფინანსურ ოპერაციებს და ფონდების მართვას არასრულწლოვანთა ან მოსწავლეთა ჯგუფების მიერ, შესაძლოა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდეს, ან სპეციალურ ინსტიტუციურ ზედამხედველობას მოითხოვდეს. რეკომენდებულია, ამ მოდელის ადაპტირებით დაინტერესებულმა სკოლებმა წინასწარი კონსულტაცია გაიარონ შესაბამის იურიდიულ და საგანმანათლებლო ორგანოებთან, ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციების დასაცავად.

მაგალითი 10 – სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი გაერთიანებულ სამეფოში

ეს მაგალითი აღწერს, თუ როგორ შეუძლიათ სკოლებს თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ბიზნესებსა და არასამთავრობო სექტორთან.

▸▸ *აღწერა*

თუ სკოლებს არ აქვთ ახალი აქტივობების წამოწყების, პოტენციურ პარტნიორთა გამოვლენის, ან თანამშრომლობის დამყარების გამოცდილება, უმჯობესია, მიუერთდნენ უკვე არსებულ სოციალურ პროექტს, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები სთავაზობენ სკოლებს. დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი სოფლის დაწყებითმა სკოლამ გადაწყვიტა თანამშრომლობა გაერთიანებული სამეფოს ახალგაზრდა მოქალაქეთა ფონდთან, რომელმაც მათ მეთოდოლოგია და კონსულტაციები შესთავაზა.

პირველადი პრეზენტაციის შემდეგ, მასწავლებელთა საბჭოზე ორმა მასწავლებელმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი, თავიანთ კლასებთან ერთად, რომელშიც 11-12 წლის მოსწავლეები იყვნენ. მასწავლებლები მიიწვიეს საწყის ტრენინგზე, სადაც მათ შეიტყვეს მოსწავლეთა მონაწილეობის მიზნების, სარგებლის, მექანიზმებისა და მეთოდების შესახებ, ასევე, კომუნიკაცია დაამყარეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და პროექტში მონაწილე სხვა სკოლებთან.

შემდეგ ეტაპზე, მასწავლებლებმა დისკუსიები ჩაატარეს თავიანთ კლასებში, რათა გაერკვიათ, რა სურდათ მოსწავლეებს. რადგან ბევრი მოსწავლე შორს მდებარე სკოლებში ცხოვრობდა, მათ განაცხადეს, რომ სურდათ, მეტი გაეგოთ თავიანთი თანაკლასელების თემებისა და სოფლების შესახებ: ვინ რამდენად შორს ცხოვრობდა სკოლიდან, როგორი იყო მათი ოჯახების წარმომავლობა და კიდევ ვინ ცხოვრობდა მათ სოფლებში.

ასე დაიწყო კვლევითი პროექტი, რომელმაც აჩვენა, რომ მათ თემში წარმოდგენილი იყო ბევრი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და ასაკობრივი ჯგუფი, განსხვა-

ვებული შესაძლებლობებით. ამიტომ, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, პროექტის საერთო თემად აერჩიათ „მრავალფეროვნება“. იდეების გენერირებისა და დემოკრატიული ხმის მიცემის შემდეგ, ბავშვებმა შეარჩიეს სამი სხვადასხვა ქმედითი კურსი, რომლებიც ხელს შეუწყობდა მრავალფეროვნების პოპულარიზაციას საზოგადოებაში. კერძოდ: მათ უნდა შეექმნათ პოსტერები, რომლებიც განთავსდებოდა სკოლის ვებგვერდზე და აღნიშნავდა მრავალფეროვნებას; გამოეკვლიათ ადგილობრივი ბიზნესები, რათა გაერკვიათ მათი პირობები სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანებისთვის; და შეეგროვებინათ თანხები სკოლის ბიბლიოთეკისთვის, მრავალფეროვანი წიგნების შესაძენად.

ყველა იდეა მოსწავლეებისგან მოდიოდა. მასწავლებლები მხოლოდ ტექნიკურ საკითხებზე უწევდნენ კონსულტაციებს და იმ როლებს ასრულებდნენ, რომლებიც ბავშვებმა სთხოვეს. გარდა ამისა, ბავშვებმა გამოჰკითხეს სკოლის მასწავლებლები, რათა გაეგოთ, რა მასალებს იყენებდნენ ისინი კლასში მრავალფეროვნების პოპულარიზაციისთვის; ასევე, წერილი მისწერეს სკოლის მმართველთა საბჭოს და მოსთხოვეს მოსაზრებები, რამაც დამატებითი დისკუსიები წარმოშვა სხვადასხვა საკითხზე, როგორიცაა კარიერული როლები (რომლებიც, ტრადიციულად, „მამაკაცური“ ან „ქალური“ იყო ზღაპრებში) და ტრადიციული ოჯახური სტრუქტურები.

ბავშვები მთელი დროის განმავლობაში ჩართულნი იყვნენ აქტივობებში, რადგან საკუთარ იდეებს ახორციელებდნენ და არ იყვნენ მართულნი მასწავლებლების მიერ. პროექტის შეფასების შემდეგ, კლასებმა გადაწყვიტეს, მომდევნო წელსაც ჩაეტარებინათ ეს ღონისძიება და დაგეგმეს წვეულება, რომელზეც მიიწვიეს მრავალფეროვნებაზე პასუხისმგებელი რეგიონული გუბერნატორი.

►► *რჩევები*

არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ მარტივი სტრატეგიები, კარგად აპრობირებული და ადვილად შესასრულებელი იმ სკოლებისთვის, რომლებსაც დიდი გამოცდილება არ აქვთ. ეს სტრატეგიები ხშირად ხუთი ეტაპისგან შედგება:

- სიტუაციის ანალიზი (პრობლემების გამოვლენა);
- დაგეგმვა (გადაწყვეტილების მიღება, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ პრობლემების მოსაგვარებლად);
- განხორციელება (მოქმედება);
- მონიტორინგი და შეფასება (შედეგების გაზომვა);
- გავრცელება და უკუკავშირი (მოქმედება დასკვნების საფუძველზე).

თუ სკოლა მიუერთდება ასეთ პროექტს, მასწავლებლები და სკოლის ლიდერები ხშირად იღებენ დამატებით მხარდაჭერას – ტრენინგებით, კონსულტაციებით, ან სხვა სკოლებთან გამოცდილების გაცვლით.

ამ ხუთეტაპიანი ციკლის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ საკლასო პროექტებისთვისაც, ასევე, მშობლებისა და მზრუნველების ჩასართავად მშობელთა საბჭოში.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებისას, გათვალისწინებულია საკვლევი ჩარჩო, რომელიც შეისწავლის სამ სფეროს: **სწავლა-სწავლება, სკოლის მმართველობა და კულტურა, თემთან თანამშრომლობა.** კვლევა ცდილობს, თითოეულ ამ სფეროში შეისწავლოს, რამდენად დანერგილია **დემოკრატიული ჩართულობა წესების, პოლიტიკის, პრაქტიკისა და ღირებულებების** თვალსაზრისით.

კვლევიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, თითოეული სფეროსთვის შემუშავდა დასკვნები. მათთან ერთად, შემოთავაზებულია რეკომენდაციებიც, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო იყოს სკოლებისთვის, ასევე, იმ პროგრამების განმახორციელებლებისთვის, რომელთა მიზანიც არის სკოლებში დემოკრატიული ჩართულობის გაძლიერება.

სწავლა-სწავლება

ამ სფეროში კვლევის მიგნებების თანახმად:

სკოლები ცდილობენ, სასწავლო გეგმებში ასახონ ზოგიერთი პრინციპი, რომლებიც ეხმიანება ქარტიას „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“.[58] ეს პრინციპები ინტეგრირებულია სხვადასხვა საგანში. ადამიანის უფლებები, კულტურული მრავალფეროვნება და დემოკრატიული ღირებულებები ხაზგასმულია მრავალი საგნობრივი მიმართულებით. სკოლებს აქვთ შესაძლებლობა, ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა შეიმუშაონ, რაც მათ საშუალებას აძლევს, დემოკრატიული თემატიკა ადგილობრივ საჭიროებებს მოარგონ.

მოსწავლეები და მშობლები, სწავლა-სწავლების სხვა პროცესებთან შედარებით, უფრო აქტიურად არიან ჩართულნი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობების განსაზღვრაში. ეს შეიძლება ეხებოდეს საკლუბო საქმიანობას, ექსკურსიების დაგეგმვას, კლასგარეშე შეჯიბრებებში მონაწილეობას და სხვა. დასაფიქრებელია მოსწავლეთა ინიციატივების დაბალი მაჩვენებელი კლასგარეშე აქტივობებთან მიმართებით, რომლებიც შესაძლოა მათ ყოველდღიურ გამოცდილებას უკავშირდებოდეს.

მოსწავლეებისთვის ყოველდღიურობა, საგაკვეთილო პროცესი, ერთგვარი საბაზისო გამოცდილების შეძენის ადგილია, სადაც ჩართულობის ღირებულებასაც იაზრებენ. მოსწავლეთა ნაწილი ამბობს, რომ აქვთ გარკვეული გამოცდილება სწავლების მეთოდებისა და თემების შერჩევაში, თუმცა გამოკითხულ სკოლებში მცირეა (14%) იმ მოსწავლეთა წილი, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ ამ პროცესში, და საკმაოდ დიდია იმ მოსწავლეთა წილი (46%), რომლებიც იშვიათად მაინც იღებენ გადაწყვეტილებებს ნამუშევრების ფორმის, პროექტების თემებისა და საკითხავი მასალის შერჩევაზე. ამგვარი მონაწილეობა მნიშვნელოვანია მოსწავლეებში ისეთი კომპეტენციების განვითარებისათვის, როგორიცაა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, მეტაკოგნიტური უნარების გაძლიერება, საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება და სხვა. საკუთარ სწავლა-სწავლების პროცესში ჩართვამ შეიძლება მოსწავლეებში გაზარდოს სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდაც.

58 ევროპის საბჭოს ქარტია „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“.

მოსწავლეთა ნაწილი, სხვადასხვა ონლაინმედიის მეშვეობით, გათვითცნობიერებულია სწავლების თანამედროვე, ალტერნატიულ მეთოდებში. ეს, თავისთავად, საყურადღებო და მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რომელმაც შეიძლება განაპირობოს მოსწავლეთა სურვილი, მასწავლებლებს შესთავაზონ ალტერნატიული მეთოდები. თუმცა, კვლევის თანახმად, მასწავლებლები და სკოლის დირექტორები მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ რწმენის ნაკლებობას, რომ მათ აზრს ვინმე გაითვალისწინებს.

სწავლა-სწავლებაზე მოსწავლეთა მოსაზრებების გათვალისწინება შესაძლოა მასწავლებლებს დაეხმაროს სასწავლო მეთოდების გამრავალფეროვნებაში. მოსწავლეთა ჩართულობას ასევე შეუძლია, გაზარდოს მათი სწავლის მოტივაცია. როგორც კვლევიდან ირკვევა, მოსწავლეებს ერიდებათ სწავლა-სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზება მასწავლებლებისთვის, ან ნაკლები ინფორმაცია აქვთ ამ შესაძლებლობის შესახებ. ეს, შესაძლოა, ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება იყოს დემოკრატიული ჩართულობის გასაძლიერებლად.

შედარებით უკეთესია მასწავლებელთა ჩართულობის ხარისხი სწავლა-სწავლების საკითხებში. სასწავლო მიზნებისა ან მეთოდების განსაზღვრისთვის, მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორიცაა საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო. თუმცა, კვლევამ გამოკვეთა პრობლემებიც, რომლებიც ეხება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებში ადასტურებენ საკუთარ ჩართულობას, სკოლის დირექტორები ამ პროცესს უფრო ფორმალობად აღიქვამენ და არ არიან კმაყოფილნი მასწავლებელთა მოტივაციით, ჩაერთონ პროცესში.

სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარებაში მასწავლებელთა პასიური მონაწილეობის მიზეზი შეიძლება მრავალგვარი იყოს. ერთ-ერთია გადატვირთულობა. მათ ნაწილს ბევრი შრომა უწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისათვის და დამატებითი დროის გამოყოფა შეიძლება პრობლემა აღმოჩნდეს. ასევე პრობლემაა მშობელთა არასათანადო ჩართულობა და პედაგოგიურ მიდგომებში გათვითცნობიერების ხარისხი.

რეკომენდაციები

სასურველია, სკოლებმა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მეტ ჩართულობას სწავლების მიდგომებისა და შინაარსის განსაზღვრაში. ეს პროცესი უნდა წახალისდეს როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. სასკოლო დონეზე დაწესებულების ხელმძღვანელებს შეუძლიათ, მასწავლებლებს ესაუბრონ სხვადასხვა პრაქტიკის შესახებ, რომლებიც შესაძლოა მათსავე სკოლაში არსებობდეს.

შესაძლებელია გარკვეული რუტინის ჩამოყალიბებაც, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები და მოსწავლეები შეთანხმდებიან სწავლა-სწავლების სხვადასხვა ასპექტზე. მაგალითად, გარკვეული პერიოდულობით (სემესტრის დასაწყისში და შუაში) ისაუბრებენ იმ მეთოდებზე, რომლებიც შესაძლოა მომავალ სასწავლო პერიოდში დაინერგოს კონკრეტული საგნის ფარგლებში. შესაძლებელია, ასეთი მომენტები გამოიყენებოდეს განვლილ პერიოდზე რეფლექსიისთვისაც: მაგალითად, სემესტრის ბოლოს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ერთად გადაავლონ თვალი განვლილ გზას, ასევე, სხვადასხვა საკითხის შესასწავლად გამოყენებულ მიდგომებს, და ერთობლივად დაგეგმონ შემდეგი სემესტრი.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალური სასწავლო აქტივობების ინიცირებასა და განხორციელებაში, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს საქმიანობა სამი მიმართულებით: (1) სადამრიგებლო საათის განმავლობაში მასწავლებლებმა ხელი შეუწყონ სხვადასხვა იდეის გენერირებას; (2) გააქტიურდნენ მო-

სწავლეთა თვითმმართველობები, რომლებიც შეაგროვებენ იდეებს მოსწავლეებში და სკოლის ადმინისტრაციასთან შეათანხმებენ სხვადასხვა ინიციატივას; (3) ადმინისტრაციამ ყოველი სემესტრის დასაწყისში გამართოს შეხვედრები მოსწავლეებთან (სასკოლო საფეხურების მიხედვით მაინც), სადაც ისინი მოკლე, ზეპირ პრეზენტაციებს გააკეთებენ თავიანთ ინიციატივებზე, კლუბებსა და არაფორმალური ინტერესების მიხედვით გაერთიანებებზე. ადმინისტრაცია შეიძლება მოსწავლეებს დაეხმაროს კითხვარების გავრცელებაშიც (სასურველია ელექტრონულად), რომლებიც მსურველებს მისცემდა არაფორმალურ აქტივობებში ჩართვის საშუალებას. გარკვეული პერიოდულობით, ასევე კარგი იქნებოდა, სასკოლო კლუბებმა თავიანთი საქმიანობის შედეგები გააცნონ სკოლის დანარჩენ ნაწილს. ეს მოსწავლეებს, რომლებიც არ არიან კლუბების წევრები, დაეხმარებოდა, მეტად დაინტერესებულიყვნენ ამ გაერთიანებებით.

სკოლების თავისუფლება, თავად განსაზღვრონ შეფასების კრიტერიუმები, ასევე, მათი რაოდენობა და შინაარსი, საუკეთესო შესაძლებლობაა მასწავლებლებისთვის, რომ მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრონ სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოსა თუ დავალების შეფასების ინსტრუმენტები. თუ მასწავლებლები, პერიოდულად, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებდნენ ინსტრუმენტებს, როგორიცაა, მაგალითად, შეფასების რუბრიკები, ეს მოსწავლეებს მისცემს არა მხოლოდ მონაწილეობის, არამედ მეტაკოგნიტური უნარების განვითარების შესაძლებლობას.

საგნობრივი კათედრების გაძლიერება და, ამავდროულად, მშობელთა მონაწილეობა შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდეს მასწავლებელთა სრულფასოვნად ჩართვისათვის. ამ კუთხით, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, თუ საგნობრივი კათედრები პედაგოგიურ საბჭოსა და მოწვეულ მშობლებს პერიოდულად პრეზენტაციებს წარუდგენენ წლის განმავლობაში დაგეგმილი სასწავლო მიზნებისა და აქტივობების შესახებ. ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც სკოლას დაეხმარებოდა მშობელთა და პედაგოგთა თანამშრომლობის გაზრდაში, არის ე. წ. ღია კარის დღეები. ამ დღეებში იწვევენ მშობლებს, რომლებსაც თითოეული კათედრა აცნობს გეგმებს და აძლევს შესაძლებლობას, თავადაც დასვან კითხვები და მიაწოდონ უკუკავშირი.

სკოლის მმართველობა და კულტურა

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ **სკოლის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ასევე, მასწავლებლებს, გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია, სკოლაში გადაწყვეტილებები სასკოლო თემის აქტიური ჩართულობით მიიღებოდეს.** კარგია, რომ სკოლები სტრატეგიულ დოკუმენტებს აქტიურად აზიარებენ ვებგვერდების, სოციალური ქსელებისა თუ პედაგოგთა საბჭოების დახმარებით.

თუმცა, **გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნამდვილი მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანი მიდგომები პრაქტიკაში სუსტად არის დანერგილი.** მოსწავლეები იშვიათად მონაწილეობენ არათუ სასკოლო, არამედ საკლასო წესების განსაზღვრაშიც. მშობლებთან თანამშრომლობაც არ არის სკოლის მმართველობისთვის ორგანული და რუტინული ნაწილი.

თავად კვლევის მონაცემების მიხედვით, ამის მთავარი მიზეზებია:

ინფორმირებულობის ხარისხი. მოსწავლეების თქმით, არ იციან, რომ უფლება აქვთ, ჩაერთონ სასკოლო თუ საკლასო წესების განსაზღვრაში. არც მშობლები ფლობენ საკმარის ინფორმაციას მოსწავლეთა თვითმმართველობების საქმიანობაზე. სასკოლო თემი, მასწავლებელთა ჩათვლით, ნაკლებად ინფორმირებულია სასკოლო სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ. თავად სტრატეგიული დოკუმენტებიც არასაკმარისად ინფორმაციულია, ზოგ შემთხვევაში კი ზოგადი, ფორმალური და ბუნდოვანიც.

ჩართულობის შესაძლებლობათა ნაკლებობა. მშობლებმა და მოსწავლეებმა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამის სურვილი აქვთ, არ იციან, რა სახით მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროცესში, რა მოითხოვონ, ვის მიმართონ და ა.შ. გარდა ამისა, ძალიან იშვიათია მოსწავლეებისა და მშობლების წახალისება და მოტივირება სკოლის მხრიდან, სხვადასხვა გზით.

გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვის ფორმატთა ნაკლებობა. მაგალითად, სტრატეგიული მიზნების განსაზღვრაში ჩართვა შესაძლებელია სულ რამდენიმე გზით: სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობით, დირექტორის მიერ განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ან უკუკავშირის მისაღებად დარიგებული კითხვარების მეშვეობით. სკოლის დირექტორები ნაკლებად რთავენ მასწავლებლებს საკადრო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესშიც.

სისტემის სტრუქტურული პრობლემები. მცირეკონტინგენტიან სკოლებში პატარა სასკოლო თემია. სკოლების ბიუჯეტში არ არსებობს ან მცირეა თავისუფალი თანხა, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა. თუ სკოლის შემოსავლები ავტომატურად მიდის თანამშრომელთა ცენტრალიზებულად განსაზღვრული ხელფასების დაკმაყოფილებასა ან კომუნალურ გადასახადებზე, რაიმე გადაწყვეტილებისთვის მცირე სივრცე რჩება. სკოლებს, განსაკუთრებით, მცირეკონტინგენტიან სკოლებს, უჭირთ დამატებითი ფინანსური თუ სხვა რესურსების მოზიდვა, რასაც ესაჭიროება სამეურვეო საბჭოსა და დანარჩენი სასკოლო თემის წევრთა თანამონაწილეობა. შესაძლოა, ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც იყოს, თუ რატომ არ ინტერესდებიან საკმარისად მშობლები სამეურვეო საბჭოში ჩართვით.

მოსწავლეთა თვითმმართველობაში ჩართვის იშვიათი სურვილი და გამოცდილება. ამ პრობლემას მასწავლებლები და დირექტორებიც ადასტურებენ. თავად თვითმმართველობების საქმიანობები იშვიათად არის ორიენტირებული პრობლემების მოგვარებასა და სასკოლო გადაწყვეტილებებზე და უფრო მეტად კონცენტრირებულია კლუბების ორგანიზებაზე, ასევე, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებზე.

რეკომენდაციები

იმისათვის, რომ სასკოლო თემი მეტად იყოს ინფორმირებული სკოლის მმართველობაში ჩართულობაზე, მნიშვნელოვანია რამდენიმე მიდგომის გამოყენება. კერძოდ, სასურველია:

სასკოლო სტრატეგიული დოკუმენტები შემუშავდეს და განვითარდეს ეტაპობრივად, პედაგოგიური საბჭოების განხილვების საფუძველზე. ვინაიდან მასწავლებლებს უჭირთ ვრცელი ტექსტების გაცნობა, რეკომენდებულია, სკოლის ადმინისტრაცია ან ამ დოკუმენტებზე მომუშავე ჯგუფი ნაბიჯ-ნაბიჯ, სხვადასხვა შეკრებაზე მართავდეს მსჯელობას სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ (მაგ. როგორიცაა კურიკულუმი, შეფასება, ფონდების მოძიება, წესები და ა.შ.) ამისათვის, კარგი იქნებოდა, არსებობდეს რეგულარული პედაგოგიური საბჭოების შეკრების კალენდარიც.

სასკოლო თემისთვის (განსაკუთრებით, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის), ფორმალური დოკუმენტების მიწოდების ნაცვლად, შემუშავდეს და გამოიყენებოდეს მათთვის გასაგებ ენაზე დაწერილი ოპერაციული სახელმძღვანელოები ან გზამკვლევები. ეს შეიძლება იყოს სკოლის შინაგანაწესის გამარტივებული ვერსიები, ან კითხვა-პასუხის ტიპის განმარტებითი დანართები. ამ დოკუმენტების შინაარსი უნდა იყოს ნაკლებად ფორმალური და საუბრობდეს დემოკრატიულ ფასეულობებზე, ასევე, დემოკრატიულ პროცესში ჩართვის შესაძლებლობებსა და მნიშვნელობაზე.

სკოლებმა თვითმმართველობის ან სამეურვეო საბჭოების არჩევნების წინ მოაწყონ შეკრებები. ასეთ შეხვედრებზე მასწავლებლები და ადმინისტრაცია აუხსნიან სასკოლო თემის წარმომადგენლებს ამ ორგანოებში მონაწილეობის მნიშვნელობას, გზებსა და ფორმას.

გაიზარდოს მონაწილეობის ფორმატების მრავალფეროვნება, რისი ერთ-ერთი გზაც არის სამუშაო კომიტეტების შექმნა. ეს შეიძლება იყოს სწავლა-სწავლების კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტი, არაფორმალური სწავლების კომიტეტი, სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტი და სხვა. სასურველია, ასეთ ფორმალიზებულ კომიტეტებს დირექტორი უწევდეს ფასილიტაციას, თუმცა გადაწყვეტილებები კოლექტიურად უნდა მიიღებოდეს.

სკოლებში, სადაც ვაკანსიები ცხადდება, მასწავლებლებს ჰქონდეთ მომავალი პერსონალის შერჩევაში მონაწილეობის შესაძლებლობა. მაგალითად, კანდიდატურების განხილვა და მათთან გასაუბრება ჩატარდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციაში, არამედ საგნობრივ კათედრებზეც. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, იცოდნენ, ვინ იქნება მათი მომავალი კოლეგა, რადგან მასთან მოუწევთ მჭიდრო თანამშრომლობა სწავლა-სწავლებისა თუ სხვა ასპექტების განსაზღვრისას.

მოსწავლეთა თვითმმართველობების გასააქტიურებლად, რეგულარულად (მაგ. ყოველ ორ კვირაში ერთხელ) გაიმართოს თვითმმართველობების წევრებისა და სკოლის დირექტორის შეხვედრები. ასეთ შეხვედრებზე დირექტორი შეიძლება წინასწარ აცნობდეს თვითმმართველობის წევრებს მოსალოდნელ გადაწყვეტილებებს და ისმენდეს მათ უკუკავშირს. მსგავსი შეკრებები ასევე გამოიყენება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წუხილების ადმინისტრაციამდე მისატანად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად. თუ მოსწავლეებს ეცოდინებათ, რომ მათი წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებიან ადმინისტრაციას და ეს შეხვედრები რეალურად შეცვლის მათ ცხოვრებას, ეს შესაძლოა მძლავრი წამახალისებელი ფაქტორი იყოს და მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობა უფრო საინტერესო გახდეს მოსწავლეთა ფართო ჯგუფისთვის.

თემთან თანამშრომლობა

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ **მშობლები, გარკვეული ფორმით, ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში.** ისინი ნაკლებად მონაწილეობენ სტრატეგიულ ან სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებში და უფრო მეტად აქტიურობენ არაფორმალურ განათლებასა და კონფლიქტების მოგვარებაში. თავისთავად, ეს კარგი დასაწყისია სკოლებისთვის ასეთი ჩართულობის გასაღრმავებლად.

თემთან, უპირატესად, სასკოლო თემთან ურთიერთობა სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს ღირებულად მიაჩნიათ, თუმცა ამგვარი ჩართულობის აუცილებელ პირობად თვლიან მშობლების მოტივაციასა და კომპეტენციას. მათი აზრით, მშობლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული უნარები, რომ ამგვარი თანამშრომლობა შედგეს, ამ უნარებს კი მათ განათლებას უკავშირებენ. შესაძლოა, ეს უნარები მართლაც სასარგებლო იყოს, თუმცა არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა მშობლებს მისცენ სასკოლო ცხოვრების ასპექტებში ჩართვის საშუალება. მშობლებს შეიძლება აკლდეთ კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების გამოცდილება, თუმცა ამ ცოდნის დაგროვება არ არის შეუძლებელი სკოლასთან 12-წლიანი ან უფრო ხანგრძლივი (რამდენიმე შვილის შემთხვევაში) ურთიერთობების პერიოდში.

მშობელთა ჩართულობის შემაფერხებელ ფაქტორებს შორისაა მათი მოუცლელობაც. ცხადია, თუ მშობლები ფორმალურ სამსახურებში მუშაობენ, შეიძლება გაუჭირდეთ სკოლაში აქტიურად ჩართვა. თუმცა, პრობლემაა ინფორმირებულობაც, რაც შეიძლება ასევე აფერხებდეს მშობლების ინტერესს, რომ სკოლის ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა.

შესაძლოა, მშობლებს სკოლასთან ურთიერთობის მოტივაციას აკარგვინებდეს ისიც, რომ მათთან კომუნიკაცია, ძირითადად, პრობლემების დროს მყარდება. მასწავლებლები (ძირითადად, დამრიგებლები) მშობლებს იმ შემთხვევებში მიმართავენ, როდესაც მათ შვილებს აკადემიური ან კომუნიკაციის პრობლემები უჩნდებათ. ამგვარ კონტექსტში, სკოლის კომუნიკაცია მშობელთან, ძირითადად, უარყოფით ემოციებს უკავშირდება.

გარე თემთან თანამშრომლობის პრაქტიკა სკოლებში არ არის აქტიურად დანერგილი. შედარებით უკეთ არის განვითარებული ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, თუმცა ნაკლები გამოცდილება არსებობს არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ მეწარმეებსა ან კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ურთიერთობის კუთხით. ასეთ შემთხვევებში, უფრო მეტად განმსაზღვრელია სკოლის გარეთ არსებული ორგანიზაციების მოტივაცია. ინიციატივებიც უფრო გარედან მოდის და არა სკოლის შიგნიდან. ამ პრობლემას შეიძლება იწვევდეს არა მხოლოდ სკოლების ცოდნის ნაკლებობა, თუ როგორ შეიძლება გრძელვადიანი და მნიშვნელოვანი თანამშრომლობის აწყობა, არამედ ინსტიტუციური და განათლების პოლიტიკის გარემოც. სკოლის ადმინისტრაციის წევრები შეიძლება უფრო თავისუფლად ურთიერთობდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, რადგან ასეთ შემთხვევაში მეტია ინსტიტუციური ლეგიტიმაცია და ცენტრალური საგანმანათლებლო ორგანოებისათვის შეიძლება უფრო მისაღები იყოს ამგვარი თანამშრომლობა. სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, ისინი ეძებენ ლეგიტიმურობის გარკვეულ გარე წყაროებს, რაც შეიძლება აფერხებდეს გრძელვადიან თანამშრომლობას.

გარე თემთან მწირი თანამშრომლობა სკოლას აკარგვინებს შესაძლებლობას, რომ გაამდიდროს თავისი მწირი რესურსები. გარე თანამშრომლობით შესაძლებელია არა მხოლოდ ფინანსური თუ მატერიალური რესურსების მოზიდვა, არამედ სკოლის პერსონალის კომპეტენციათა გამდიდრებაც, მაგალითად, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სკოლებსა და უნივერსიტეტებთან ურთიერთობისას. ამგვარი ურთიერთობების სიმცირე სკოლებს ასევე აკარგვინებს შესაძლებლობას, რომ სასკოლო ცხოვრება უფრო საინტერესო გახადონ.

რეკომენდაციები

მშობლების ჩართულობისთვის, შესაძლებელია, სკოლამ უფრო მეტად გაითვალისწინოს მათი დროითი შეზღუდვები: მაგალითად, მშობელთა კრებები, ღია კარის დღეები, საბჭოების სხდომები და სხვა შეკრებები საღამოობით, სამსახურის შემდეგ დაგეგმოს. ასევე მნიშვნელოვანია, წახალისდეს როგორც დედების, ისე მამების აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანია, მშობლების ჩართვის შესაძლებლობები იყოს სტრუქტურირებული, თანმიმდევრული და საინტერესო; ამასთანავე, სკოლამ გამოიყენოს გარკვეული ფორმალური ინსტრუმენტებიც, რომლებიც მშობლებს მიაჩვევდა კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმატებს. ასეთი ინსტრუმენტებია: წინასწარი დღის წესრიგის არსებობა, შეხვედრების ფორმალური რეგლამენტის დაწესება (მაგ: ხანგრძლივობა, აზრის გამოთქმის რიგითობა და ა.შ.) და ეფექტიანი ფასილიტაცია. შესაძლოა, დამრიგებლები ამ მიმართულებით თავადაც საჭიროებდნენ გარკვეულ მხარდაჭერას, ამიტომ, სასარგებლო იქნებოდა მათი მომზადება შეხვედრების წარმართვაში.

მშობლებისთვის სკოლასთან ურთიერთობა არ უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ რთულ და კონფლიქტურ გარემოებებს. მნიშვნელოვანია, მასწავლებლები მშობლებს უკავშირდებოდნენ მოსწავლეთა წარმატებებზეც, და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვებს პრობლემები ექმნებათ. არაფორმალურმა ზარმაც კი მშობელთან, რომლის შვილსაც პრობლემები ჰქონდა სწავლის მხრივ და ახლა გარკვეული პროგრესი აქვს, შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მათი დამოკიდებულება სკოლის მიმართ.

არ არის აუცილებელი, სკოლის გარე თემთან ურთიერთობა თავიდანვე სარგებლის ძიებისთვის დაიწყოს. სკოლა მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტია და შეუძლია, გარე საზოგადოება მიიწვიოს სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ საღამოებზე, ზეიმებზე, ღია კარის დღეებზე, საკლუბო შეკრებებსა და სხვა შეხვედრებზე. ასევე მნიშვნელოვანია, სკოლამ გააგრძელოს ურთიერთობა მათთან, ვისთანაც ერთხელ ითანამშრომლებს, მი-

უხედავად იმისა, გაგრძელდება თუ არა თანამშრომლობის პროექტი. ეს შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით: სახელმწიფო დღესასწაულის მილოცვაც კი შეიძლება სასიამოვნო იყოს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონიათ ურთიერთობა სკოლასთან. თუ ამ მილოცვაში მოსწავლეებიც მონაწილეობენ (მაგ: ბარათების, მისალოცი ვიდეოების ან სხვა პროდუქტების შექმნით), ეს ურთიერთობა შეიძლება უფრო მიმზიდველი გახდეს სკოლის გარე თემის წარმომადგენელთათვის. სახელმწიფო დღესასწაულების სკოლაში აღნიშვნა კიდევ ერთი სასარგებლო ფორმატია, სადაც შეიძლება ამ ადამიანთა დაპატიჟება.

სკოლის გარეთ არსებული თემის გამოყენება კარგად შეიძლება სკოლის სწავლა-სწავლების პროცესის გასაძლიერებლად. მოწვეულ სტუმრებს შეუძლიათ, საინტერესო გახადონ მოსწავლეებისთვის სხვადასხვა საკითხის შესწავლა. არ არის აუცილებელი, სტუმარი მიღწევებით გამოირჩეოდეს. ნებისმიერ საქმიანობაში გამოცდილ ადამიანს შეუძლია, ისაუბროს სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულ საკითხებზე (მაგ: სოფლის მეურნეობაზე, მეწარმეობაზე, ჯანმრთელობაზე, სპორტზე, გეოგრაფიაზე და სხვა).

თემისა და სკოლის ურთიერთობის გასაღრმავებლად, სასარგებლოა ერთობლივი პროექტების განხორციელებაც. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება შეისწავლონ თემში არსებული პრობლემები (მიუსაფარი ცხოველები, გარემოს დაბინძურება, ტრანსპორტის უსაფრთხოების პრობლემები და სხვა) და შემდეგ თემის წარმომადგენლებთან ერთად შეეცადონ მათ გადაჭრას.

განსაკუთრებით სასარგებლოა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა. სკოლის მასწავლებლები ერთმანეთთან ვიზიტებზე ბევრს სწავლობენ. უნივერსიტეტებთან, პროფესორებსა და სტუდენტებთან თანამშრომლობა ასევე მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა სკოლის აკადემიური მხარის გასამდიდრებლად. ამგვარი თანამშრომლობისთვის, ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზა არის სკოლის კურსდამთავრებულთა გამოყენება. მათი რჩევები და გამოცდილება შეიძლება განსაკუთრებულად საინტერესო იყოს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც დამამთავრებელ კლასებში სწავლობენ და მომავალ პროფესიულ თუ აკადემიურ ცხოვრებაზე იღებენ გადაწყვეტილებებს.

ზოგადი რეკომენდაციები

ამ ნაწილში ვამატებთ რეკომენდაციებს, რომლებიც სცდება კონკრეტულად სწავლა-სწავლების, სკოლის მმართველობისა თუ თემთან ურთიერთობების საკითხებს.

დემოკრატიული ჩართულობის განვითარება სკოლებში მარტივი არ არის, რადგან უკავშირდება ინსტიტუციონალიზებულ პრაქტიკას, ასევე, სტრუქტურულ, კულტურულ თუ კომპეტენციურ საკითხებს. **იმისათვის, რომ სკოლებმა დაიწყონ დემოკრატიული ჩართულობის განვითარება, სასურველია გარკვეული ჩარჩოს გამოყენება, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი იქნება მათთვის ამ გზაზე.** ასეთი ჩარჩოებისა და სახელმძღვანელოების სახით სასარგებლო იქნებოდა ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული კონცეფციებისა და გზამკვლევების გამოყენება. უპირველეს ყოვლისა, მათ შორისაა პრინციპები, რომლებიც აისახა ქარტიაში *„დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“*.[59] ასევე მნიშვნელოვანი რესურსია ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო *„სკოლების დემოკრატიული მმართველობა“*.[60] სასკოლო ცხოვრებაში დემოკრატიული ღირებულებების გასააზრებლად, აღსანიშნავია *„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო“*.[61] თავად სკოლის გარდაქმნისთვის, კერძოდ, მოსწავლეთა სკოლის მმართველობაში ჩართვისთვის, სასარგებლო გზამკვლევია *„მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრა-*

59 ევროპის საბჭოს ქარტია „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“.
60 ბეკმენი და ტრაფორდი, 2013.
61 ევროპის საბჭო, 2018.

ტიულ მმართველობაში: პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის".[62] ქართულ სკოლებს უკვე აქვთ ქართულ ენაზე თარგმნილი ეს მასალები. წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი მოსწავლეთა მონაწილეობის მაგალითები სხვა ქვეყნებიდან შეიძლება კიდევ ერთი შთაგონების წყარო იყოს საქართველოს სკოლებისთვის.

ცხადია, ეს კონცეფციები თუ გზამკვლევები მარტივი დასანერგი არ არის. ამიტომაც, **შესაძლებელია, სკოლებისთვის სასარგებლო იყოს სხვადასხვა ქსელში გაწევრიანება, რომლებიც აქტიურად ცდილობენ დემოკრატიული პრინციპების დანერგვას**. ამ ქსელების ფარგლებში, შესაძლებელი იქნება გამოცდილების გაზიარება, ინსტრუმენტების გაცვლა და გარკვეული უკუკავშირის მიღება. ამგვარი ჰორიზონტალური კავშირები სკოლის ადმინისტრაციებსა და მასწავლებლებს შორის ხელს შეუწყობდა სკოლებში დემოკრატიული ჩართულობის მრავალფეროვანი და მდგრადი გამოცდილების შექმნას. სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა ასევე ფიქრობდნენ ჩართულობის გაძლიერებაზე, მაგრამ არ იცოდნენ, საიდან დაიწყონ ეს პროცესი, ქსელის ღონისძიებებზე შეიძლება გაეცნონ გზებს, რომლებსაც შედარებით უფრო გამოცდილი სკოლები გადიან.

62 ევროპის საბჭო, 2023.

გამოყენებული ლიტერატურა

ააიპ „მშობლები განათლებისთვის“ (2020). *სკოლები მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა.* https://shorturl.at/L1Ww2

ბეკმენი, ელიზაბეტ და ბერნარდ ტრაფორდი (2013). *სკოლების დემოკრატიული მმართველობა.* ქართული ვერსია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი. https://rm.coe.int/-/16805aa432

გახელაძე, გიორგი და როზა დევნოზაშვილი (2020). *სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა.* ააიპ „მშობლები განათლებისთვის“ https://mshobeltaskola.ge/wp-content/uploads/2021/02/სკოლებში-მშობელთა-ჩართულობის-პრაქტიკის-კვლევა-pdf-1.pdf

ევროპის საბჭო (2010). *ევროპის საბჭოს ქარტია „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“.* https://rm.coe.int/1680496561

ევროპის საბჭო (2018). *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო: კონტექსტი, ცნებები და მოდელი.* ქართული ვერსია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი. https://rm.coe.int/rfcdc-v1-geo/1680983619

ევროპის საბჭო (2018). *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო: გზამკვლევი დანერგვისთვის.* ქართული ვერსია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი. https://rm.coe.int/rfcdc-v3-geo/168098361b

ევროპის საბჭო (2023). *მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში: პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის.* https://rm.coe.int/-/1680adefbc

მალაზონია, დავით, შორენა მაღლაკელიძე, სოფიკო ლობჟანიძე, ნინო ჭიაბრიშვილი და ნათია ნაცვლიშვილი (2022). *დემოკრატიული მოქალაქეობა საქართველოს სკოლებში: გამოწვევები და განვითარების გზები.* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2019). *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების კვლევა საქართველოს სკოლებში.*

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (2014). *ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში.* https://cciir.ge/images/pdf/vaucheri.pdf

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (2023). *ანალიტიკური ბიულეტენი.* https://cciir.ge/images/Directors_Bulletin_pdf.pdf

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2005). *კანონი ზოგადი განათლების შესახებ.*

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (2018). *ეროვნული სასწავლო გეგმა.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2024). *ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.* https://mes.gov.ge/uploads/zgemi.pdf

საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი (2017). *მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, 2017.* კოალიცია „განათლება ყველასათვის“. https://efageorgia.ge/wp-content/uploads/2024/02/mshobelta-chartuloba-saskolo-cxovrebashi.pdf

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (2015). *სკოლის ორგანიზაციული კულტურის კვლევა.* https://issa-georgia.com/files/Reports/TPDC/TPDC-Org.-Culture-Report_Final.pdf

ჰადლსტონი, რალფ ედუარდ და მაია არავიაშვილი (2022). *მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს სკოლებსა და თემებში.* ევროპის საბჭო. https://rm.coe.int/-report-geo-4/1680a9bdf6

Castro, M., Expósito-Casas, E., López-Martín, E., Lizasoain, L., Navarro-Asencio, E., & Gaviria, J. L. (2015). *Parental involvement on student academic achievement: A meta-analysis.* Educational research review, 14, 33-46.

Epstein, J. L., Sanders, M. G., Sheldon, S. B., Simon, B. S., Salinas, K. C., Jansorn, N. R., ... & Williams, K. J. (2018). *School, family, and community partnerships: Your handbook for action.* Corwin Press.

Gutmann, Amy (2001). *Democratic Education.* Princeton University Press, Princeton, 2001.

Hassan, L. M., Shiu, E., & Shaw, D. (2016). *Who says there is an intention –behaviour gap? Assessing the empirical evidence of an intention–behaviour gap in ethical consumption.* Journal of Business Ethics, 136(2), 219-236.

მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში ეხმარება მათ საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რათა გახდნენ პასუხისმგებელი და აქტიური მოქალაქეები. სკოლები, სადაც მხარდაჭერილია მოსწავლეთა მონაწილეობა, იქცევა სივრცედ, სადაც ყველას ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია.

საქართველოში არსებული კანონები და პოლიტიკის დოკუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობის საფუძველს, თუმცა პრაქტიკაში ეს შესაძლებლობები ყოველთვის ეფექტიანად არ გამოიყენება. მონაწილეობის გაძლიერება ხელს უწყობს სასკოლო მმართველობის გამჭვირვალობას, ინკლუზიური გარემოს შექმნასა და თანამშრომლობის და დემოკრატიის კულტურის გაღრმავებას.

ეს პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით 61 სკოლაში მოსწავლეთა მონაწილეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზს. იგი გამოავლენს გამოწვევებს, აჩვენებს წარმატებულ მაგალითებს და სთავაზობს რეკომენდაციებს უფრო ღია და დემოკრატიული სასკოლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

www.coe.ge

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE